

თბილისი
"მერანი-3"
1999

84 Гр. - 44
894.631 - 32
Ц 87

მეცხვარეები თხრობის იშვიათი ოსტატები არიან, თხრობისაც და მოსმენისაც (ორივე თანაბრად ღვთიუმომადლებული ნიჭი მგონია). საკვირველი კია: კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს მარტოობაში, უბრად ატარებს, მშვენიერი მოსაუბრეა. ერთი დროა და... თითქმის ყოველთვის ასე იწყებს მეცხვარე საუბარს. დაიწყებს და გიამბობს ამბავს, რომელიც ხატოვანებით, გარემოსა და მოვლენების ხედვითა და გადმოცემით, ზოგჯერ მსუბუქი იუმორითაც, მართლაც, სასიამოვნო მოსასმენია. აქ წარმოდგენილი ჩანაწერების უმეტესობა მეცხვარეთაგან მაქვს გაგონილი და, ჩემი მეხსიერების შესაძლებლობის კვალობაზე, გადმოტანილი ქაღალდზე. მე მათ ნოველებს ვეძახი. თქვენ რას დაარქმევთ, თქვენი საქმეა. ერთში არ მეპარება ეჭვი: დღე და ღამ ველად, ბუნების პირისპირ მაცხოვრებელი კაცის თავგადასავალი საინტერესო უნდა იყოს წასაკითხადაც და მოსასმენადაც. ავტორები, ცხადია, მეცხვარეები არიან, მე, გნებავთ, მათ რედაქტორად მიმიჩნიეთ.

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი
რედაქტორი ლეილა სიხარულიძე

მეცხვარეთმოცულები

მიხო თურქოშვილს

ის დროა, ღვინომ რომ იძალა და მესუფრენი ერთმანეთს აღარ უსმენენ, იცინიან, ხორხოცობენ, უაჟ-ჟიევებენ.

— ამათ მაინც ვერაფერს გავაგებინებ და შენ გეტყვი, შენ მომისმინე, — მე მომიბრუნდა მიხო ძია, დიდ მეცხვარეთა შთამომავალი, თვითონაც ნამეცხვარეევალი, ახლა გაშინაურკაცებული. — არ კი მახსოვს, რომელი წელი იყო, ჯეილადა ვარ, ჯერ თითქოს ბალღადაც. ბერწსა ვტანიეარ ლეკოანაში. გივლია შენ მაგ მხარეს? არა, არ იქნები ნავალი, ეგ წოვების ადგილია, ჩალმები მანდეთ არ დადიან. კოლექტივობა კი იყო უკვე, კოლექტივის ცხვარი მყავს. იქ ერთი კარგი ქვიშიანი საბინაოა, სახელადაც ქვიშიანტაფი ჰქვიან, იქა მაქვს ნაწიდარი, ღამის სადგომი. ჩემი საწოლიც იქვე თეფაზე

მაქვს აჩენილი, ისე რომ, ნაბდის ყურს ავწევ და მთელი ფარა თვალწინაა.

ერთი დროცაა, დაღამდა, დავწექი. დარი საღამოა, მოწმენდილ-მოკაშკაშებული, ცას ვარსკვლავი სტყვრება, იგეთი ღამეა. მძინავს, კაცო, და ერთიანად თითქოს ვიღაცამ დამიძახა: ბალღო, ადექი, ადგილი გამაიცვალეო. მძინარს ჩამომწვდა, თითქოს შაშაჩემის ხმასა ჰგავს. გამომეღვიძა, წამოვიხედე, აქეთ-იქით ვიყურები, ვამბობ, მამაჩემს აქ რა უნდა. ის ბინაშია, კაცო, საწყელ ბინაში, აქედან კარგა შორია. მოღრუბლულა, ბნელა. ცოტა-ცოტა წვეთებიც ჩამოდის წვიმისა. ისევ მივწექი, ჩავყავი თავი ნაბადში. ბურანში წავედი, უნდა ჩამეძინოს და ისევ მომესმა, ისევ იმავე ხმამ გაჯავრდომით დამიძახა: ბალღო, აკი გითხარი, ადგილი გამაიცვალეო. წვიმა დაუწყია. აქა-იქა ელავს კიდევაც, ცერის პირებს გრუხუნი მოჰყვება. ვამბობ ჩემთვის, ეს რა უნდა იყოს, ნეტა რა არი? ავდექი და ერთი ათი საუნით ქვეეით გადავედი, ნაწიდრის ქვემოთა პირში დავწექი.

ამასობაში წვიმამაც იმატა და ჭექა-ქუხილმაც მოუხშირა. მაგრამ, ხომ იცი, აბა, რა გესწავლება, მეცხვარეს ძილი საძებნი რომ არა აქვს, ისევ ღამძინებია. ერთიანად ისეთი იჭეხნა იქვე, ჩემი ყურის ძირში, რო ვთქვი, ეგაა, ნამდვილად ცა ჩამოიქცა-მეთქი. ფარა

წამოფრთხა და ზედ გადმომებერტყა. წამოვდექი, მაგრამ კარგა ხანი ვერც ვერაფერი დავინახე, ვერც ვერაფერი გავიგონე, გაბრუებულ-დაყრუებული ვბორიალობ ადგილზე. როგორც იქნა, გონზე მოვედი. ფარას ბოლო პირი დავუჭირე, ზევით ნაწიდარზევე შევბერტყე და დავწექი.

გათენდა. გათენებისთვის წვიმამაც გადაიღო, ისევ გაიდარა და რასა ვხედავ, მე რომ ვიწექი, იქ თავთან ერთი ჩალხანა მედგა, სპილენძის ქვაბი, ჩაღმები ერაწუნას არ ეძახით, აი ისა. ეს ქვაბი ზედ შუაზეა გახეთქილი. მეხი ჩამოვარდნილიყო.

აბა, არ არიან მეცხვარეთმოცაური ანგელოზები? მაშ რამ არ დამაყენა იმ ღამეს იმ ადგილზე? ცხადია, ანგელოზმა. მოდი, ჩემო გიორგი, მეცხვარეთმოცაურ ანგელოზებს გაუმარჯოს ღმერთმა, იმათი სადიდებელი იყოს!

გაუმარჯოს მეცხვარეთმოცაურ ანგელოზებს!

ჩიჩიკას ოცნებები

შუადღის ფარას წველიან. ცხვრებით ჩახინცული ბაკის მდორე მასაში გაფანტვით მოჩანს მწველავების თავები. დასიცხული ცხვრების ხვნეშა-ქაქანი, ცოხნის ხაწა-ხუწი, წყვილ-წყვილად წამოსული რძის ნაკადების ჩხრიალი ერთმანეთში ირევა. დროდადრო გაისმის ჯეილების შეხუმრებები, გამაქილიკებელი თუ გამაძხნევებელი შეძახილები.

ქოხში კი ორნი არიან. მოხუც გაბრიელს დიდ საჯალაბო ქვაბში გორდილა ჩაუყრია და კერას დასტრიალებს. იქვე საწველ კასრზე ჩამომჯდარი 10-12 წლის ბიჭი ჩუმად შეჰყურებს "პაპას" საქმიანობას.

რაღაცას აუშფოთებია ჩიჩიკა, ქოხის კარის თავზე, დირესა და სახურავს შორის ბუდე რომ აქვს. მიფრინდება

ბუდესთან, მაშინვე გამოფრინდება, კესის სიპზე შემოჯდება, უცბადვე ხან ერთ ჩხაზე გადასკუპდება, ახლა მეორეზე, ადგილზე ცმუტავს, მოუსვენრობს, ჭყივის, ისევ ბუდისკენ გაფრინდება, მერე ისევ გარეთ და ასე.

— კნათ,[1] პაპას კაცო, შენ ხომ არ იცი, რატომ ტირის ეს ჩვენი ჩიტი, რა დაემართა? — ერთი მუგუზლით ცეცხლს გულს უჩხრეკს გაბრიელი.

— ვიცი, პაპა, კვრცხები დავუჭამე.

— რა? — მუგუზალი ხელში გაუშეშდა მოხუცს.

— ხო, მე შეკწეი და დავჭამე.

---

[1] კნათ — ბიჭი (ბაცბ.)

მოხუცმა ახლალა შეამჩნია კერის პირას დაყრილი ნახევრადდამწვარი სიფრიფანა ჭორფლიანი კვერცხის ნაჭუჭები.

— ა, დიდება... ბიჭო, გაგაძღო?.. გაგასუქა?.. გაგავსო?.. დამეკარგე აქედან, ფჰარინ კაწ,[2] ძაღლის დაგდებულო!

კარში გავარდნილ ბავშვს მიყოლებული მუგუზალი ქოხის გასასვლელის ყორეს მიეფშვნა.

— ამ მოყვარულ 'პაპა-შვილიშვილს" შორის რაღა შავმა კატამ გაირბინა ნეტავი? — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა მწყემსმა, ის-ისაა რძის ქაფით თავმობმული კასრი საწურ კათხაში რომ ჩაცალა.

[2] ფჰარინ კაწ — ძაღლის ლეკვი (ბაცბ.)

ბალღი

შვიდი-რვანი ვართ საწველ ბაკში. შუა აგვისტოა. ცხელა.

— რამდენი ხანია, დიტოს მოტანილი წყალი აღარ დამილევია, ნეტა როგორიღა წყლის მოტანა იცისო, — გახედა ზეზვამ ბაკის ღობეზე ჩამომჯდარ პატარა ბიჭს.

— წყალი მანდ გიდგას და დალიე, ნუ გიყვართ ეს ბალღების წვალებაო — ბაძაგელამ.

ბაძაგელა სტუდენტია. ჩემსავით პარსვაში მოსაშველებლადაა მოსული, მამასა და ძმას ეშველება.

— არა, დიტოს მოტანილი მესიამოვნება, თორემ განა წყალი არ არისო — პარსვას აგრძელებს ზეზვა.

— მოვიტან, კაცოო, — ჩამოხტა ღობიდან დიტო,

კასრიდან წყალი დააქცია და ჭირკვანა[3] ბილიკზე ხტომა-ხტომით დაეშვა წყაროსკენ.

ბაძაგელ, შენ ამათ აბა ერთი ის უამბე, წყაროს გზა რომ გვასწავლეო, – ზეზვამ. შიო და ლეო იცინიან.

– ოხ, რაც იმ ზაფხულს ამათ მაწვალეს! ჯერ იყო და წველაში. გადავლეს ბაკში და ხან ერთი დაიძახებს, ბალღო, წყალიო და ხან – მეორე. მერე და ცოტა ხნის წინ მოტანილს კი არა სვამენ. სულ ახალ-ახალი უნდა უზიდო წყაროდან. მოვიტან წყალს, ჩამოვურიგებ სუყველას, დავალევინებ და რომ მგონია, ეხლა კი ცოტას დავისვენებო, კიდევ ვიღაცა დაიძახებს, ბალღო, წყალიო. მივუტან და ესაო თბილია, სხვა მოიტანეო. ამ ზეზვამ იცოდა კიდევ, ცოტას მოსვამს და გადაღვრის, ბალღო, გემოთი არ გასინჯეო, ხომ ხედავ, დამჟავებულა, წადი, ახალი მოიტანეო. ვახ, მოეკვდი კაცი, დავიღალე. ერთხელ კი შევბედე, წადით და ეხლა თქვენ მოიტანეთო და ჩვენაო წყაროს გზა არ ვიცითო, თორემ განა შენ გაწვალებდითო.

ერთხელაც სულ ათი-თხუთმეტი წუთი არაა გასული,

---

[3] ჭირკვანა – დაკლაკნილი, მიხვეულ-მოხვეული გზა.

წყალი მოვიტანე და ეს შიო ეუბნება ბესარო პაპას: კაცო, ბესარო, შენ მაინც უფროსი კაცი ხარ, არც შენ იციო წყაროს გზა საით არისო?

– არა, კაცო, ისე გადავყრუვდი რო სულ აღარ მახსოვსო.

– კაცო, ზეზვა, შენც არ იციო? და

– აბა მე საიდან მეცოდინება, წყალი სულ ბაძაგელას მოაქვს, მე წყაროზე არც კი ვყოფილვარო – ზეზვამ.

– ახ, ნეტავი ეროი მაცოდინა, წავიდოდი, წყალს მოვიტანდიო – შიომ.

მე ვზივარ ჩემთვის, ვითომც არაფერი, ხმას არ ვიღებ.

– ბალღო, არ გეყურება, რატო არ მიდიხარო, – მამაჩემმა წამტია.

– მე როდის მეუბნებიანო – ბუსღუნ-ბუსღუნით დავაელე კასრს ხელი და წავედი.

ვთქვი ჩემთვის გ'ხაში, აი დედას გიტირებო, თქვენ თუ წყაროს გზა არ გასწავლოთო. მივედი, ავავსე კასრი, დავდგი იქავე და უცბად ავტეხე ღრიალი, ვაიმე, მი'შველეთო. ვღრიალებ, კაცო, არა ვჩერდები და დადგა კიდეც გრიალი. წინ ზეზვა მოფრინავს, ყველაზე ჯეილი იყო მაშინ, მერე შიო, ბესარო და სხვები მოსდევენ, სულ უკან მამაჩემი მოთრახუნობს. სანამ ახლოს მოვიდოდნენ, მე, ყოველი შემთხვევისათვის, განზე გავდექი.

– რა იყო, ბალღო, რა გაღრიალებსო – ზეზვა მოვარდა.

– აგე, წყარო ემანდ არისო – და ვცვითე თავი საჟოლოვნისკე.

– ოხ, შე გამჩენძაღლო, შენაო, – ატეხეს ამათ სიცილი.

– ოხ, შე მშობელძაღლო, – გამოქანდა მამაჩემი და რომ ვერ დამეწია, წამოაღებინა ქვებს სუსუნი, მაგრამ რას დამაკლებდა, ის ვაკისძირის ვაკე განახევრებული მქონდა.

ქიხიუკის ამბავი

ტარიბანაში ვიდექით საზამთროდ. იმ წელს მგელი იყო, მგელი იტევებოდა, რომ ჩემი ამდენი ხნის მეცხვარეობაში ეგეთი მგლიანი წელი არ მახსოვს. თუ დღისით მინდორში, თუ ღამე ბაკში და ფარეხში, იგეთი დღე არ გავიდოდა, რომ ერთი მაინც არ გაეტანა. ძაღლებიცა გვყავდა, კარგი ძაღლებიც, მაგრამ არა... იგეთი დაგეშილები იყვნენ, იგეთი დამამაძაღლებულები, რომ საიდან რას შეიპარებოდნენ, საიდან რას გაიტანდნენ, ვერც მწყემსი იგებდა ვერაფერს და ვერც ძაღლი.

გვიანი შემოდგომაა, ზამთრის პირი. ის დრო კია, რომ ცხვარი ჯერ ფარეხში არ შეგვირეკია, ბაკებში ვაყენებდით ისევა. საღამოხანს თუში მოგვადგა ერთი, პატარა ნოტო ჰყავს, ერთი ოთხმოც-ასამდე იქნებოდა.

ძაღლი სტანია კიდე, ტანმორჩილი რაღაცა, მოყვითალოსავით. ბანჯგვლიანი კია, კუდდაშვებული. ჯერ ის გამიკვირდა, რომა, ჩვენი ძაღლები რომ გაუცვივდნენ, ამან ყური არ უკბდო – არც ღრენაო, არც კუდის აწევაო, როგორც მოდიოდა, ეგრევე წამოჰყვა თავის პატრონს. ხვადი კი იყო, მაგრამ არც ჩვენმა ძაღლებმა მიიტანეს ძალა. იგეთი ავ-შავი ძაღლები გვყავდა, სხვა დროს უცხო ძაღლს ეგრევე გადათელავდნენ ხოლმე და ამას არა, მარტო მიუარ-მოუარეს, დასუნეს და შეეშვნენ, ხმაც აღარ გაუციათ.

იმ თუშმა, რომაო, ადგილი არა მაქო, ფშავლებთან ვიყავიო, იქიდან წამოსვლა მომიხდაო, დავარჩიეო და ესლა ეგრე მოვდივარ, იქნება ვინმეს კაცი სჭირდებოდეს, გამარეევინოს, რომ ეს ზამთარი თავი გავიტანოო. თქვენ ხომ არ გინდათ კაცი, თქვენ ხომ არ გამარეეინებთო. კაცი მართლაც გეჭირდებოდა და ვუთხარი – სარქალი მე ვიყავი – კიო, კაცი როგორ არა გეჭირდებაო, მაგრამ მგელია ძალიან არეული, მგელი გვითავებს ცხვარსა და თუ მაგას არ მეერიდები, დარჩი, იყავი ჩვენთანო.

– არაო – თქვა – მგლისა კი ნუ გეშინიათ, მე ძაღლი მყავსო.

– კაცო, ძაღლები ჩეენცა გეყაეს, თანაც იგეთები,

რომ თითოს შენი ძაღლი ლუკმად არ ეყოფა, მაგრამ არაფერი გაუდითო — ვუთხარი.

— არაო, მე მგლისა არ მეშინიაო და დარჩა.

ამასობაში დაღამდა კიდევაც, ფარებიც მოვიდა. ამისი ცხვარიც გავთვალეთ, გავურიეთ და ცხვარი ბაკში რომ შედიოდა, ეს თუშის ძაღლიც თან შეჰყვა. გამოდი, ძაღლო, შენ სადღა მიდიხარო, დავუტიე. შევიდესო, ამ თუშმა, მაგან თავისი ადგილი იცისო. კარგი, შევიდეს და შევიდეს. მეც დავანებე თავი.

ფარები დავაბინავეთ, ლუბები, კოჭლებიც ფარეხში შევყარეთ და ბიჭებს ვუთხარი, რომელიმე დარჩით ყარაულადა და დანარჩენები წავიდეთ, პური ვჭამოთო. არაო, ყარაულობა არ გინდათ, ფარასთან ძაღლი იქნებაო, თქვა თუშმა. კარგი, რა იქნება. შევედით ქოხში, შევქუჩდით ყველანი. პურსა ვჭამთ, ჯერ პურის ჭამა არ დაგვიმთავრებია და ამ დროს დადგა ძაღლების გნიასი. გამოვცვივდით გარეთა და რასა ვხედავთ: ბაკში ცხვარი მიაწყდება და მოაწყდება. შუაში ერთი დიდი მგელი ტრიალებს, ყელზე ჩანთასავით ეს თუშის ძაღლი ჰკიდია, მიიქნევს და მოიქნევს, მაგრამ ვერ იგდებინებს. ჩვენი ძაღლები კიდე ყეფით ურბენენ ბაკს გარშემო, შიგ ვერ შედიან, ისეა ცხვარი შეკრული.

— ჩუმად, ჩუმად, დააცადეთ, დააცადეთო — ეს თუში გვეუბნება.

იტრიალა იმ მგელმა, იტრიალა და დაეცა. დაეცა და დააჯდა ძაღლი ზემოდან. ცოტა ხანი კიდევ იყო ეგრე ყელზე ჩაფრენილი. მერე გაუშვა და დარჩა მგელი შუა ბაკში. დაეხრჩო.

იმ ზამთარს ხომ ჩვენთან დარჩა ის კაცი. იორდანე ერქვა, კარგი, ჭკვიანი კაცი იყო. ის დღე იყო და მას დღე, ჩვენ მგლისაგან ცხვარი აღარ დაგვკლებია. ის კი არა და ჩვენი ძაღლებიც ისე დაგერშა იმ ძაღლმა, რომ მელებსავით იჭერდნენ მგლებს მინდორში.

გაზაფხულზე, ყავლი რომ გაუვიდა და თავისები რომ დაარჩია წასასვლელად თუშმა, ბიჭებს მოველაპარაკე და რაც ერგებოდა, იმის ზევით სამი თოხლიც ძაღლისა დავუმატეთ ჯამაგირში.

მამის ნაკვეთი

მითხრეს, ერთ ფარას შენ და ხმელოს ბალღი გაჰყევით, ჩვენ ცხენებს დავნალავთო. ზეგ სამთოდ უნდა ავყრილიყავით.

სააკაძის აკაკთან ფარას მარცხენა პირი დავუჭირე, ქვემოდან მენერგეების ფარა გამოიშალა და არ დაგვერიოსო, ვიფიქრე. იმათი მეცხვარე წინა პირს უჭერდა. ჩვენი ფარა აკაკის ქვემოთ სანიავოზე გავიდა, იქ დაეყარა. იმათი ზემოთ გაჩერდა. ბალახიანი გაზაფხული იყო და ცხვარი მალე ძღებოდა.

აკაკის ჩრდილში გავჩერდი. ხმელოს ბალღიც იქ მოვიდა. ჩვენსკენ წამოვიდა მენერგეების მეცხვარეც. სალამი, ქალამი. ერთმანეთს ცხვარ-ბინის ამბავი ვკითხეთ. ხნიერი კაცი იყო, ალბათ სამოცდაათს იქითაც. ყოჩაღად კი გამოიყურებოდა. ფ'შაველი ჩანდა.

რა გვარისები ხართო, გეკითხა. ჩვენ ვუთხარით.

– შენ ირودაის შვილი იქნები, იერუსედა ჰგავხარო, – მე მითხრა.

– ჰო, ირودაისი ვარ-მეთქი.

– ღორის წყალზე ვხვდებოდი ჯეილობას. მე ჯეილად ვიყავი, ის ეგრე, შენ დროთად იქნებოდა მაშინო. ცოცხალიოთ არი, როგორ არისო, მოიკითხა.

– სამი წლის წინ გავისტუმრე-მეთქი, ოთხმოცდარვისა.

– ღმერთმა აცხონოს. ჭკვიანი კაცი იყო, ჭკვიანი სიტყვა იცოდა. ჩუმი კი იყო, ცოტას მოლაპარაკე.

ხო და იმ ფშაველმა მიამბო. იოსები ერქვა. ჩარბოდაშვილი იყო გვარად.

ერთი დროა, ჯერ მამაშენმა დაალევინა ფარას წყალი ღორის წყალზე და მერე მე ჩავრეკე. სასაუბროდ დამიცადა. ამბავი, მოკითხვა. თამბაქოს ქისა ამოვიღე, პაპიროსი გავახვიე და იმასაც მივაწოდე, თითო გავახვიოთო, უთხარ ბიძაო. მადლობელი ვარ, არა ესწევ პაპიროზსაო, მითხრა. როგორო, ვუთხარ, მთელი დღე მარტუა რომ დახვალ, ფიქრს, დარდს რაით იმქავრებ, გულს რას აყოლებ, თუკი არ მოსწიეო. ნელა ჩაიცინა. ჭკვიანი ჩაცინება იცოდა სულგანათლებულმა. აბა ერთი ამოიღე ეგ შენი

სათამბაქოე ბალა-კარტები აქ დააწყეო მითხრა. ეგრე ვსხედვართ ბექზედა და შუაზე ერთი ქუდური გვაქ, ბორტვის ქუდური. ამოვიღე და დავაწყე იმ ქუდურზე: ქისა, ქაღალდი, ტალ-კვესი, აბედი, – მაშინ ტალ-კვესობა იყო, პრიჭკა-ასანთი არ იმდენად იშოვებოდა. – მუშტუკიცა მქონდა, დიდგულისაგან თავად გამოთლილი. აი, ხედავო, მითხრა, რამდენი რამე სჭირდება მაგ შენ მოსაწევსო. ისე როგორ იქნება, ან ერთი არ შემოგაკლდეს, ან მეორე, ან მესამეო. ეგ რა ყიქრ-საგონის წამალია, სადარდებელს ეგ უფრო არ მოგიმატებსო? გულის გასაყოლებლად კი მე ამხანაგი მყავ, გულს ამხანაგს ვაყოლებო.

– რა ამხანაგი, მე აქ ამხანაგი არავინ მინახავ, სულ მარტოკა არ დასდევ ფარასო? – ვუთხარი.

– როგორ არა, მყავ, მაგრამ შენ ვერა ხედავო. აი, ჩემი ამხანაგიო და ქათიბის უბიდან წიგნი ამოაძვრინა. შავყდიანი წიგნი იყო. ყუა და ნაპირები შემოცვეთილიდა ჰქონდა უბეში დებისაგან. ზედ გრძელი, ვერცხლისფერი ასოებით ეწერა ვაჟა-ფშაველაო.

იმის შემდეგ რამდენი წელი გავიდა და სულ ის მამაგონდება, იმის ნათქომი, როცა ან თამბაქო გამითავდება, ან ცეცხლ-ასანთი. ღმერთმა გაანათლოს. ჭკვიანი კაცის ჭკვიანად ნათქომნი არაით დაავიწყდებიან,

თუ ვინ ჭკვიანად გაიგონებს.

იმ წელს კიდევ ერთხელ გადავაწყდი მამაჩემის ნაკვალევს.

ხორხლის რიყეზე ჩამოვედით მთიდან მომდინრები. ბინა-ბარგთან მე და ხმელო ვართ. ხმელო ცხენებს უდგება. გარეშემო სიმინდებია, ვენახებიც. ცხენები იქით იწევენ. ზვრებს შუა, საურმის პირში, ვიღაცას თელა ჩამოუკაფია, ტოტები ყრია, ფოთლებგამხმარი ტოტები. იქით წაყყდი. უნდა მოვიტანო, ცეცხლი დავანთო, ფარების მოსვლამდის ბიჭებს ვახშამი მოვუმზადო. სანამ გუდურებს შევკრავდი, ამ საურმეზე ოჟიოს მხრიდან ერთი კაცი გამოჩნდა ვირის ურმით. ახლო მოვიდა, ცალხელა იყო.

– მაიტა, თუშო, ეგ ფიჩხები აქ დაყარე, მიგატანინებო, – კოფოზე ცალ მხარეს გადაიწია. გუდურები ურემზე დავაწყე და თანვე გავყევი. სიტყვამრავალი მოხუცი ჩანდა.

– რა ვქნა, ბალღო, ბალღობა არ მიწყინო, ჩემთან ბალღი ხარ, აბა რა ხარ, შენა ირადუასი ხო არა ხარ? ხმაც სულ იმისი გაქ და შახედულათაცა ჯგეხარო – მეუბნება.

– ხო, ირადი ერქვა მამაჩემსა, იცნობდი-მეთქი?

– როგორ არ ვიცნობდი. ბიძაჩემ მელქუას მეგობარი იყო, იმათთანა ვხვდებოდი ხშირათა. პირველადა, იმ გასაწყვეტლებმა ხელი რომ მამაწყვიტეს და შინ ჩამოვედი, იმ შემოდგომას შევხვდი, მაშინ გაკიცანი.

ბიძაჩემ მელქუას ბალღი გამეეგზავნა, მეგობარი სტუმარი მყავ, მარტუები ხომ არ დავსხდებით, გადმოდითო. მე და მამაჩემი წავედით. საკლავი მეეყვანა მამაშენსა, ის დეეკლათ. ყველიც მოეტანა. მარჯვე ქალი იყო ბიძაჩემ მელქუას ცოლი, კარგი პურ-მარილი გაეწყო. დავსხედით.

— აბა, ირადუავ, შენ იცი, კაი პური გვაჭამეო — თამადად დააყენა მელქუამა. მე ყამბობ, ამ თუშმა, მეცხყარემ ღვინისა რა იცის, ამან რა პური უნდა გვაჭამოსო, მაგრამ დაიწყო და რა დაიწყო! სადღეგრძელოები თქვა იგეოები, რომა არც მანამდე და არც მერე, ამდროულა კაცი ვარ და სხვებისაგან არ გამიგონია, მე ეგეთი თამადის მნახველი არა ვარ. სუ გაშტერებულები შევყურებდით მე და მამაჩემი. სადღეგრძელოს რომ იტყოდა, თანვე ლექსს დააყოლებდა. ან სადა ჰქონდა იმდენი?! კინაღამ თენდებოდა, ღმერთი რომ შეიწია. არ უშვებდა ბიძაჩემი. შიშიანობა იყო, ყაჩაღები უხვდებოდნენ, ძარცვავდნენ ხალხსა. არ დაიშალა, ცხენი შაკმაზა, შაჯდა. გამარჯვებისა აქ გამომიტანეთო, ცხენდაცხენ დალია წამსვლელ-დამრჩომისა, მიაბრუნა და ალბათ ალავერდს გაცილებული იქნებოდა, რომ კიდევ ისმოდა გაჭენებული ცხენის ტყრიალი.

ლითკის გონებაზე

ვალიკო ცოქვიაიძეს

როგორც კი სკოლიდან დამითხოვდნენ, მოვიდოდა მთიდან მამაჩემის 'ბრძანება", – ეგ ბალღი მანდ ბაყაყივით დილიდან საღამომდის ალაზანში არ იჯდეს, აქ ამოვიდესო. ხო და მეც მივდიოდი, გავყვებოდი საბარგოდ ჩამოსულ მეცხვარეებს.

კოჭლები, ჭედილები, ვირები, წყლის მოტანა და კიდევ რაღა არა – ცხვრის ბინაში საბალღო საქმეს რა გამოლევს. ვიყავი ეგრე მთელი ზაფხული გად-გამოდიში.

ერთხელაც მებერწე გაუხდათ ავად, შინ გაუშვეს. დარჩა ფარა უმწყემსოდ. ერთი-ორი დღე ტურამ სდია. ღამე ბინასთან აყენებდა, შუადღისას ის წველაში ჩამოე'შველებოდა, ფარასთან მე ავდიოდი. მოწველის

მერე ამოვიდოდა და საღამოს ერთად ჩამოვაყენებდით. მერე თქვეს, რომაო აქ, ბინის გასადევარში, ეს ბერწი[4] არ მოიხდინება, საწველავს უშლის, ბინას უნდა მოვაშოროთო, მაგრამ მწველავიც რომ გვიჭირს, რა ვქნათ, ვინ გავაყოლოთო?

– ვინა და ბალღი გავაყოლოთო – ტურამ – დღისით ხომ მაინც ეგ უვლის და ჩემი ძმობილი ყოჩაღია, ღამეც შეინახავსო.

– ბალღო, გაჰყვებიო?

– გავყვებიო – მეც. პატარა ვარ, კაცო, მგონი მეექვსე კლასი რომ დავამთავრე, ის წელი იყო. ან როგორ მანდეს, რა ვიცი. გათვალეს და გამაყოლეს.

საღამოსთვის ტურა ამომივიდა, ვირით ნაბადი და ჯირა-მარილი ამომიტანა, ნაწიდარი[5] ამიჩინა, დამაბინავა. ერთი ძაღლიც ამოიყოლა, ჭრელოს ვეძახდით, ესეც შენი ამხანაგი იქნებაო. ღამეც ჩემთან დარჩა, დამარიგა, გეზები მასწავლა: ეგრე გაშლი, ეგრე აძოვებ, ეგრე ჩამოაქუჩებ. დარში მაღლა გაუშვი, ავდარში ბოლოებში ატრიალეო. ღამე ფრთხილად იყავი, არ გაგეშალოს, მაგრად არ დაიძინო, დათვმა

---

[4] ბერწი – მშრალი, რომ არ იწველება, იმ ცხვრების ფარა. მებერწე – ამ ფარის მწყემსი.

[5] ნაწიდარი – ფარის ღამის სადგომი ველზე.

არ წაგიყვანოსო.

— დათემა არაო — ვითომ არ დავიჯერე.

— არა კი არა, ეგრეაო — მეუბნება — დათეს ხომ იცი, ბალღი ურჩევნია ცხვარს. მოვა ღამე, დაგსუნავს ნაბად'ში გახვეულს, დაგტოტხავს,[6] ყურს დაგიგდებს, რომ დაირწმუნებს, ბალღია, ამოგიჩრის იღლიაში და ჰაიდა, ჩაეფარება შავტყისკე. ძალიან ფრთხილად უნდა იყოო.

— კი, აბა, როგორ არაო - არ ვიჯერებ.

— ხო, ხო, ეგრეა. თავად მე რამდენჯერ ვყავარ ბალღობაში ნათრევი. ხან ვინ დააგდებინა ჩემი თავი და ხან ვინაო. — სერიოზულად ამბობს, არც ეღიმება.

— კი, კი, როგორ არა, ეგაა და დავიჯერეო — იხტიბარს არ ვიტეხ.

— მე მითქვამს და თუ გინდა, ნუ დაიჯერებო.

დილას ფარა ერთად გავშალეთ. ტურამ ვირს ქოჭები დაადგა, თავისი ნაბადი ჩააკრა, საბელი დააკეცა, წამოიგდო წინა და წავიდა. ძაღლი აედევნა. დაუტია, დააბრუნა, ერთი-ორი გოხიც მოაყოლა. მე დავუძახე, მოვეფერე, ერთი გუნდა ხალი დავუგდე. ცოტა დაფიქრდა, ხან მე ამომხედა, ხან გუნდას დახედა, ბოლოს შეჭამა.

---

[6] დატოტნვა — ხელით, ტოტით მოსინჯვა.

ვიფიქრე, ეგაა მითავისა, ალარ წამიეაო. ფარას რომ გავყევი, ისიც გამომყვა, შუადღემდის ჩემთან იარა. ნაშუადღევს დააკრა და წავიდა. რაც მე იმას ვეძახე, ჭრელო, ჭრელო-მეთქი და აბაა? არ გაჩერდა, წავიდა. დავრჩი ამ ხორხში მარტოკა.

დღისით არაფერი, ფიქრი არაფრისა მაქვს, დავდევ, დავყვები ფარას. კარგი საძოვებელია საჯინჭვლის ხორხი, უდეკო, საქეჩავები[7] არა აქვს. დილას გაშლი ერთ გეზზე, წავა ცერამდის, საღამოს დააბრუნებ იმავე გეზზე და ჩამოაქუჩებ. ბერწი მოსავლელად ადვილია, არ იფანტება, ერთმანეთს მისდევს. რო დაღამდება, ვივახშმებ დ დავწვები, აი მაშინ მომაგონდება ხოლმე ის ტურას დათვი. მეშინია, არც მეშინია, მაგრამ რატომლაც მომაგონდება კი.

ერთი დროცაა, არ ვიცი, მერამდენე დღეა, რაც ფარას დავდევ, ღამეა, ვწევარ თეოზე, მძინავს და ამ მხარზე რაღაცამ გამომკრა, თითქოს ტოტი გამომისვა ნაბდის ზემოდან, გამომაღვიძა. დავუგდე ყური, რაღაცა დამსუკსუკებს, დამფრუტუნებს, თითქოს მსუნავს. მერე მხართან დამტოტნავს თითქოს, რაღაცას მიჩანდურებს.

---

[7] საქეჩავი — დეკიანი ადგილი საძოვარზე, სადაც ფარა არ გაივლის, თუ ძალით არ გარეკე, გაქეჩე.

ვილაცაა თუ რაღაცაა, ტოტითა მსინჯავს. ვაი, გაგიწყრა ღმერთი! აი ეხლა მოვიდა დათვიო, ვიფიქრე. გავისნაპე, გავისნაპე, სუნთქვა გავკმინდე. არა, კაცო, ის რაღაცა არ მეშვება, მსუნავს, თან ისევ და ისევ გამომკრავს თათს, ნამდვილად მტოტნავს. ვარ ეგრე გასნაპული, მაგრამ განა რამდენი ხანი გასძლებ კაცი უსუნთქავად. ვთქვი ჩემთვის, ეს ხომ მაინც ვკვდები და ვკვდები, მაგრამ ხალხს იმას მაინც ნუ ვათქმევინებ, შეეშინდა, ხელგამოუღებელი მოკვდაო. დანა მაქვს, ქარქაშიანი დანა, ტურამ მათხოვა თავისი, ქამარზე მკიდია. ამოვიღე ეს დანა, კარგად დავბღუჯე, გავყავი ხელი ნაბდიდან და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქნიე. გავიქნიე და რაღაცას ეკარი რბილში, ყუნწამდე წავიდა და, კაცო, თხამ არ დაიჩხავლა. თურმე თხა ყოფილიყო. გათენდა და ერთი მამაჩემის თხა იყო, ლურჯი თხა, ის დაათრევდა ნაწიდარზე ნაწლავებს.

❊ მურა ❊

დღეს ჩემსა და მურას შორის ცოტა რამ გაუგებრობის ნიადაგზე კაცური სამდურავი ჩამოვარდა, მაგრამ გარემოებამ მალე კაცურადვე შეგვარიგა.

საქმე ისაა, რომ, როგორც მეცხვარეები ამბობენ, მურა 'მოუხდენელი" ძაღლია – უცხოსა და ახალმოყვანილს ვინ ამბობს, ბინის ძაღლებსაც კი ვერ იტანს თავის სიახლოვეს, ხვადებს, ცხადია, თორემ ძუებს, იცოცხლეთ, ეკურკურება. იცის კაცის ამოჩემებაც – ამორჩევა – და მის ახლო-მახლო სხვა ძაღლის გამოჩენას რატომღაც თავისადმი მტრობად ჩათვლის და ხელათ აუჩეჩავს ხოლმე ქეჩოს.

მე როგორღაც თავიდანვე მოვეწონე, მალევე დამიძმაკაცდა. ამ მგზავრობაში ხომ მთლად დამიჯალაბა[8] და არა მცილდება – ცხენებთან თუ ვარ, ცხენებს

[8] დაჯალაბება – გაშინაურება, თავისიანად ჩათვლა.

მოჰყვება, ფარასთან ვარ და ისიც იქვეა, მხარმარჯვნივ, ჩემსავე სიახლოვეს.

ამ დილას, ფარები რომ ავშალეთ და წამოვედით, გიჟო და ბოღვერაც მე წამომყვნენ. მებინავე ვარ, საღამოობით სალაფავს მე ვუთქვეფავ და, ალბათ, მადლიერების გამო თუ იყო, ჯერ გამელაქუც-გამომელაქუცნენ და მერე ისინიც თანვე ამედეკნენ მხარმარცხნივ. მურას, რა თქმა უნდა, ეს ძალიან არ მოეწონა – ჯერ შორიდან აუღრინდა, დაღრენილი ლაშებიდან ავად გამოაჩინა ჩაჟანგული კბილები, მერე ახლოს მოიწია და აუყეფდა. ამათ მაინცა და მაინც დიდად არაფერში ჩაუგდიათ ამისი ღრენა-ყეფა. ღრენაზე ღრენითვე უპასუხეს. ის კი არა, ბოღვერამ უფრო ახლოსაც მოიწია ჩემკენ და როცა ყეხზე ბეჭითაც გამეხახუნა, ეს უკვე ვეღარ აიტანა მურამ, გადმოუხტა და გაუსვა და გამოუსვა თავ-ყურში. გიჟო და ბოღვერა ერთი ბუდობის ლეკვები არიან, ერთად დაზრდილები და, ცხადია, ქომაგიერებიც. ბოღვერას გიჟოც გადმოეშველა და წაეიდა ჩხუბი.

ეს ორნი ჯეილები არიან, კბილებიც თეთრი და ბასრი აქვთ და ჯანიც ერჩით. მურა ბებერია, კბილებჩაჟანგებულ-ჩაბლაგვებული. ჩხუბში მარტო გულისა და ძლიერი მკერდის იმედით გადის, თორემ

კბილს მაინცა და მაინც ველარ აჭრევინებს. ახლაც, ალბათ, არ ასცდებოდა იმ შავი ქათიბის დახევა, მეშვლად რომ არ ჩავსულიყავი. მოჩხუბრები გავყარე, გაწყრომით კი მარტო მურას გავუწყერი: რათა ხარ ეგეთი მოუხდენელი, რას გიშლიან, იყვნენ ეგენიც, შემჭამენ თუ რა არის-მეთქი.

მაშინვე შორს გადგა. ცოტა ხანს ეგრე იარა, კარგა მოშორებით. თანდათან ფეხს აუჩქარა. ძუნძულზე გადავიდა, ერთი ათიოდ ნაბიჯზე რომ გამცდა, ერთიც მომხედა, მერე დაადო თავი და წავიდა წინ. წინა ფარაში თავისი კიდევ ერთი რჩეული, ბასიკო, ეგულება და, ალბათ, იმას დაეწევა.

ასე ვიარეთ შუადღემდის: არც წინა ფარა დაგვილანდავს სადმე და არც მურა. გიჟო და ბოღვერა აღარ მომშორებიან გვერდიდან.

ალაზნის არხის სათავესთან გამოვედით. ეს მგზავრი ფარების დასასვენებელი ადგილია ტრასაზე. დაკავებული დაგვიხვდა – ალმატელების ფარები იყო გაშლილი. ჩვენი მოწინავე ფარა არ გაჩერებულიყო, ან სად გაჩერდებოდა, წამოსულიყო. ჩვენც მარცხნიდან ავუარეთ და წამოვედით. კახებმა ცხვარში ბევრი ძაღლები იკიან – თითო ფარასთან ოთხი-ხუთი მაინცაა ხოლმე. აქაც კარგა ბლომად ჩანდნენ, დიდებიც და

პატარებიც. ამათ რომ გაეუპირისპირდით, ჯერ ლეკვები და ძუები აწკავწკავდნენ, მერე ხვადებიც აღაღავდნენ, ყველანი ერთად გამოიშალნენ, წამოვიდნენ ჩვენსკენ. აქეთ გიჟომ და ბოღვერამაც აიშალეს ქედზე ბალანი, გაუსვეს მიწას უკანა ფეხები. თავიანთ ფარებს რომ გამოსცდნენ, იმათი ძუები და ლეკვები გაჩერდნენ, ხვადები წამოვიდნენ – ორნი ერთი ფარიდან, სამნიც – მეორიდან. სულ ხუთნი არიან და ჩანს, არც ჯაბნები: ტანადაც კარგებია, თანაც ჯეილები. რატომღაც იერიში კი მაშინვე არ მოიტანეს, ადგილის რიდი დაიჭირეს თუ რა იყო, შორიახლოს გაჩერდნენ და იქიდან დაიწყეს ყეფა. ჩემები ჯიქურ წავიდნენ – ჯერ ბოღვერა, ზედვე გიჯო. გიჟო იმდენად არა, მაგრამ ბოღვერა ისე მიიწევს ჩხუბში, ასე გონია, ლხინში მიუხარიაო. გვერდზე თუ ქომაგი ეგულება, თუნდაც ლომს შეებმის. ახლაც ერთი კი მოხედა გიჟოს და რომ ნახა, აქვეაო, პირდაპირ 'შევარდა 'შუა გუნდ'ში. გიჟოც 'მიჰყვა და აირია კიდეც მონასტერი! დატრიალდა და რა დატრიალდა! დადგა ბული და კორიანტელი. ამ კორიანტელ'ში და კახების ჭრელ ძაღლებში აქა-იქა გაიელვებს გიჟოს მოყვითალო და ბოღვერას თეთრი სხეული. არ წაქცეულან, ფეხზე არიან, მაგრამ ჩავარდნენ კი შუა ქუნდრუზაში. ის იყო, ჯოხი მოვიმარჯვე და მისაშველებლად წავედი, რომ

მომესმა მურას ქუხილი. გავიხედე და მოქრის შარაზე სულ მაღლა-მაღლა ფრენით, მგელმა რომ იცის, ისე, შავი ალ-ქაჯი! წუთსაც არ გაუელია და პირდაპირ დააცხრა ზემოდან მოჩხუბარი ძაღლების გროგას. დააცხრა და გაფანტა უცბადვე, გაშალა არეული გორგალი. თითო-თითოს შერჩნენ გიჟო და ბოღვერა, სამს შუა მურა დატრიალდა. ო რა ლამაზად მიდიოდა მკერდით ცალთვალა ბებერი! რომელსაც დაეჯახებოდა, ფეხზე არ აჩერებდა. ერთს რომ ამოიქვეშებდა, მიბუბნიდა, ახლა სხვას დაეძგერებოდა. ის მითეთქვილი უკვე ზედ მისვლას ვეღარ ბედავდა. ამასობაში გიჟომ და ბოღვერამაც დაპრიეს ხელი თავიანთ წილნარგენებს და როგორ მოხდა, არ ვიცი, ეს სამნი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ ცალ მხარეს, მეორე მხარეს ის ხუთი მოიქციეს და ერთიც რომ შეუტიეს, იმათ ჯერ უკან-უკან დაიხიეს და მალე, იცოცხლე, მოკურცხლეს კიდევაც. ამათ ჩვენი და იმათი ფარების საშუალომდე სდიეს და მობრუნდნენ, წამოვიდნენ ჩემსკენ. მოდიოდნენ გიჟო და ბოღვერა ჩუმად, თავდახრილები, მურა ხან ერთს აუყეფდებოდა ყურთან, ხან – მეორეს. ესენი კიდე ხმას არა სცემღნენ, არ ეპასუხებოღნენ.

მე მურას დავუძახე. მოვიდა, მოვეფერე, ქეჩო მოვუსრისე, ყოჩალ-მეთქი, შევაქე. ისიც მომექედლა, ბეჭით

გვერდზე მომაწვა, ამომხედა თავისი ერთი საღი თვალით, შემოატრიალა მეორე, ნახევრად ჩაშრეტილი შავი, უთეთრო გუგაც. დამშვიდდა, დაწყნარდა და გამომყვა ჩვეულებრივ მხარმარჯვნივ. მხარმარცხნივ ისევ გიუო და ბოღვერა მოდიოდნენ, მაგრამ მურა მათ აღარ ეხუბებოდა, თითქოს აღარც კი ამჩნევდა მათ არსებობას.

ბასიკო: რა ვიცი, კაცო, მე ძაღლების ხმა არ გამიგონია. ეგეც იგრევე მომყვებოდა გვერდზე, როგორც იცის ხოლმე. უცბად გაჩერდა, ყურები ცქვიტა, რაღაც წაიყეფასავით, მერე ერთი მიტრიალდა და წამოვიდა დადულუკავებული. მაშინვე კი ვიფიქრე, ალბათ, ჩვენ ძაღლებს სადღაც ჩხუბი აქვთო და აკი ეგერეც ყოფილა. ყური ვუგდე და როდის, როდის ძლივს სადღაც გავიგონე მოჩხუბარი ძაღლების გნიასი.



თომა ანთაიძეს

— ჯამრული? ჯამრულიძე? უხ, მაგისი სახე რა ვთქვი, მაგისი... ძმაკაცი მაინც არ იყოს! ან შევაგინებდი, ან გავლანძღავდი, ვცემდი. უხ, ეგ არ იყოს... ძმაკაცი არ იყოს... იქნება მომეკლა კიდევაც. არა, ნამდვილად მოვკლავდი, მაგრამ ძმაკაცი რომაა? ძმა-კაცობას რა ვუყო! ხალხი რას იტყვის, ძაღლის გამო ძმაკაცს წაეჩხუბაო. — კაი გვარიანად შესმული თომა ბდღვინავს, ჯავრობს, ქოთქოთობს.

— არა, ის ხომ ძაღლი არ იყო... ძმა იყო, კაი ძმა-კაცი, გაჭირვებაში იმედი, კარგი ამხანაგი. აბა, მე გიამბობ და შენ თავადა თქვი, ძმაზე ნაკლები თუ იყოს.

იმ ზამთარს თოხლში ვიყავი მარტო. სათოხლე ბინა ხომ იცი ჩვენი, პატარა შირაქის კუდშია, ახლოსვე,

პირველ მისასვლელში. ხოდა იქა ვარ მარტო. მარტო კაცი ვარ, თორემ ამირანი მყავს თანა და რომელ ამხანაგს არა სჯობია. სინდისს გეფიცები, თუ ცუდ ამხანაგ კაცს ის არა სჯობნებოდა, მაგალითად – ხინკლიას. ის არ დათვრებოდა, ჩხუბს მაინც არ ამიტეხდა, არ ამიშარდებოდა. ცხვარ-ბინასაა და ისე ჰყარაულობდა, როგორც იმედიან ამხანაგს ანდობ, ისე ვანდობდი იმას დღეცა და ღამეც ფარასაც და ფარეხსაც.

იმ ზამთარს ქალს შევეჩვიე ელდარში. დაღამდება, ფარას შევრეკავ, დავკეტავ ფარეხის კარებს წინაც და უკანაც, ამირანს სალაფავს დავუსხამ, აბა, შენ იცი მეთქი, თავზე ხელს გადავუსვამ, ქეჩოს მოვუსრესავ და წამოვალ. ცოტაზე გამომაცილებს, მიბრუნდება და იმედი მაქ, რომ ბინა-ფარეხს არაფერი დაუშავდება – ამირანი ადგილზეა.

ერთხელაც, იანვარია, რა რიცხვი იქნებოდა კი არ მახსოვს, ახალწლები კი ჩამოხდილია ახალიც და ძველიც. თოვლიც არის და მაგრადაც ყინავს. გამოვედი ელდრიდან. შუაღამე გადასულია. მთვარეა, ნათლიერი. მოვდივარ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, საყელოწამოწეული. კოსტალეს წყაროს ამოვცდი, იმ ჩექლიმებს შემოვეკიდე. არ ვიცი, ფეხის ხმა მომესმა თუ ტანმა მიაზრა, რაღაცა უგემურად კი დამზრინა

სხეულმა. მივიხედე და არ ჩამდგომია კვალში! მარტოა, მაგრამ მარტო იყოს რა. მგელია. რომ მობედოს, რას უზამ? იარაღი კი არა, ჯოხიც არ მიჭირავს ხელში. აბა, ქალს ჯოხიანი ხომ არ მივადგებოდი კარებზე, ჯოხს არ ვატარებდი. მივდივარ და მოდის. გავჩერდები – გაჩერდება, წავალ – წამოვა, ავუჩქარებ – აუჩქარებს, მოკუნელავებ – მოუნელავებს. არა და მანძილს ამოკლებს თანდათან. როგორ არა, წავიდა თმა ყალყზე! თანაც ისეთი ადგილია, მე შენ გეტყვი და ხმას გააგონებ ვისმე თუ რა. მაინც ავუჩქარე. დამცრა ცივმა ოფლმა – ზოგი შიშისაა, ზოგი – დაღლისა. ეს შობელძაღლიც უფრო და უფრო მიახლოვდება, იქნება მობედოს კიდევაც. ჰაი, ჰაი, ჰაი და გადმოვედი ძროხათნადგომებთან. გამოჩნდა ჩემი ფარეხი. ახლა კი წაკძახე: ამირან, მიშველეო და წამოვიდა თავისი ზარიანი ხმით, სულ მაღლა-ბაღლა ფრენით... იმედი!.. მივიხედე და ეს კვდარძაღლისა გადახაფრულიყო, რა ვიცი, საით რა დაითესა. მოვარდა ჩემი ამირანი და დამიდგა გვერდზე, გამომყვა. ერთი მითხარი, რომელი ძმა სჯობდა იმ წუთში იმას? ხო და ეგეთ ძაღლს რო მოგიკლავს, არ გაბრაზდები? გაბრაზდებ კი არა და... უხ, მაგისი!..

— მაინც რა იყო, რატომ მოკლა მეოქი, — ვეკითხები.

— რატომ მოკლა? რატომა და ძაღლებს უხრჩობდა. ეგ აფშინაანი და ჩვენ ხომ მონამგლედა ვართ წოვათაში. კაცო, რა ვიცი, რა მოელანდებათ, დღის რაღაცა დროს წამოვლენ ეს აფშინაანთ ძაღლები, გადმოდგებიან ეთელთის გორზე და ასტეხენ გნიასს — გადმოჰყეფენ ჩვენ ბინას. გაუცვივდებიან აქედან ჩვენი ძაღლები და წავა ჩხუბი. ამირანი ჯერ თავისთვის წევს, ყურს არ უგდებს იმათ ყეფა-ღავღავს. სანამ ისეღა უყეფენ და უღრენენ ერთმანეთს, ეს არ დაიძვრის. როცა ეცემიან, დაირევიან, დადგება ჩხუბის ხმა, მერეღა გავარდება. ცოტა ხანი გაივლის და ჩამოჩნდება ამირანი, თან დამხრჩვალ ძაღლს მოათრევს.

ამ ჯამრულს ერთი ოთხი ძაღლი ჰყავდა თავისი დაზრდილები, სულ ერთი ბუდობის ლეკვები. კარგებიც იყვნენ, ქომაგიერები. ხო და ისინი დაუთავა — სამი დაუხრჩო. მაგრამ აბა ერთი შენ მითხარი, ტყუოდა ამირანი? ხომ არა ტყუოდა. ეს ხომ არასოდეს გაჰვარდნია პირველი. ისინი გამოუცვივდებოდნენ და ეს ჩხუბში ახრჩობდა. ამისი ბრალი იყო?

ხო და მესამეც რომ დაუხრჩო, თოფი წამოეღო და მაგ სანების დაბლა ვაკეში მოეკლა. კიდევ კარგი, მაშინ

ბინაში არ ვიყავი, თორემ, ალბათ, თავს ვერ შევიკავებდი, რაღაცას ავუტეხავდი. მერე კი ხანა-დრო გავლილი იყო და რაღას ვეტყოდი, ჩემთვისღა ვბობოქრობდი, როგორც ეხლა ვბობოქრობ. ხომ ორი წელი გავიდა მას მერე და ეხლაც, რომ მომაგონდება, ცეცხლი წამეკიდება. მაგ მუდრეგმაც, იცის, რომ ძალიან მეჯავრება და საცა შემხვდება, ამირანის ძმობილო, როგორა ხარო, მაჩელებს. მე გაჩელებაღა მინდა? რამეს ვეტყვი და იღრიჭება. რაო, შენი ძაღლი ძაღლი იყო და ჩემი ძაღლები ძაღლები არ იყვნენო? მიდი და ელაპარაკე! ეს ხომ არა ხოცავდა, ისინი ეჩრჩობინებოდნენ ძალით. ახ... ძმაკაცი არ იყოს, მე ვიცოდი, მაგრამ ძმაკაცი რაა? ძმაკაცობას რა ვუყო!

ქუმკვიდრობა

ვანო მელაიძე: დამიტოვა, როგორ არ დამიტოვა: ერთი ორმოცამდის მოსაგები იყო, ერთი საჯდომი ცხენი, ერთიც ფაშატი – გაკრეჭილი კვიცი ეტანა, ძროხები, რა ვიცი, სახლ-კარი ბარშიც და მთაში ხომ თავისთავად, მაგრამ ყველაზე ფასიანი, რაც მამისაგან მემადლება, სიტყვა იყო, ერთი, ერთადერთი ბოლო სიტყვა.

ბალღი ვიყავ, თორმეტ-ცამეტი წლის ბალღი, მამაჩემი რომ დაიჭირეს. ომის დროს რომ ბანდა იყო თუშეთში, მაშინ ბანდისტებს ვეძახდით, ბანდისტები არიანო. ამწინეებზე გამაგონეს, ისენიო სამანელები იყვნენო. ნეტა ეგ სამანი რასღა უქვიან? სამანს ჩვენ დოგებს ვეძახით, აი ყანების, სათიბების გამყოფ დოგებს. ხო და ის სამანელები იყვნენ ოუ ბანდისტები იყვნენ, ისენი რო აქ თუშეთში ამოვიდნენ და აქ დარჩნენ, იმათ ხო ბევრი ხალხი ჩაითრიეს ძალიან, იმ ზამთარს აქ ომალოს

კოლექტივის თავმჯდომარედ მუშაობდა მამაჩემი. მერე, გაზაფხულზე, მთავრობა ამოვიდა, შინსახკომელები. ის მოთავეები მანდ მელთკუდაში დახოცეს, ბარისკენ წამდინრები, დანარჩენ ხალხს კიდე მოუსვეს ხელი და დაიჭირეს. აი მაშინ წაიყვანეს მამაჩემიც, შენაო იმათთან კავშირი გქონიაო. არ ვიცი, მე ისინი ჩვენსა მოსულები არ მინახიან და რანაირი კავშირი უნდა ხქონიყო იმათთან. აბა რა ვიცი, მე ბალღი ვიყავ, მე ხო არ მეტყოდა. ხო და გაესამართლებინათ ერთი წლის მერე იყო თუ ცოტა მეტისა თუ ნაკლებისა და აქ ამბავი მოგვივიდა, თოთხმეტი წელი გადაუწყვიტესო. ისიც გაეიგეთ, რო რუსთავში ამუშავებენო, იქა ჰყავთო.

წავედით სანახავად მე და ჩემი მამიდა ელისო. მივედით, ვიპოვეთ როგორც იქნებოდა, გვაჩვენეს. რაღაცა მშენებლობაზე მუშაობდა. ეგ იყო და ეგ. მეტი აღარც მინახავს. სადღაც რუსეთისკენ გადაიყვანეს, რუსეთიდან ვიღებდით წერილებს. აი მაშინ მითხრა... ეგრე ვისხედით ქვებზე... ქვები ეყარა, ოთხკუთხად დათლილი ქვები, აი, ტუფის ქვას რო ეძახიან, ისენი, ისიც, მეც, მამიდაჩემიც. შენაო, მითხრა, ეხლა რას იზამო, ალბათ ცხვარს გაჰყვები, იმ ცხვარს რა ეშველება, შენ უნდა მიხედოო. მეცხვარეობაშიო, ხომ იცი, ბევრი და ბევრნაირი გაჭირვება შეგხვდება, ბევრ და ბევრნაირ ამხანაგსაც

შეეყრებიო, აბა ისე როგორ იქნებაო. შიმშილიც იქნებაო, სიცივეც იქნებაო. გარემხარს გასული კაცისთვის ამხანაგია ყველაფერი, ამხანაგმა უნდა გაგაძლებინოს, ამხანაგს უნდა გააძლებინოო. შემთხვევა იქნება, ერთი გორდილას გაყოფაზედაც მიგიდგებათ საქმეო. ხო და შენ თუ გაჰყოო, დიდი ნატეხი ამხანაგს მიეცი, პატარა თავად აიღეო. ის რომ გაჰყოფსო, ეარაუდი გაუწიეო და თუ დიდი თავად აიღო და შენ პატარა მოგცაო, ეგეთ კაცსაო საამხანაგოდ ნუ დაენდობიო. მეო ამ თოთხმეტ წელში რა ეიცი, რა მომივა, იქნება ველარც დავბრუნდეო და ეს ერთი სიტყვა ჩემგან დაიხსომეო.

მართლაც ველარ დაბრუნდა – სწორედ მეთოთხმეტე წელს ტაშკენტის მხარიდან მოგვივიდა დაღუპვის დეპეშა.

და დავიხსომე. მას შემდეგ ხომ სულ გარემხარსა ვარ. ბალღიც ვიყავ, ჯეილიც გავიზარდე, კაციც დავბერდი და ჯერ მე ამხანაგში არ მოვტყუებულყარ. ხომ ვთქვი, ყველაზე ფასიანი, რაც გამიწირა და რაც ძალიანაც მემადლება მამაჩემისაგან, ეგაა, ეგ ერთი სიტყვა.

მოსე

ცხენები დამჭირდა და საალმის ბინაში ავედი. ჯოხი მიჭირავს და შორიდან არ დავიძახე, პირდაპირ მივდივარ. ორნი წამოვიდნენ: ერთი შავი ძუ, წინ მორბის და ეროი დიდი, გრძელბეწვიანი ხვადი უკან მოჰყვება, ერთ-ორ მეტრში. კაცო, მოქრის ეს ძუ. ქვას ვესვრი, მაგრამ არ ერიდება, სადაცაა ზედ უნდა მოვიდეს. ვატყობ, უნდა დამიჭიროს. ამ დროს ამ ხვადმაც აუჩქარა. ერთი ორი ნახტომით დაეწია, მითეთქვა, ის გააგდო და თვითონ დამეტია. მაგრადაც დამეტია, მაგრამ ზედ არ მოვიდა. ხირხალა გამომეშველა. გადი, მოსე, ნუ უჯავრდებიო წასძახა და ისიც გაჩერდა, ისეღა წამომყვა, მომაცილა ბინამდე.

— კაცო, ეს რა ძაღლი გყოლიათ. ეგრე, ეგრე გააგდო ის ძუ, უეჭველ დაჭერას გადამარჩინა მეთქი, — ხირხალას ვეუბნები.

– ოო, ზუტო ფინთი სურიელია, ეს რომ არ ყოფილიყო, მართლა დაგიჭერდაო მეუბნება. – მოსე არა, მოსეს ჯერ კაცისთვის კბილი არ გაუკრავს. რო გაჭირდეს, ზედაც მივა, შეიძლება ტანსაცმელიც შემოახიოს, მაგრამ წესი არაა, მაგამ კაცს ტახ'ხე კბილი უწიოს.

შარშან შემოდგომას ვენახებში დავრჩით დიდი ხანი, მაგ კონდოლის ბოლოზე. დღისით ვენახებში ვატარებთ და ღამე იქავე ტრასის პირში ვაყენებთ, იქ გვიდევს ბინა. მე და კარხილაური ვართ ფარაში. ეგ ძაღლი კარხილაურისაა. საღამოს ვენახებიდან გამოვედით და ვუთხარი კარხილაურს, შენ სოფელში ადი, ერთი-ორი ბოთლი ღვინო ჩამოიტანე, ფარას მე მოვაყენებო და ისიც წავიდა. ფარა მოვაყენე. ჯერ დაღამებული არ არის და ერთი სამნი მომადგნენ მანქანით, მუტრუკი ჯეილები არიან, საკლავები გვჭირდება, ერთი-ორი უნდა წავიყვანოთო. როგორ თუ წაიყვანოთ? განა მამათქვენისაა მეთქი. აბა თუ ვერ წავიყვანთო და ერთი მეცა ამ ჯოხში, ჯოხი უნდა წამართვას. თან იმათ უთხრა, ბიჭებო, მიდით დაიჭირეთო. აბა ჯოხს რას დავანებებდი და ამ ჯოხზე ვზიდილაობთ. ეს მოსეც იქაეე იდგა. ჯერ სანამ იგრეღა მელაპარაკებოდნენ, რაღაც ფინთად აძგლენილი შეჰყურებდა და როგორც

კი ჯოხში მწვდა, ვაუჯო და დაახტა პირდაპირ ბეჭებზე, წაიღო ქვეშა და დაუწყო ბდღვნა, გააქვს კოსტუმს ფხრაწა-ფხრიწი.

– არიქა, ბიჯო, ოღონდ ეს მამაცილე, შენი არაფერი არ გვინდა, მაგ ბიჭებსაც მე გავრეკავო.

რას გარეკავს! ამას რომ აქ ძაღლი ეცა, ისინი ეგრევე მიბრუნდნენ და ჰკრეს თავი მასქანაში, იქიდან გამოჰყურებენ. მივედი, ისევ მე მოვაცილე, გამოვიყვანე აქეთ. წამოხტა, ეცა მანქანას და ისე მოათხრევინა ადგილიდან, "პაკრიშკებმა" წივილი დაიწყო. ხო და იმას არ გეუბნებოდი, კაცს კბილს არ გაჰკრავსო. ხო ეგრე დაბუბნა ის კახი, ტანსაცმელიც სულ შამოახია, რომ გარბოდა, თეთრ ბეჭებსღა მიაპრიალებდა, მაგრამ სისხლის წვეთი არსად ჰქონდა, განაკაწრიც არსად ეტყობოდა.

მოკვდა

კარხილაური: რაო, ძაღლს ჭკუა არა აქვსო? ვინ გითხრა? ძაღლს რომ ჭკუა და მოხერხება აქვს, იმდენი გეზი და მოხერხება რომ ყველა მეცხვარეს მისცა, ბარემაც კარგი იქნებოდა, მაგრამ სადაა?

ერთ ზამთარს არეულებში ვიყავი თოხლ'ში. კარგა დიდი ფარაცა მყვანდა, ერთი რვაასნახევრამდე კი იყო თავის ჭედილებიანად. ეგ უდარდლიძე მყვანდა დამხმარედ. ეხლა რომ გრძელი ენა აქვს, მაშინ ბალღად იყო, ახალი გამემცხვარევებული. ძაღლები მყვან-დნენ კიდევ ორნი, მამა-შვილნი. ერთი კარგი ხვადი, ფერად მოყვითალო ლეგად ჭრელი, მხარკეერიანსავით. ტანადაც ზორბა და გულადაც მაგარი. ცოტა მძიმე კი იყო, სწრაფად ვერ გარბოდა. ლოქიას ვეძახდი სახელად. მეორე, ამისივე შვილი, ფერადაც ამსაირივე, ლეკვა

ძაღლი იყო, სხარტი, კანჭმაღალი, ესე წლისა, წელნახევრისა იქნებოდა, მეტი არ იყო. მერე, რომ გაიზარდა კი ისიც დამსხვილდა, მაგრამ მაშინ მწევარსა ჰგვანდა და სახელადაც მწევარას ვეძახდი. ისეთი ძაძაძაღლი გაქცევა იცოდა, მინდორში მელა იქნებოდა თუ კურდღელი, ას მეტრაში არ გაუშვებდა, ხელათ გაბაწრავდა. გული იმასაც მამისა ჰქონდა, უშიშარი იყო ისიც.

ეგ არეულები ხომ ისედაც მგლის საბუდარია და იმ ზამთარს კიდევ უფრო მომეტებულად იტევებოდა. მოსვენება რასა ხქვიან, დღე იყო თუ ღამე, სადაც არ გვეგონა, იქ დაგვერეოდენენ, ხან თითო-თითო, ხან ჯოგადაც, ოთხი და ხუთი, მაგრამ დაკლებით კი ვერაფერს გვაკლებდნენ. ძაღლები იყვნენ ყოჩაღადა და ჩვენც ხომ, აბა, რაღა თქმა უნდა, ფხიტად ვიყავით. მონამგლეები ჩიოდნენ, ნადირი გვითავებსო და ჩვენ არა, იმ ზამთარს ნადირისგან ბღავანი არ დაგვკლებია. სულ იმ ძაღლების სიყოჩაღით კი იყო. საღამოს დროიანადვე მოვუთუთქავდი სალაფავს, ვაჭმევდი და ეგრეევე გავიდოდნენ საყარაულოდ. ერთი ფარეხის თავისკენ დაწვებოდა, მეორე ფარეხის ბოლოსკენ და მთელი ღამე გადი და გამოდი! ხან ერთისკენ და ხან მეორისკენ, რომელიც განგაშს დასცემდა. ფარეხის გარშემო სულ ჩექლიმებით იყო გადაქსელილი ნადირისა და ძაღლების ნარბენი. მერე და ჭკვიანები როგორ არ იყვნენ, შორს კი არ გასდევდნენ, ცოტაზე გამოიფრენდნენ და მაშინვე მობრუნდებოდნენ, რომ ახლა სხვა არ მიჰპარვიყო ფარეხთან. ყოფილა, ჯოგიც დასცემია და აბა მაშინ კი, როგორც კი გნიასი ღაღვებოდა, ჩვენც გავცვივდებოდით, აი თოფი, აი კივილი რამე და ვიყრევინებდით. ეგ ღამე და ახლა დღისით? დღისითაც

ძალიან იტევებოდა მგელი. დღისით უფრო რას გაატანდნენ, თანაც როცა ჩვენც იქვე ვიყავით. ოთხსა და ხუთს საჩხუბრად არ შეებმოდნენ, მაგრამ არც ფარას გააკარებდნენ, ახლოსაც არ მოუშვებდნენ. ერთს კი დაუჭერელსა და დაუხრჩობელს არ გაუშვებდნენ. ერთი მგელი ხომ ძაღლს გაურბის, ჩხუბს ვერ გაუბედავს, გასაქცევი გზა თუ აქვს, გაექცეყა. ხოდა ეს ჩვენი ძაღლებიც, ეროს რომ გაიგდებდნენ, აბა, ლოქია რას დაეწეოდა, ხო ვთქვი, მძიმე ძაღლი იყოო, და მწევარა გაეკვროდა გვერდზე. გაეკვროდა და აურეედა ჟამ-კარს: გადაურბენდა და გადმოურბენდა წინ, გადაურბენდა და გადმოურბენდა, ხან მარჯვნივ მოექცეოდა, ხან მარცხნივ, სიჩქარეს აკარგვინებდა, თან თვალი ლოქიასკენ ეჭირა და როგორც კი ახლოს დაიგულებდა, ეცემოდა. ეცემოდა და დატოტავდებოდენ თუ არა და ლოქიაც ზედვე იყო, ის წაიღებდა მგელს ქვეშ. ის რო წაიღებდა და ეს განზე გადგებოდა, ჩამოჯდებოდა ენაგადმოგდებული ქაქანით სეირის მაყურებელსავით. როგორც კი მგელი სულს გაკბენდავდა, დაანებებდნენ თავსა და წამოვიდოდნენ ჩემსკენ 'ანგარიშის ჩასაბარებლად". ეგრე რვა მგელი დაახრჩვეს იმ ზამთარს. მოვიდოდნენ და მეც მზად ვიყავი: მაშინათვე მოვაჭრიდი რაღაცას თავს, გაყატყაეებდი, აკუკაყავდი და

დავუყრიდი. მგელს ბეწვი შხამიანი აქვს, ძაღლს თუ ყელში გარჩა, ყელს ატკივებს. მგელთან ნაჩხუბარ ძაღლს თბილი ხორცი უნდა აჭამო, ხორცმა ყელი უნდა ჩაუწმინდოს, თორემ დაუსივდება და შეიძლება, რომ მოკვდეს კიდევაც. რაც რამ ღინტლა და ლუბი მყავდა, სულ იმათ შევაჭამე იმ ზამთარს.

– რაო, მგელი განა მეტს შეჭამდაო? მგელი, ჯერ ეროი, თუ მიუშვი, მეტს კი არა, ფარას გაგითავებს. მერე როგორ იცის, მაგ ოხერმა, კარგებს არჩევს. ფარა რომ დაფრთხება, წინა პირს დაეტანება და იქ იჭერს, უკანა პირს კი არა, სადაც ბეჩავები მირბიან. მეორეცაა და, ძაღლია თუ კაცია, იშრომა? დაუფასე, აჭამე, ძმაო, ეკუთვნიან – ალალია. ხო და მე იმათ ნაშრომს როგორ დავუკარგავდი, ლოქიასა და მწევარას. ისინიც კარგად ირჯებოდნენ და მეც კარგად ვუფასებდი, აბა როგორ?!..

ხო და ერთ ღამესაც ეს მწევარა დაკარგეთ.

ფარა მოვაყენეთ. ძაღლებს სალაფავი გავუკეთე. ლოქია მოვიდა, ჭამა, მწევარა არ არის. მწევარ, მწევარ! ვეძახე, ვუსტვინე, არა, კაცო, არ არის ძაღლი. რაღა იქნებოდა. დაღამებულში ვერც ფარა დავათვალიერე და რო გათენდა, ერთი ჭრელი ვაცი მყავდა, ეგრე ერთმანეთზე რქებგადასული, ის ვაცი მოვისაკლისე. ფარა იმაღე გეზზე გაეშალეთ, წინა დღეს საითაც

გეყავდა და ბალღს ვუთხარი, ბალღო, ის ძაღლი და ეაცი უეჭველად ერთად იქნებიან. შენ ამ ფარას გამოჰყევი და მე წინ წაეალ, ერთი ვნახავ, სად არიან, იქნება რა უჭირს, მივეშველებიო.

წავედი. მივდივარ, თან ვეძახი ამ ძაღლს. ორი თუ სამი გორიკა გადავიარე და შემომეგება, შემომეხვია მუხლებზე. – კაცო, ვეუბნები, სად ხარ, სად იყავი წუხელ, სად დაიკარგე, ის ეაცი სადღა გყავ, აბა ერთი გამიძღვიო. გამიძღვა, რაღაცა ღადე-ღუდეებით მატარა და ერთ აკაკიან ხეეში ჩამიყვანა. რასა ვხედავ, კაცო, ეს ჩემი ეაცი ერთი აკაკის ტოტზე არ არი რქებით ჩამოკიდებული. ეტყობა, ფოთლებისთვის აებღატა ამ აკაკის ტანს. სადღაცა შუა წელთან ერთი გადატეხილი ტოტი აშვირავდა და ჩამოხტომისას ამ ტოტს გამოსდებია იმ თავისი გადაჯვარედინებული რქებით, ყულფივით ზედ ჩამოსცმია. ტოტი სქელია, არც გატყდა და დარჩა ეაცი ეგრე ატოტავებული, წინა ფეხებს ჰაერში უცვლის. ხო და ეაცმა ხომ ჩხავილი იცის, ალბათ ჩხავილი თუ გაიგონა, ან ჩვენ რატო ვერ გავიგონეთ, რა ვიცი, მისულა და აღარ მოსცილებია, იმასთან გაეთენებინა ღამე, იქა წოლილიყო.

გორდილები მქონდა გუდაში, გორდილები დავუყარე და სანამ ეაცი არ ჩამოეხსენი, პირი კი არ დააკარა.

ტოტს დაეუწყე ხანჯლით ჭრა. ისიც იდგა და ეკრე შემომყურებდა. ტოტი რო მოეჭერი და ეაცი გაეათავისუფლე, მერელა დაუწყო ჭამა.

ჭკვა არა აქვსო?! ჭკვაცა აქვს და ბევრ კაცზე მეტი ნამუსიც. კაცი რომ ყოფილიყო, იმ ერთი ეაცის გამო იქ გაგიჩერდებოდა ღამე? იმ ხევში. თუ ვერ ჩამოხსნიდა, ერთი შენი პატრონის დედაცო და წამოვიდოდა, თავს დაანებებდა.

კიდე კარგი, გაზაფხული იყო და ნადირი იმდენად აღარ იტევებოდა, თორემ ზამთარი რომ ყოფილიყო, აბა ჯაფა მაშინ გენახა აი!



საბა: წინათ, კოლექტივობამდე, სანამ ეს ტრაქტორები და მამაძაღლობები შემოვიდოდა, ეგ გულშირაქი სულ მოუხნავი იყო, ხარ-გუთნით განა რამდენი უნდა მოეხნათ. ხო და აქაც სულ ცხვრები ბინაობდა. ხომ იცი, უწყლო ადგილია და მშრალ ამინდებში ცხვრები ორ დღეში ერთხელ ალაზანზე გადადიოდა, წყალს იქა სვამდა.

ერთხელაც ქედში რაღაცა საქმე დამივარდა, ქედში წავედი. გზაზე თურქოანთ გაბოს წამოვეწიე, თოხლი მიუდიოდა ალაზანზე. მეც, მარტო სიარული მეზარებოდა და, იმასვე გავყევი. მივდივართ ეგრე საუბრით, მივერეკებით ფარას. ერთიც ვნახოთ და ზემოთ, საქათმეები რომაა, იმ მსარეს ძაღლების გნიასი დადგა. ძაღლების ხროვას მგელი გამოუგდია და მოსდევენ. არ ვიცი, ვერ ეწევიან თუ არ ეწევიან, კარგა დიდ მანძილზე

სხლეტით კი მიფრინავს ეს მგელი. ამ გაბოს ერთი ციათეთრი ძაღლი სტანია, კაი აშოლტილი, ქოსაბეწვიანი ძაღლია. ამანაც აქ ყურები ცქვიტა.

– ბროლია, ხედავ იქ რა ამბავია, არიქა, უ'შველეო – თქმა ამისი და გავარდა ეს ძაღლი. გავარდა და გაუგეზა ამ მგლისაკენ.

– ღმერთის მა, შენ კი შორს ვეღარ იცლიო, ჩაილაპარაკა გაბომ. მართლაც, იარა ეგრე გეზად,

იარა და გადაუჭრა გზა. ერთალია დატოტავდნენ და წაიღო კიდეც ამ ძაღლმა ქვეშ. შორს იყო, მაგრამ ხომ ვხედავდით თეთრი რომ ზემოდან მოექცა. ამასობაში ის სხვა ძაღლებიც მიცვივდნენ, მაგრამ ამას უკვე გაბაწრული ჰყავდა. ერთი-ორ წუთს ეგრე ეჭირა, მერე დაანება თავი და წამოვიდა.

ამ გაბომ გამოსდო სულ უკანა თოხლს კავი, დაკლა, გაატყავა, აკაფა და დაუყარა. ეს მეოერომეტეაო, მითხრა და სულ სამი წლისაა, მეტისა კი არაო.

ეგრეა, ძაღლი რომ მგელს დაასრჩობს, ცხელი ჯიგარი უნდა აჭამო, თორემ მგლის ბეწვი შხამიანია, ყელში რომ ხვდება, ყელს უსივებს. ცხელმა ღვიძლმა უნდა ჩაწმინდოს ყელი, ჩაასუფთავოს. მგელთან ნაომარ ძაღლებს ხშირად ყელი აქვთ ხოლმე დასიებული და ხმაც ჩახრინწული. ეს იმის ნიშანია, რომ ხარბი პატრონი ჰყავს, მგელთან ჩხუბის მერე ცხელ ჯიგარს არ აჭმევს.

ჯოკერი

ბარისკენ მიმდინარი ყარები კარგა ხნის ჩაელილი იყო. სოფელში რეულა ძაღლი გამოჩნდა, ლეკვების დედა – ოთხი თუ ხუთი ძუძუ ჰქონდა ნაწოვნი. კარგი ტანიანი ძაღლი იყო, ლეგად ჭრელი. მე იგი პირველად ნიკოს სანაკელეზე დავინახე, იქ დასუკსუკებდა, ნაგვიდან ძვლებს არჩევდა. ჭრელო, ჭრელო თქო დავუძახე. ალბათ მართლა ჭრელო თუ ერქვა, მაშინვე მომხედა. ძველი პურები გამოვიტანე და გადავუყარე. ნელა წამოვიდა. ხან მე მიყურებდა, ხან – პურებს. მერე ერთი ნატეხი დასუნა და ისევ მე ამომხედა. ჭამე, ჭამე მეთქი რომ ვუთხარი, მერელა დაუწყო ჭამა ნელა, დაუხარბებლად, თუმცა მშიერი კი ჩანდა – ფერდები ჩაცვევნილი ჰქონდა. პურები დაჭამა და წავიდა. ამის მერე, თითქმის ორი კვირა თუ მეტიც, ყოველდღე გამოჩნდებოდა ხან დილით,

ხან – შუადღის ხანს. ვაჭმევდით ხან მე, ხან თამარა – ჩვენი ექთანი, ხან ნიკო და ლამარა. მელიტო პაპამ თქვა, ჩვენთანაც მოდისო – მიღმათუბანშიც დადენილიყო. ეზოში არამც და არამც არ შემოვიდოდა, თუნდ პური შიგხითაც დაგვეგდო. გარეთ ვუყრიდით, გზაზე. პურებს შეჭამდა, სოფელს მიივლ-მოივლიდა და წავიდოდა, არღაჯის ტყისკენ მიეფარებოდა. ალბათ იქ, რომელიმე ჯღარღალა ფიჭვის კაროებში ექნებოდა გამოთხრილი ბუნაგი.

ერთ დილას, ჯერ კარგად გათენებული რომ არც იყო, გარედან ლეკვის წკმუილი შემომესმა. თითქოს ზედ ჩემს კარებთან წკმუოდა რაღაცა. სასწრაფოდ ჩავიცვი, კარი გამოვაღე და მართლაც ჩემს ფეხების საწმენდ ტომრის ნაჭერზე ჩამოცუცქებული სამი-ოთხი კვირის ჩაბუთქუნებული ლეკვი დამხვდა. მშრალობა იყო, უთოვლობა და ეზოს ბილიკზე ვერაფერს შეატყობდი, ვინმემ მოიყვანა იგი თუ თვითონ მოვიდა. ერთი კია, ისეთი პატარა იყო, რომ აივნის კიბეზე თვითონ ვერაფრით ამოვიდოდა. უეჭველია, ვიღაცამ მოიყვანა, მაგრამ ვინ? სანამ მე ამეების 'აყრა-ჩაყრაში" ვიყავი, ლამარას წიოკობა მოისმა: დედო, დედო, დედო, ვინა ხარ შენ, ვინ? ვინ მოგიყვანა? შენ ხომ მარტო ვერ მოხვიდოდი. ჩაკდეს, მოკდეს ტაბაჩები, ჩაკდეს მოკდეს

ტუბაჩები! – ვილაცას თუ რაღაცას ეფერებოდა, ენას უჩლექდა. ლეკვი ავიყვანე და ჭიშკრისკენ წავედი. ამ დროს ლამარაც გამოჩნდა. მასაც ზუსტად ჩემნაირი ლეკვი მიეხუტებინა გულზე და გზისკენ მოდიოდა. ვილაცას მათ კართანაც დაესვა ლეკვი.

– რა ამბავი გაქვთ, რა ხდებაო? – ნიკოც გამოვიდა სახლიდან. თამარაც გამოჩნდა, ყარნაოზი და ლელაც. მოვიდნენ სხვებიც. ვერავის გაეგო, ვის უნდა ჩამოერიგებინა ჩვენთვის ლეკვები. მოვიდნენ შესტისა და თენგიზას ბალღებიც. – მოგვეცი რა, ძიო, მოგვეცი რა, ლამარა ძალო. – გვეხვეწებოდნენ ხან ერთს, ხან მეორეს. ლეკვი ვერც მე გავიმეტე და ვერც ლამარამ. – ღმერთმა ჩვენთან გამოგზავნა და ჩვენთან იყვნენო. აქ არ არიან, თქვენებიც იქნებიან და ჩვენებიცაო. ვიქოთქოთეთ, ვიდავიდარაბეთ და დავიშალენით. წავიყვანეთ მე და ლამარამ ჩვენ ჩვენი ლეკვები. იმ დღესვე გავიგეთ, რომ მიღმათუბანში მელიტოსა და ვანოსთვისაც მიუსვამს ვილაცას თითო-თითო ლეკვი. სწორედ რომ 'საკვირველიდან გამოვედით". ერთი კია, იმ დღიდან ჭრელო აღარავის უნახავს სოფელში. კიო, თქვა მელიტომ, ესენი ჭრელოს შვილებია. დააბინავა, პატრონებს ჩააბარა და თვითონ წაკიდა. ის შირაქში ჩავა, თავის ბინას მონახავსო.

ვიცხოვრეთ იმ ზამთარს მე და ბუთქუნამ ერთად. მე ბუთქუნა დავარქვი, ლამარასი ძუ იყო და კლარას ეძახდა, მელიტო და ვანო ერთი – აფთარას და მეორე დათვიას. არ კი მახსოვს, რომელი – რომელს.

გაზაფხულისთვის ლეკვები კარგად წამოკანჭმაღალავდნენ.

მე ჩემი ბუთქუნა ნაბიჯს არ მადგმევინებდა მარტოს – სადაც უნდა წაესულიყავი, აუცილებლად ამედევნებოდა.

მაისის ბოლოსთვის ცხვრები ამოვიდა. მითხრეს, ქუმელაურთაში თლუმაძე მოსულაო და სანახავად წავედი. ნაპირისცერს რომ გადავედი, მეცხვარე შემომხვდა. ვიქტორა ყოფილიყო. ბინა-ბარგი მოჰქონდა, ერთი ხუთი თუ ექვსი ბარგიანი ცხენი ჰყავდა და უკან ძაღლი მოსდევდა ერთი. სალამი, ქალამი. ერთმანეთს მთა-ბარის ამბები ვკითხეთ. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ცხენები ბალახზე შიბრუნდნენ, ძაღლი იქვე დაწვა, გზის პირში. ჩემი ლეკვი რატომღაც ძალიან აემხოლაგა ამ ძაღლს: გაეთამაშა და გამოეთამაშა, ხან თავს მოექცა, ხან – ბოლოს, ხან გადაახტა და ხან გადმოახტა. გაშიკვირდა, სმა რომ არ გასცა – დიდ ძაღლებს ხომ არ უყვართ, უცხო ლეკვები რომ ეთამაშებიან. კაცო, შევხედე და ჩვენი ჭრელო არ არის, ლეკვები რომ

დაგვიტოვა, ისა. ვუთხარი ვიქტორას, ეგრე და ეგრე იყო, ამ შენმა ძაღლმა ლეკვები ჩამოგვირიგაო. კიო, მითხრა, შემოდგომაზე დავკარგეთ დღე-დღეზე დამდგარიო და ჩვენ რომ გამოგლოვილიცა გვყავდა, ნოემბრის ბოლოს სამუხში მოგვიეიდა ძალიან გატანჯულიო. ვიქტორა ზევით წავიდა თავისი ცხენებით, მე ქვევით წამოვედი. ბუთქუნაც თანვე წამომყვა. კარგა მანძილი რომ გავიარე, მოვიხედე. ჭრელო გზაზე გაჩერებულიყო და გვიყურებდა. ერთ ხანს კიდევ გვიყურა, მერე მიბრუნდა და აედევნა კარგა შორს წასულ პატრონს.

ნეტავ თუ იცნო?

ძოძე

საბა ელიზბარიძის ხსოვნას

აივნის ქვეშ მუშამბაგადაფარებულ პატარა მაგიდას აქეთ-იქიდან შემოვუსხედით მე და საბა, ბალღობიდანვე მეცხვარე, ახლა სიბერის გამო გაშინაურკაცებული.

ეზოში, მსხლის ხის ჩრდილში ლეგა ცხვარი წამოდგა, წელში აიზნიქა, აიზმორა, ნელა, ჩახლეჩილი ხმით ჩაიბღავლა და ჩვენსკენ წამოვიდა. საბასთან მივიდა, ხელებზე დაუწყო სუნვა.

– მოდი, ძოძე, მოდი, მაგრამ ჯერ რომ არა ვჭამო?! – ნიკაპი დაუჭირა და მეორე ხელი თავზე გადაუსვა საბამ. – პური უყვარს ძოძეს და როგორც კი მაგიდასთან დამსხდარებს დაგვინახავს, ჰგონია რო

ვჭამთ და გამორბის.

ბებერი ცხვარი იყო, სიბერისაგან დაპატარავებული, მენჯის თავებთან წელდაზნექილი, სიჯაილეში, ალბათ, შავი, ახლა გალეგებული და გაქოსავებული, თავ-პირზეც სიბერის ლაქებით დაფოთლილი.

— ბელადია. დაბერდა. ორი-სამი წელია ბატკანსაც ვეღარ იგებს. წლეულს ჭარბად გალუბებულიყო, მთას ვერ გადავიდოდა, აქ დავიტოვე. ვართ ეხლა მე და ძოძე შინ და ვეფერებით, ვექცევით ერთმანეთს.

— როგორ, ცხვარიც გამოდის მეთქი ბელადი? — ცხვრის ბელადობაზე არაფერი მქონდა გაგონილი.

— იშვიათად, მაგრამ თუ გამოვიდა, თხაზე უფრო კარგი მქეჩავია. გულადია, პატრონს ძალიან მიჰყვება. საცა კაცი გაივლის, არ შეიძლება, რომ ამანაც არ გაიაროს. ეს, ერთი ქისტურა ცხვარი მყავდა, ლეგა, მატყლის გულისთვის გავუცვალე ქისტებს, იმის შვილია. ისიც კაი მონაშენე ცხვარი იყო და ამანაც, მგონი ერთი თორმეტი ბატკანი კი გაზარდა. ეხლა მესამე წელია, ბერწად რჩება. რა ქნას, რა ამისი ბრალია.

ამასობაში ცოლმა თონის პურის ნატეხი გამოუტანა. საბამ პატარ-პატარა ლუკმებად დაუწყო ჭმევა.

– ბატკნობიდანვე შევატყე, რო ცოტა სხვანაირი იყო. ბატკნები ხომ ქვსვიეები არიან, ხელს არ მიიკარებენ. ეს – არა, თავიდანვე ხელზე მომეჩვია, არა ფრთხებოდა, პურს, ხალს, მარილს ხელიდან იღებდა. კარგი თამამი ბატკანიც დადგა: თოხლობისას შიშაქებში ვერ გამოარჩევდი.

ხო და, იმ შემოდგომას გვიანობამდის დავრჩით ოოხლით საალმეში. მე და ეგ უშაროძე ვიყავით, ვანო. ცხვრები წამოვიდა და ჩვენ დავრჩით. ბრიგადირმა კი გაგვაფრთხილა, დიდხანს არ დაყოვნდეთ, თოვლმა არ მოგისწროსთ, აქ არ დაგიმწყვდიოსთო, მაგრამ კაი ჩამტკბარი შემოდგომა მიდიოდა, კარგი ბალახობაც იყო – ეგ ბუხურთა-ილიურთის ბოლოები სულ ბურახს ეჭირა და ამისთანა ბალახი აქ როგორ გაეწიროთო, იმ საძოვარს დანიაზებულებს მეორე ალაევერდობაც იქავე გაგვივიდა. ერთი ჯირი დაკიტოკეთ საბარგედ. დანარჩენი ბინა-ბარგი სულ წამოვიდა, ჯოგები და ძროხიანებიც წამოვიდნენ. ჩვენ ეს ორნი ვართ ერთი ცხრაასიანი თოხლის ფარით ძთელს ივანაურთა-ხეცუურთაში. კარგი თოხლიც გაკეთდა – მამლები ჭედილებს დაემსგავსნენ, დედლები – შიშაქებს.

მესამე ალაევერდობის კვირა დადგა და ცა-ღრუბელმა დაიწყო არევა. თან მთვარეშლილობაცაა, მთვარე უნდა შეიცვალოს სადაცაა. მაშინ კი ვოქვით, რო თუ არ ავჩქარდით, შეიძლება თოვლმა მთას აქეთ მოგვისწროს, მოგვიშწყვდიოსო და ავიყარენით.

იმ ღამეს ორწყალში შემოვდექით. გზა შევიმოკლოთო და მაღლა ამოვედით, ეხებთან დავიდეთ ბინა. ჯერ უშაროძემ იყარაულა. გამაღვიძა. შუაღამე გადასულია. ღრუბელი წამოსულა – ვარსკვლავები აღარა ჩანს. ვყარაულობ და ესე, ძაღლის ძილის დროს დაიწყო თოვა, მთლად მშრალზე, უწვიმარზე. დაიწყო და გათენებამდე კარგადაც მოჰკიდა, სულ გადაათეთრა იქაობა. როგორც კი გათენდა, პურიც არ გვიჭამია, მაშინვე გამოვქეჩეთ, წამოვედით. მე წინ გამოუძღვი, უშაროძე უკან გამოჰყვა. იქავე კი მითხრა, ცერში რო ახვალო, თუ დიდი თოვლი იყოს, წელზე ნუ დაენდობი, ზვავი გვაზარალებს, ისევ აღმა, ცერ-ცერ შეეცადე, თუ არა და დავბრუნდეთ, თავებს ხომ არ დავიხოცავთ, ამის გამჩენიც დაიქცეს, აღარ გაიდარებსო?

ტბებთან ამოვედი და თოვლი წინდის ყელს იჭერს. თან თოვს, უმატებს და უმატებს. ცერში შემოვხედი და მუხლზეა უკვე, მუხლზედაც მეტი. ჩადოანას გადმოვხედე და განა ჩანს რამე – სულ ერთიანად

თეთრია ყველაფერი: მთაც, გზაც, ჰაერიც. გაღმა კართიანი, ლეკთვაკე, წყაროანა, ნაბძოლები და ეგენი არაფერი არა ჩანს, მარტო ჩაპ-ჩიპ, ჩაპ-ჩიპ, ჩამოდის თოვლი ტყლაპებად.

ჯერ ერთალია გორ-გორ შევეკიდე, იქნებ ავარღვიო, იქნება ავკვალოო ვიფიქრე. არა, კაცო, რას აარღვევ, ხუთი მეტრიც ვერ აკიარე. მძიმე თოვლია, შატყი, ვერა ვკვალავ. არც ვაცები გამომყვნენ აღმა. ვამბობ, რა ექნა – აღმა ვერ მიედივარ, წელთაზე გავეკიდო, ზვავისა მეშინია, დავბრუნდე და სანამ ამხელა ფარას, ეგრე გაწალიკებულს, დავატრიალებთ, სანამ რაღაცა, ორწყლამდის ვერ ჩავალთ, უალაგო ალაგას დაგვიღამდება, ფარას ფარად დავღუპავთ და ჩვენც ჩაგვაგრილებს, დავიყინებით. რაც მოგვიკა, მოგვიკა, სხვა გზა არაარ, ეთქვი და დავადექი ისევ წელთაზე საცხენე გზას. გზა კი ახში ეტყობა, გზას არ ავცდები. დავადექი და წამოვედი, გამომყვნენ ვაცებიც. ესე ნახევარი გზა გამოვიარე, იმ ჩხატიან ხევსაც გამოვცდი და დადგნენ ვაცები, ველარ მოდიან. მივბრუნდები, მივუკვალავ, ცოტაზე წამომყვებიან და დადგებიან.

ვანო არა ჩანს. აბა ამ თოვლში სულ თითო-თითოდაა გაბაწრული და ცხრაასი თოხლი ცოტა კი არაა, ის ალბათ ჯერ იქითვეა, ჩადოანის ყელებში

სადმე. არა და, ალბათ, შუადღე გადასულია, მალე დაღამებაც დაიწყება და ვრჩებით ამ ქარაფებში ეგრე გაწალიკებული ფარით. ვეძახი ვაცებს – აი ვასკა, აი ბორძა, აი ბელა და აბა!.. ვერ მოდიან და აი ამ დროს ეს გამოვიდა, ჩემი ძოძე. გამოვიდა და გამომყვა. წამოვა გადმოხტომა, გადმოხტომა, გადმოხტომით, ნადირებმა რომ იციან ღრმა თოკლში, თუ გიყურებია, აი ისე. დაიღლება, გაჩერდება, დაიწყებს ბღავილს. მივალ, მიუკვალავ და წამოვა. ვაცებიც, რაღა თქმა უნდა, მოსდევენ. აი ეგრე გამოვედით მელთკუდას გორში. ეხლა კი სამშვიდობოსა ვართო, ვიფიქრე. გუდიდან გორდილა ამოვიღე, ცოტა მეც შევჭამე და ძოძესაც ვაჭამე. მერე დავეშვი პირდაპირ მელთკუდის გორ-გორ, სულ დაბლა ლეკთვაკის კუდებისკენ, იმ ტყისპირა საბინაოებში ჩამოვყარე.

საღამოხანს აიყარა, მზეც გამოჩნდა, სადაცაა კართიანის თავზე უნდა დაჯდეს. მთელი ფარა ჩამოიკრიფა, უკანა პირის თოხლებიც ჩამოვიდნენ – ხომ ვიცნობდი უკანმავალ თოხლებს და უშაროზე არა ჩანს. ახლა იმის ფიქრი მომეცა: რა იქნა ის კაცი, ეირი ხომ არ გადაუვარდა, ზვავი ხომ არ გამოუვიდა ან თავად ხომ არაფერი დაუშავდა? ათასი რამე ვიფიქრე, რა ვიცი და, მადლობა ღმერთს, მზე

ჩაეფარა გორს უკან და გამოჩნდა ვანოც ტატანით საწოლაების თავსე თავისი ვირითა და ძაღლით. ვირის გამოყვანა გასჭირვებიყო: ხან ბარგი ეხადა, მხრით ეცილებინა და ახში გამოეყვანა, როგორც იქნებოდა. ძაღლიც იმასთან დამრჩალიყო, არ დაენებებინა თავი. – კაცო, რა ჰქენიო, მეუბნება, როგორ გამოხვედი, როგორ გამოენდე იმ წელზე, ან ზვავი როგორ არ გამოუეიეიდაო?

– როგორ გამოვედიო, – უთხარ – აი, ეს რომ არ ყოფილიყორ, ჩემი ძოძეო, ეს ფარა იქ დაგვრჩებოდა ეგრე გზაზე გაბაწრულიო, ამან გამოგვიყვანაო.

დაბლა თოვლი არ იყო, ფარამ ახში ვახშამი აიღო და ის ღამე მშვიდობით გადავრჩით, არა გვიზარალია რა.

აი იმის შემდეგ ერთი ათი-თორმეტი წელი კი ვიარეთ მე და ძოძემ ერთად ამ სამთაბარო გზებზე. ამ ორი წლის წინ, მე რომ ცხვარს თავი დავანებე, ბალღს რომ მივუთვალე, ვუთხარი, ბალღო, ეს ცხვარი არ გაჰყიდო, ან არ დაჰკლა, აქ იყოს, აქ მოკვდეს თავის დღითაო. ამბობენ, ბელადი ცხვარი ნაწილიანია, მთელი ცხვარ-ბინის ბარაქა იმასა ჰკიდიაო. თუ გაჰყიდე, შენი ცხვრის ბარაქა მყიდველს გაჰყვებაო. ბინაში უნდა დაიკლას, ბინაში უნდა შეიჭამოსო.

დასაკლავად ვერ გავიმეტე, მაგის ხორცს რა შემაჭმევს!

ეხლა კი მე და ძოძე ორნიველ დავბერდით, დავბერდით და დავყარეთ ფარ-ხმალი, ველოდებით მიქელ-გაბრიელს, ნეტა ის დალოცვილი რომელს უფრო წინ მოგვიკითხავს.

საბამ პურის ბოლო ნატეხი მიაწოდა ცხვარს, მერე ხელის გული მიუშვირა, იქ დარჩენილი ნამცეცებიც აალოკინა. წადი ახლაო, ხელით მიაბრუნა, მსუბუქად უბიძგა. ცხვარი წაქავქავდა მსხლის ჩრდილისაკენ, თავისი ნაწოლი ადგილი მოყნოსა, ერთი-ორჯერ ადგილზე შემობრუნდა, ჯერ მუხლებზე დაეშვა, მერე უკან ფეხებიც შემოიკეცა, ჩაწვა და ერთი ისეთი ამოიხვნეშა, თითქოსდა მართლაც ელიზბარიძეების ფარის მთელი ბარაქა იმის ბებერ მინდაოს აწევსო.

ჭალიანი ოთხიან

სამსონი: მგლისთანა ვაჟკაცი ნადირი ერთიც არ არის, პირდაპირ მოდის დაემაზე. დაარტყამ და შემოგიბრუნდება, შემოგანათებს თვალებს, თითქოს უნდა გეცემოს. არა, ყოჩაღია, ყოჩაღი, ჯავარი.

ერთი დროა, გვიანი შემოდგომაა. მოსაგებში ვარ. პატარა ფარაა, ერთი ხუთასამდის და მარტოკა ვარ, ძაღლები მტანია ორნი. ერთი კარგი ხვადი ძაღლი მყვანდა, ოსმალას ვეძახდი და ერთიც კიდევ იმისივე შვილი იყო, ისიც კაი ყოჩაღ, მაგრამ ჯერ პატარაა, ერთი წლის ლეკვი. ჩალიანი რაღაცა ადგილია, ლერწმიან-ყარღოიანი. იმ ჩალიანების პირ-პირ მივაყოლებ. საღამო ხანია, მზე ჩადის და ბინისკე მიმიდის ძოვნით. ერთიანად ამ ჩალების მხრიდან ცხვარი წამოფრთხა და იქავე ჩვენს ახლოს ერთი ოთხი მგელი

გამოვარდა და წამოერიენენ ფარაში. აბა მაშინვე გაქანდნენ ძაღლები, გაექანდი მეცა და ეს მგლები კი არ გაიქცნენ, ცხვარს თავი დაანებეს და ჩვენ შემოგვიტიეს. არც ძაღლებმა დაიხიეს და წავიდა ჩხუბი და რა ჩხუბი. შუაში ოსმალა ტრიალებს და ის მგლებიც, ის გამჩენძაღლები, ყველა იმას დაეტია. ეს პატარაც ეშველება, კარგად ეშველება, მაგრამ მთავარი ძალა მაინც იმას ადგია. ახლა მეც, კარგი შვინდის ჯოხი მიჭირავს და ვუზაპუნებ ხან ერთსა და ხან მეორეს. აი მაშინა ვნახე: დავარტყამ, გახტება განზე, შემობრუნდება და შემომიტევს. ახში დავძალეთ, როგორც იქნა და შეცვივდნენ ჩალიანებში. ძაღლებმა აღარ შეიწიეს და აღარც მე შევუშვი. რო გვგონია, რომ დავიყრევინეთ, ამ დროს ისევ არ გამოცვივდნენ ცოტა ზევითა და ისევ დაეტივნენ ცხვარს. აბა ჩვენც ისევა და ახლა იქ ვეცენით ერთმანეთს. ოთხნი ისინი არიან, სამნი ჩვენა ვართ. ისევ დავძალეთ და ისევ შევყარეთ იმ ჩალიანებში. დაიღალნენ, კაცო, ძაღლები, მეც დავიღალე. ერთი-ორი წუთი გავიდა და ისევ არ გამოცვივდნენ. — აბა, ბიჭებო, ერთიცა-მეთქი და ისევ ვეცენით. ეს ცხვარიც დადგა, შემობრუნდა და ამ ჩვენ ჩხუბ-დაეიღარაბას უყურებს. ვფიქრობ, ეხლა კი ვეღარ მოვერევით, ამ ძაღლებს დამიშინებენო და ამ დროს, რა ვიცი, საიდან გაჩნდნენ,

ამ ჩვენი ვაივაგლახის ხმა თუ გაიგონეს, ორი ძაღლი მოვარდა სადღაციდან. ეცნენ ისინიც ამ მგლებსა და ახლა კი როგორ არა, იკადრეს გაქცევა – შეცვივდნენ ჩალიანებში და შეჰყვნენ ძაღლებიც ოთხივენი. აღარც მე დავუშალე და, ეტყობა, კარგა შორს მისდიეს, შეგვიანდნენ. მე წამოვუარე ფარას, შემოვაბრუნე ბინისკენა და გამოქეჩე, იქ რაღა გამაჩერებდა. ამასობაში ძაღლებიც გამოვიდნენ, აუარ-ჩაუარეს იმ ჩალიანებს, მიაშარდ-მოაშარდეს ყარღოებს, ცოტა წაუღრინ-წამოუღრინეს ერთმანეთს და წამოვიდნენ. ის ორნი, დღესაც არ ვიცი, ვისები იყვნენ, საიდან მოვიდნენ, ცოტაზე ჩვენვე წამოგვყვნენ და მერე წავიდნენ თავისთვის.

ძალიან კი გადაგვარჩინეს იმ დალოცვილებმა იმათ.

ყველაზე ძვირფასი

ერთი დროა და ერთი მგელი გაგვიხდა ჭირად.

ჩიღოელთ ხევზე, დაბლა, თუ ყოფილხარ, სამწვანეებია. ეგენია ლილაზიანთ ნაბინავრები. ქოთილაიძე აბრო არის დაქაანთ ვასოსთან, დევდარაიძე თადო და ხუნჩალეანთ მოსე ამხანაგები არიან. გოთოანთ ნაბინავრებს რო ეძახიან, იმის წინ ხქონდა მოსეს ბინები და იქ არიან. მე ზევითა ვარ თავის ბინაში. მურთაზა'შვილი ირეოდი კიდე თიბელათ სვიმანთან იყო პატარა შირაქის ბოლოში, ნაგალავრებს ეძახიან, ჩვენი ბინის სულ ცოტა ზევით, იქ არის მარტო. ერთი ოთხასი მოსაგები ჰყაავს და იქ არი. მეც მარტო ვიყავი. ოთხასი იმასა ჰყავს, ოთხასი – მე და მარტოკები ვართ ორივენი.

ერთი მგელია გაგერშილი, კაცო, და თუ სადმე ვისმე მოატანს, გვაწუხებს, გვტაცებს ძალით. ხმა გამოვიდა რო ამ ქოთილაიძე აბროს დაჭრევიაო. ცხვარი მისდენია წყალზე. მარწინაიძის ბინიდან ერთი ჩექლიმი რომ გადადის ჩიღოელხევისკენ, ზედ ამ მაღალში, უღელტეხილში მოუტანებია. ჯანღიანი რაღაც დღე ყოფილა, დაჭრევია ეს მგელი, დაეყანტა ცხვარი. აქუჩებს, ვეღარ აქუჩებს, ეროს მოსტაცებს, გამოუდგება, დააგდებინებს, ახლა სხვას დაიჭერს. ბოლოს იძულებული გამხდარა, ერთი დაანება და დანარჩენები გამორეკა. წყალზე რო ჩარეკა, გათვალა და ოცდახუთი დააკლდა. უფიქრია, ის გამჩენძაღლი, ხომ სულ დაღუპავდა იმ ნოტოსაო და, კიდევ კარგი, იმ მგელთან ჩხუბ-დავიდარაბაში ის ნოტო ასხლეტილა, ყორუღში გადაყრილა და იქ უპოვია უვნებლად.

მეორე დღეა თუ მესამე და ამ თადოს დაჰრეეია კიდე, დევდარათ თადოს. იქიდან არაფერი დაუნებებია, იმ თოხლებიდან. ცოტა ჰყავდა, ერთი სამასამდე. გამოქცეულა, ხევ-ხევ წამოსულა და ერთი თვრამეტი სული ლუბები ჰყვანია ბინაში, კოჭლები, რეტიანები და ისინი დაუხოცია სულ, ერთიც არ გაუშვია.

ღამეა, ახალი შეღამებული. ორი-სამი დღეა, ხამი მივეცი და ამ ჩიღოელთ ხევის ცერ-ცერ მომიდის, ძოვნით მოვაყოლებ. ლიხი ურია, ლიხიანობა იყო ძალიან. ჯერ ძოვნით წამოვიდა და რო შეღამდა, ამ ლიხში ველარ ატანდა, დადგა, დაქუჩდა. ვაცი მყავს ეროი, დიდი ვაცი. დავუხმაურე, გამოქეჩა და წამოვიდა. უკან მე მოვდევ. მეზმანება კი, აქ არსად მომატანოს, მაგის პატრონის დედა ვატირე მაგისა-მეთქი. ძაღლებიცა მყვანან ორნი, კარგი ძაღლები, მაგრამ ბინაში არიან, თან არა მყვანან. მათე იყო ჩვენი ბღუჯოანთ ერასტისთან პატარა შირაქში. ის წამოსულიყო ჩემთან იგრეღა სანახავად. ძაღლებსაც შესვლიყო და იქ ბინაში მელოდება. გამოვქეჩე.[9] ერთ დაბალში ძალიან მაღალი ურია და არ გამოდის ეს ვაცი, დადგა. დავუტიე ამ ვაცს. ვაცი გამოვარდა და მეორე თხა რომ გამოჰყვა, ამ თხამ დაიჩხავლა.

---

[9] გაქეჩვა — გარეკვა ვაცის წინგაძღოლით.

დავაკვირდი ამ ბნელაში, კაცო, და ვა, მგელი მისდევს. გავჟეეი მეცა. გზაზე კიდე ღაღალაიძე საბა და ბასილო მიდენილიყვნენ, ცხვარი მისდენიყო ბინისკენ. ძაღლი ხყავ იმათაც, მაგარი ძაღლი და ამ თხის ჩხავილი რო გაიგო, ისიც გამოვარდა, მომეშველა და ეს თხა გავაშვებინეთ. თხა ბინისკე გაიქცა და მგელი კიდე – ჩემკენ. ამ ჩემ ხმაურზე მათე გამოქცეულა, ძაღლებიც ჩემკენ წამოვიდნენ. გზაში მათეს ეს შეშინებული თხა შეხვედრია, ბნელაში მგელი ჰგონებია და აი, შენი გამჩენი დაიქცაო, ერთი ჯოხი უდრუზია და თხამ კი შესჩხავლა. აქ მე კიდე ვარ ერთ გაჭირებაში: ეს ცხვარი სულ გუნდად შეიკრა და ხელიდან მიმდის. ურბენთ გარშემო მე და ეს მგელი. ერთს დაიჭერს, გავაშვებინებ, ახლა მეორეს დაიჭერს. ჯოხიც იმას ვესროლე, ხანჯალიც, თექაც გავიხადე, გუდაც მოვიხადე, ქუდიც იმას ვესროლე. ვერა, კაცო, ვერ ვიგდებინებ. ბოლოს ერთი შავი ცხვარი დაიჭირა და იძულებული გავხდი, თავი დავანებე. დანარჩენ ცხვარს მოვუარე, აღმა ბიდიოდა, თავქვე დავაბრუნე. ამასობაში ეს ძაღლებიც მოცვივდნენ, მათეც მოვიდა. ერთი ხვადი ძაღლი ბყვანდა, ციათეთრი, ყარაჯას ვეძახდი. დაუსისიავე, არიქა, მიშველე, არიქა, მიშველეო. დაიყარა სული და ქვევით ულღუმიანებში დადგა კიდეც ალიაქოთი. მათეს ეუთხარი,

შენ ამ საქონელს მიხედე, მე იმ ძაღლს მივეშველებიო. გავიქეცი, მივვარდი და ხან ერთია ქვეშ და ხან მეორე. აღარც ჯოხი მაქვს, აღარც ხანჯალი, ხო სუყველაფერი იმ მგელს ვესროლე. საბას დავუძახე, არიქა, არაფერი გაქვს? მომეშველეო. საბა ცხვართან დარჩენილიყო და ბასილო მოვარდა თავის ძაღლით და ხელათ გავბაწრეთ. ის მგელი იქ დაარჩვეს ძაღლებმა. ძლივს მადლი დაგვემაროა. ეროი ხვადი მგელი იყო, ზორბა რაღაცა, თან მაყვალივით შავი, ყელქედუნა[10]. მაშ, ის ოხერი ისა.



[10]ყელქედუნა – ყელზე თეთრზოლიანი ცხოველი.



თოფ აილონ, სახელ მისციდითა,
ჯოხ აილონ, ვახშამ გაუჩინიდითა.
სადიდებლიდან

დათვაისხევის ბინაში, ქოხის წინ დაბალ მაგიდას სამნი შემოვრჩით: ამ ბინის უფროსი მატაიძე, სარქალი ზეზვა და მე, ამათი სტუმარი. საწველ კასრებზე დაკეცილი ნაბდები გვიგია და იმეებზე ვსხედვართ. მაგიდაზე სოდიანი გორდილები[11], მშრალად მოხარშული ხორცი და ხის ჯამით კალტი[12] გვიდგას. რქაწითლის ღვინომ საუბრის საღეღელი აგვიშალა. მე, როგორც

---

[11] გორდილა – სოდიანი ცომისაგან მოხარშული მწყემსური პურეული.

[12] კალტი – ყველის ‘შრატის შაგრად გაწურული მარილიანი ნადული.

"ზედაშის პატრონი", ვმერიქიფეობ, მატაიძე თამადობს და, ამ სუფრაზე მეტი 'თანამდებობა" აღარც არის, ზეზვა სუფრის წევრია. ის ქვეშ-ქვეშ ღიმილით შემოგვყურებს ხან ერთს, ხან – მეორეს. თამადა და მე ვენაწყლიანობთ, ზეზვა მოკლედ იტყვის.

მზე დასავლეთის ცისკიდურზე დაქანებულა, სადაცაა ჩაეფარება წოვათის საჯიხვეების უკან.

მატაიძე: მეცხვარეობა, ჩემო ძმაო, ცდისაა. შეეცდები, ღმერთიც ხელს მოგიმართავს და საქმეც წაღმა წაგივა; არ შეეცდები და არც არაფერი გამოგივა. 'ღმერთო მიშველეს" ძახილი არც ცხვარს დაგიდოლებს, არც მოგიწველის და ვერც მთას გადაგიყვანს. ხომ ნახე, როგორი გაზაფხული იყო წლეულს. ეკითხულობთ ამბავს, გვეუბნებიან, მთის გამოსვლას კარგა ხანი დასჭირდებაო, გადასვლა არ შეიძლებაო. არა და აღარც სამუხშია გასაძლები. დაცხა, მცურავი გამოვიდა და დღე არ გავა, გველნაცემი არ მოკვდეს, ხან ორი და სამიც. ახლა ტკიპი და თუ ცოტაც დავაგვიანეთ, ნაბარევზეა საშიში: შევეკიდებით მთას, ცხვარი ციე წყალს მოხვდება და ნაბარევი დაგვილევს. ვუთხარი ბიჭებს, ბიჭებო, უნდა ავიყარნეთ, უნდა წავიდეთ, რაც იქნება, იქნება, აქ გაჩერებისა აღარაა. ავიყარნეთო, ამათაც მხარი დამიჭირეს და ავიყარენით.

გრძელყანას რომ გამოვედით და მთებს შემოვხედე, მაშინათვე წელი მომწყდა – ისეა თოვლით ჩამოლესილი, რომ ცხვარი კი არა, ეშმაკი ვერ გადავა. მაგრამ რას ვიზამთ, იქ ხომ ვერ გავჩერდებით. სადაა იმდენი ადგილი, რომ რამდენიმე დღე ფარები დავატრიალოთ. ახლა უკანიდან სხვა ფარები მოგვაწვება და გაჭირდება საქმე. მეც ვუთხარი და ბიჭებმაც თქვეს, უნდა წავიდეთ, სხვა გზა არ არისო.

იმ საღამოსთვის აბანოს ხიდთან შემოვდექით. ორი მანქანა ბალახი მოვიტანე, მწვანე მასა. დილას ფარები დავაძღეთ და საღამოსთვის ტყისთავში ამოვედით. ტყისთაეები ამწავნებული კია, მაგრამ ნოლია[13] – ერთი გაელა-გამოელა და ბალახი აღარ იქნება. მაინც მთას გადასვლაზე ფიქრიც არ შეიძლება. რაც მოგვივა, მოგვივა, აქ უნდა დავრჩეთ, სანამ გორისპირები მაინც არ დაჩნდება, რაზედაც ცხვარმა უნდა აიაროს.

სამ ფარად მოვდივართ: წინ თოხლია და ორ ფარად ბატკნიანი მოგვიდის. თითო ფარასთან სამ-სამი კაცია. ორნიც ბინასთანა ვართ – მეჯოგე და მებინაეე.

თოხლი გაღმა გავიდა, ცოდვიანი ხევის გაღმა, ვაიოზის ქოხი რომ იყო, იმის დაბლა ფერდებში

---

[13] ნოლი – ნორჩი, დაუპურებელი ბალახი.

გაიშალა. ბატკნიანები იქითვე დარჩა აბანოს გორში და ჩაღმათმელთკუდას გორებში. ცხენები და ბინა-ბარგიც აბანოს გორში გამოვედით. თოხლში ეს ჩემი ძმისწული იყო, გია, ფარის უფროსად. ბაკური ჰყავდა და მესამეც პირიქითელი, თავისივე მწყემსი. საძხივე ჯეილებია.

ის დღე არაფერი და მეორე დღეს, საღამოხანს, ეს ჩემი ძმისწული გამოვიდა, – ბიძაჩემო, რას ვაპირებთო.

– როგორ, რას ვაპირებთო – ვუთხარი – უკან ხომ ვეღარ დავბრუნდებით, წინ ვერ წავალთ და უნდა ვიყოთ აქ, სანამ გზა არ გამოვაო.

– გზა თავისით როგორ გამოვა, გზა ჩვენ უნდა გავტეხოთო – მეუბნება – ჩვენ თუ არ შევეცადენით, ეს გზა ორ კვირასაც არ გამოვა. გზის გამოსვლას თუ ველოდეთ, ცხვარი აქ გაგვიწყდება შიმშილით და მთაში რაღა გვინდა, დავყაროთ ჯოხები და წავიდეთ სახლებშიო.

– კაცო, – ვეუბნები, – ამ მთას ვერა ხედავ? ერთი ძაჩვენე, საით აპირებ ასვლას, სად უნდა ასტეხო გზა?

იმ ცოდვიანი ხევის გაღმა, ალექსი რომ გადმოვარდა, იმის მარცხენა გორს მაჩვენებს, აი, იმ ფხაზე ავალო. წეღანა ყსინჯე და თოვლი გაძეკილია.

ეხლა კი ცოტა საფლობია, მაგრამ დილას გაყინულზე აისვლებაო. კაცო, დაყუდებულია, თან ორივე მხრიდან არის ალესილი ხანჯლის პირივით.

– ბალღო, – ვეუბნები – ან შენ რაზე უნდა მოიკიდო ფეხი, ახ ცხვარი როგორ ამოგყვება მაგაზე, შენ ხომ არაფერი დალიე, ფიქრობ, რას ამბობო?

– არც არაფერი დამილევია, მშიერიცა ვარ და კარგადაც ვიცი, რასაც ვამბობო – მეუბნება – სხვა მაგაზე კარგი ასასვლელი არ არის და ცხვრის აქ გაწყვეტას არ ჯობია, შევეცადოთ, იქნება გადავიდეთ, ცხვარი გადავარჩინოთო. – პატრონიც ამ ცხვარს გაუქრეს: ცხვრის გულისათვის მე ხალხს ვერ დაველუპავო – ვუთხარი – ეს რაც ჩანს ხომ ეგეთია. ჯერ არა მგონია, აქ ან კაცი ავიდეს, ან – ცხვარი. რაც არა ჩანს, ის კიდევ რა იცი, როგორია. ვიყოთ აქა და რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი.

– არაო – მითხრა – მე ხვალ დილას შევეკიდები და თქვენ როგორც გინდათ, ისე ქენით, მე აქ ცხვრის შიმშილით გაწყვეტას ისევ ის მირჩევნია, ვეცადო, იქნება გადავიდეთო.

– ეს შენ კი, მაგრამ ბიჭები რას გეუბნებიან, იმათ აღარა ჰკითხავ და – როგორ არა ეკითხავ, იმათი აზრიც ეგ არისო. ახლა კი გავბრაზდი და ვუყვირე:

ჯეილები ხართ, ღონე გერჩისთ და ჭკვას კი არ ატანთ საქნელსა-მეთქი. ფეხსაც არ მოიცვლით! იქნებით სანამ ჩვენ აქა ვართ და თუ გადასვლაა, ყველანი ერთად გადავალთო.

— არაო — მითხრა — ბიძაჩემო, ჩვენ კი გადავალთ და თუ თქვენც გადმოხვალთ, კარგს იზამთ, თუ არა და თქვენი საქმეა, აქ გაწყვიტეთ შიმშილით ეგ ფარებიო. აიღო სამი პური და წავიდა.

— ბალღოო — დავადევნე — ემანდ არ მიჰქაროთ, ემანდ მთას არ შეეკიდნეთ, თორემ ჩემზე მეტი ჭირი არ გინდათო. ხმა აღარ გამცა, არც შემოუხედავს, რაღაცა ჯიუტად კი წავიდა, გაჯავრებული ადგამდა ფეხებს.

საღამოს ეს ჩვენი ბიჭებიც რომ მოგროვდნენ, იმათაც ეუთხარი, ეგრე, ეგრე, გია იყო და ეგრე ვიჩხუბეთო. აქ ამ ჩემმა ბალღმა და სხვა ჯეილებმაც მხარი აუბეს, ვეცადოთო და რასაც აქ დარჩენით ვიზარალებთ, წასვლით იმაზე მეტი რა ზარალი უნდა მოგვიეიდესო. ესენი კი გავაჩუმე — წასვლა სისულელეა, ცხვარს ცხვრად დაეღუპავთ და, ცხვარი ჯანდაბას, ვაი თუ ხალხის ზიანი გვექნესო, მაგრამ თურმე ისინი კი ვერ დამიშინებია. დილას, ჯერ გათენებული არ იყო, რომ დაჰკივლეს. რომ გინათდა,

თვალს რომ გავაჭრევინეთ, წინა პირს ის ფხა გორი თითქმის ანახევრებული ჰქონდა. გაწალიკებით მიდიოდა და ფარის ნახევარი ჯერ ისევ ალხაჯზე იდგა. ბიჭებს ვუთხარი, აქ ადგილზე თითო ფარას ორი კაცი ეყოფა, დანარჩენები წავიდეთ, მიეეშველოთ, ცერამდის ავაცილოთო.

წინ გია მიდიოდა, ზედვე ვაცი მიპყვებოდა, ლეგა ვაცი, ღურბელა, ვასიკოს რომ ვეძახით. ცოტა უკან, ერთი სამ-ოთხ მეტრაში დანარჩენი თხა-ვაცობა და მერე – ცხვარი. შეჩერდებოდა ბალღი, შეისვენებდა, შეჩერდებოდა ვაციც. წავიდოდა ბალღი, დახრიდა თავს ვაცი, მიაბჯენდა საქამრეში რქებს და სანამ თვალითა ჩანდნენ, სულ ეგრე იარეს. მიეეშველენით ჩვენც, ჩავუდექით შუა და შუა და სანამ მზეები გაიშლებოდა, ცერს გადმოვაცილეთ. წამოსულიყო, სულ მაღლა, ტელევიზიის თეფში რომ დგას, იმაზე ასულიყო, იმისიც კიდევ მარცხნივ, იქ გადმოეტეხა ნაპრალი. პირაქეთ კი აბა რაღა გაუჭირდებოდა, ამინდი კარგი იდგა. მე უკანა პირს მოვყვებოდი. ცერს რომ გადმოვედი, გომეწრელების სადგომი რომაა, იქიდან გადავხედე. ამ ჩემ ძმისწულს დაბლა ვაკეებში ვაეჩერებინა წინა პირი და უკანების ჩაქუჩებას ელოდებოდა. – ყოჩაღ, ძმისწულოო – დავუძახე – კაცი ხარ კაცური, ახლოს

რომ ვიყო, გაკოცებდიო. ხმა არ გაუცია. მარტო ეგრე გამომხედა გეზად, გვერდზე რომ იცის ყურება. ვაცებს დაუხმაურა, გამოუქეჩა ისევ და წამოვიდა. მე მთას გადასვლისთვის გუდაში ყოველთვის მაქვს ზედაშე. დავუძახე ბიჭებს და ზედ ცერზე ვთქვით მგზავრთანგელოზის სადიდებელი.

აბა, გზა გატეხილი იყო და ჩვენ რაღა დაგვიჭერდა. საღამოსთვის ორივე ფარა ცოდვიანხევში შემოვდექით და დილას, ისევე ღამიანად, ჩვენც დავჰკიელეთ. მეც ისევ ამოვჰყევი, ამოვაცილე ცერამდის. მერეღა დავბრუნდი ცხენებთან, დავაბრუნე ისევ ბარში.

ხო და ეს ცდაზე ვთქვი. ვინც შეეცდება, ის გაიმარჯვებს კიდევაც. აი, მაშინ ეს ჩემი ძმისწული რომ არ შეცდილიყო, ვინ იცის, რამდენი ხანი მოგვიხდებოდა იქ გაჩერება და რამდენს ვიზარალებდით. გვიან ხომ შენ თავადაც ნახე, როგორ იყო ამოკსებული მელკუდასა და ფიცრიჭალის ხევები ნაბარევის ნახოცი ცხვრით. ჩვენები კი უზარალოდ გადმოვიდნენ და მაისის ოცდარვაში ცხვარი მოწველეს. მე ვაბობ, რომ ჩვენ თუ არ ვიზარალეთ, ამ ჩემი ძმისწულის მოცადობით არის ეგა. დაასხი, რას გაშტერებულხარ? ეგეთებს შენ აქ სხვასაც ბევრს გაიგონებ. დაასხი, თითოც დავლიოთ და ორი იქნება.

მე მართლაც მიმვიწყებოდა ჩემი ტიკი და ყანწი.

– ამ ყანწით, ბიჭებო, კარგ მეცხვარეს გაუმარჯოს, მოცადსა და ფხიანს. იმასთანავე იმის თანაშემწეებსაც გაუმარჯოს, უჯამაგირო მწყემსებს – კარგ ვაცს, ფარის მქეჩავს, კარგ ძაღლს, თეოს დარაჯს, მტრისა და ნადირის გამბრუნებელს, კარგ ცხენსა და ვირს, ბინა-ბარგის მზიდავებს. სანამ ეგენი არიან, მეცხვარეობაც იქნება და არ დაყრუვდება ეს მთები, ეს სოფლები.

მზე ჩასულიყო. შორს, თვალსაწიერის მიჯნასთან მხოლოდ ლეკეთის მთებს ედგა მზის უკანასკნელი სხივების ოქროსფერი ვარაყი.

გაღმა, წაროს პირდაპირ კლდეში, არწივი ყეფდა.

ლოკტმა

მურას, ჩემს ერთგულ მეგობარს და თახა'შეძწეს

მთელი დღე მზიანი იყო, ღრუბელი არსად ჭაჭანებდა. კარგად თბილოდა. გაზაფხულის კვალობაზე ცხელოდა კიდევაც. საღამოხანს წიოსწვერს ნისლის ერთი პატარა კოწოლი აეხვია. გომეწრის ხეობას გავხედე. დოვნის ოავს, ფიჭვიან ტყესთანაც ბოლავდა ნისლის თხელი ნაფლეთი. ცუდად მენიშნა – უეჭველია, ამინდი შეიცვლება. ფარა დავაბრუნე და ცოტა აჩქარებით დავაყოლე საბინაოსკენ. სანამ დაბლა ჩამოვყარე, ცა გაბმულმა შავმა ღრუბელმა დაფარა. ჰაერი დამძიმდა, საავდროდ ჩამოიჭიკა. ნაწიდარზე ჩამოვაყენე და დაბნელდა კიდევაც. ეთელთისა და საგირთის ხორხების საშუალოზე, სანების გორის დასაწყვეტთან იელვა და იჭექა. ქოხში ცეცხლი შევანთე, წყალი გავაცხელე,

ფქვილი დავთუთქე და მურას სალაფავი გავუკეთე. ჩემთვისაც გავიცხელე ჭინჭრის ჩაეს[14] ნარჩენი, ნაკვერჩხლებზე გორდილა[15] შევაფიცხე, ვივახშმე. ამასობაში წვიმა დაიწყო – ჯერ ნელა, შემდეგ თანდათან ძოუხ'შირა და კარგა გვარიანად დასცხო. საწვიმარი ლაბადა ჩავიცვი, ნაბადი ავიღე და თეოსკენ ჯიბის ნათურით გავიკვლიე გზა.

თეოს ნაპირში, ჟოდურის ხევის მხარეს, ჰატარა გორაკზე გვაქვს ღამის საწოლი აჩენილი მეც და მურასაც. ნადირი თუ მოვა, აქედან უნდა მოვიდეს, სხვა მხრიდან ნადირს გეზი არა აქვს. მურა იქ დამხვდა. არ იწვა, უკანა ფეხებზე ჩაყუნცული იჯდა ფარისკენ ზურგშექცეული, სათიბროვნის ტყისკენ გაჰყურებდა სიბნელეს. ნაწიდარს ნათურის ჭავლი მოვატარე. თითქმის მთელი ფარა რიყეში ჩაყრილიყო. ერთი ნაწილი წყლის ტოტსაც გასულიყო და მდინარესა და ამ ტოტს შორის ქვი'შაზე გაჩერებულიყო. ნაბადი დაკეცილი მივდე მინდორზე, ჩავედი, ფარა რიყიდან ავყარე, მაღლა ტაფობისაკენ შევებერტყე, რიყისპირა ბექს ავაცილე. საწოლასთან რომ დავბრუნდი, მურა ისევ ისე დამხვდა,

---

[14] ჩაეე – ველური ბალახების წვნიანი.

[15] გორდილა – სოდიანი ცომისაგან მოხარშული კვერი.

როგორც დავტოვე. საწვიმარი გავიხადე, ქვეშ გავიფინე, ნაბადში გავეხვიე და დავწექი პირით ფარისკენ, რომ დროდადრო ნაწიდარი დავათვალიერო.

ცის ძლიერმა ჭეხვამ გამომაღვიძა. იჭექა კიდეც და კიდევ, გაბმულად, ძლიერად. არა, ეს ჭექა-ქუხილი კი არა, რაღაც სხვა არის – ერთი გაბმული გრიალ-რახრახია, თითქოს ციდან მეხთატეხის უწყვეტი ჯერი მოუშვიათ დედამიწისკენო. გავარდება სადღაც მაგეხის მხარეს, დაიჭეხნებს, წამოვა, დაჰყვება ქედის პირს, წაეა ნაყაიჩო-სახეოსაკენ, გომეწარს გასცდება და შორს, სადღაც დიდოეთის მთებისკენ ჩაიგრიალებს. წვიმა იღვრება ნამდვილი კოკისპირული. არა, კოკისპირულიც არ ეთქმის, რაღაც უფრო სხვა არის, ალბათ 'კასრისპირული" უფრო შეეფერება. ჩემი ნაბდის ჩიხოლს ისეთი ძალით ურტყამს, თითქოს ორსაჟნიანი ჩხატიდან ჩანჩქერი დამდიოდეს. ქუხილსა და ქუხილს შორის ძაღლის ყეფა ჩამომწვდა. დაბლა, რიყიდან ისმის, სწორედ იქიდან, წეღან ფარა რომ ავშალე. ნადირს დატევების ხმას არა ჰგავს, მაგრამ ეტყობა, გარბის და გამორბის – ყეფა ხან შორდება, ხან ახლოვდება. მერე ჩემსკენ წამოვიდა. მოვიდა, თავთან ჩამომწკმუის, ნაბადში ცხვირის ჩამოყოფას ცდილობს. – მურა, რა იყო-თქო, შეეეხმიანე. ჩემი ხმა გაიგონა და ისევ გავარდა ყეფით

რიყისკენ. ნაბდის ყური ავწიე და ნათურის ღილაკს ცერი დავაჭირე. სინათლემ თქეშიანი სიბნელე ვერ გაჭრა, ვერაფერი დავინახე. ამ დროს ცის ელვამ წამიერად გაანათა არე-მარე.რიყე ცხვრით იყო სავსე. ისმის მდინარის გაავებული ქუხილი და ქვა-ლოდების ხრიალ-გრიალი. სასწრაფოდ ავდექი, საწვიმარი კვლავ ჩავიცვი, ნაბადი დავკეცე, ჯოხი ავიღე და ნათურის ნათებით რიყეზე ჩავედი. რიყე წყლითაა სავსე. ფარის ნაწილი კვლავ ტოტს გაღმა, ქვიშიან კუნძულზე გასულა. მურა სწორედ ამ ნოტოს ეტევება, მდინარის მხრიდან გაუვლის და გამოუვლის ყეფით, მაგრამ ცხვრები ადგილიდან არ იძვრიან, ყურებდაშვებულები დგანან ძლიერი თავსხმის ქვეშ. მდინარის ტოტი მოდიდებულია იმდენად, რომ შიგ გასვლისას ჩექმები წყლით მევსება. მეც მდინარის მხრიდან შემოვუარე და დავჰკივლე, ჯოხიც დავატრიალე, მაგრამ ვერ დავძარი. მურა კვლავ გაშმაგებული ყეფით გარბის და გამორბის, ზოგ ცხვარს კანჭშიც სწვდება პირით, მაგრამ არ ეპუებიან. მდინარეს ნათურა მივანათე. ადიდებულია და კუნძულის სანაპიროს შლის, თანდათან ავიწროვებს. სადაცაა ფარას მოადგება და მაშინ უკვე ვერც მე და ვერც ძაღლი ეეღარაფერს ვუშველით, კუნძულს წაიღებს და ნოტოსაც თან გაიყოლებს. ტოტი უკან გავტოპე, რიყეზე გავედი ვაცების

მოსაძებნად. მთელი ფარა დავიარე და ვერსად მივაგენი.

ბოლოს მივადექი ბექის თავზე. თხები ეშმაკები არიან: რიყეში არ ჩამოსულან, მაღლაევე გაჩერებულან. ბორძა-მეთქი, გავძახე ხელზე მიჩვეულ ვაცს. ხმა გაიგონა, თავი ჩემსკენ მოაბრუნა, მაგრამ არ წამოვიდა. როგორც ჩანს, ვერა მხედავს. ან კი როგორ დამინახავს, მე ხომ ნათურა მიჭირავს და ჩემგან წასული შუქით მას ვაბრმავებ. ბექზე ავფორთხდი, თხების ნოტოს შემოვურბინე და კუნძულისკენ გავირეკე. მდინარის ტოტში ჯოხის ტრიალითა და ცემა-ტყეპით გავყარე. მერე მდინარის მხრიდან წამოვუარე. აჩი, ბორძა-მეთქი, დავჰკივლე. ვაცმა გამოუქეჩა და ნოტოც ნება-ნება გამოჰყვა. ვაცების დახმარებით კვლავ ბექის თავს ამოვაცილე ფარა. მურა ჩემთანაა. ისიც ყეყით გაუელის და გამოუელის ფარის ქვედა პირს. თავსხმა გრძელდება, ფარას ქვევით ერეკება, მაგრამ ახლა უკვე მე და ძაღლი ვდგავართ შეუპოვრად, ბექის თავზე ვამაგრებთ ფარას. მდინარის ღრიალი და ქვა-ლოდების ხრიალ-გრიალი კი ოანდათან ახლოვდება, ჩვენსკენ მოიწევს. ცის გაელვებაზე დავინახე, რომ კუნძული წაულია და მის ადგილზე მდინარე მოიგრაგნება. ასე ვდგავართ რამდენიმე საათს – ძალს ჩვენა და ძალს ავდარი და მისგან ქვემოთ დარეკილი ფარა. ერთი-ორჯერ მურა

ქვევით, ეოდურის ხევისკენ გადაეშვა, სათიბროენის კუდებამდის გასდია რაღაცას. ჩანს მგელმა მოგვაკითხა სამეზობლოდ.

ნაშუაღამევი იქნებოდა ალბათ, რომ წვიმამ, როგორც იქნა, იკლო და ერთ საათსა თუ საათნახევარში სულაც გადაიღო. ფარაც დადგა ადგილზე, ქვემოთ აღარ მოიწევს. მე ნაბადი მოვძებნე. მუხლებიდან ქვემოთ მთლად სველი ვარ. ჩექმები გავიხადე, თავდაღმა მივაწყე დაფერდებაზე. ნაბადში გავეხვიე და დავწექი. კარგა ხანი ფეხებზე სიცივემ არ დამაძინა. დამშვიდდა მურაც. მოვიდა და ჩემს ფეხებთან, ნაბდისპირდაყოლებით მიოგვარგვლა. ძილით კი, ეტყობა, არ სძინავს, დროდადრო ადგილიდანვე გაჰყეფს სიბნელეს. ძაღლის ტანის სითბომ ფეხები ჩამითბო. თანდათან მთლიანადაც ჩავთბი, ჩავხურდი და რულიც თავისთავად მოვიდა.

კარგად გათენებულზე გამომეღვიძა.ნაბდიდან თავი გამოვყავი და ფარის მერე პირველ რიგში რიყეს დავხედე. სადღაა გუშინდელი კუნძული. მდინარეს კალაპოტი უცვლია. გუშინ რომ ტოტი მოდიოდა, მთლიანად იმის ადგილზე მოედინება ადევებულ-აღვარებული. არა, ამას მღვრიე არ ეთქმის, უფრო რაღაც თხელი ტლაპო მოქანავს, მოიგრაგნება. გაღმა და გამოღმა სანაპიროს ქვა-ღორღის ვეება თეფები მიუყვება. ყოფილი

კალაპოტისა და გუშინდელი კუნძულის ადგილიც მთლად ქვა-ღორღითაა გადასწორებული.

ფარა ნაწიდარზე დგას და იცოხნის.

მურა ისევ ჩემს ფეხებთანაა მოგვარგვლული, ცხვირი კუდის ქვეშ ჩაუყვია და სძინავს. — მურა-მეთქი, — შევეხმიანე. თავი ასწია, შემომხედა, მომაბეჯინა ცალი საღი თუალი. მომეჩვენა, რომ გამიღიმა. მერე ეგრევე წოლილამ ფეხები წინ გამოსწია, ვაიზმორა, გვერდზე გადაწვა და ძილი გააგრძელა.

მეც ისევ ჩავყავი თავი ნაბადში.

შავსიელის ნაამბობი

თენგიზ მირზაშვილს

ცხვარ-ბინის პატრონი ვიყავ და, აბა, ვინ დამტოვებდა, მეც გამაშავსიელეს. მოვიდნენ კოლექტივის კაცები, გათვალ-გამოთვალეს, აწერეს ცხვარი, ცხენი, ვირი ძაღლებიც კი და წადიო, მითხრეს, თავისუფალი ხარო, ამ საქონელს ეხლა მწყემსები მოუვლიანო, შენ წადიო.

– ეგრე ფეხით როგორ წაკიდეო, ვუთხარი, ერთი ცხენი მაინც მომეცითო, რომ შევჯდე და წავიდეო.

ზოგთა თქვეს, რო არაო, არ შეიძლებაო და ზოგმა კიდე წაიყვანოსო, ერთი ცხენი წაიყვანოსო, მაშ რა უნდა ქნასო. იქაც იყვნენ... ყველა ხომ ერთნაირი არ იყო. ვინც თავად უქონელი იყო, ბღავანი რომ არა ჰყავდა თავისი უხეირობით, ისინი უფრო მაღალსა

ლაპარაკობდნენ. ვინც თავად მეცხვარე იყო, ისინი ცდილობდნენ, რომ ცოტა რაღაცა დაგვრჩომოდა, მაგრამ ეშინოდა, ერთი-მეორისა ეშინოდა იმათაც.

ასე იყო თუ ისე იყო, ერთი ცხენი დამითმეს – კარგიო, ერთი წაიყვანეო.

წითელი იაბო მყვანდა ერთი, კარგი, ჭკვიანი, ნამდვილი სადიაცო, სამგზავრო ცხენი. ის დავიჭირე, შევკაზმე, ნაბადი ჩავაკარი, ჩემი სამოსებიანი ხურჯინი გადავკიდე და წამოვედი ეგრე თითივით ცარიელი.

ძაღლები გამომყვნენ, გამომაცილეს. ორმოთგორი ხომ იცი, იმ ორმოთგორის ცერამდე გადმომყვნენ. რა ვიცი, იმ ოხრებმა, იმათ რაღა იგრძნეს, ჩამოსხდნენ იმ გადმოსახედ ცერში და ფიცრიჭალას რომ ჩამოვედი, ისევ მესმოდა იმათი ყმუილი, იქ გამომღაღაევებდნენ, გამომყმუოდნენ.

მიეედი ეგრე ცარიელ-ტარიელი დედაჩემთან. აი ესაა ჩვენი ქონებ-ცხორება, ეს ერთი ცხენი დაგვრჩაო ეუთხარი.

ახლა დედაჩემის ვიშვიში და ტირილი სად იყო...

შინაც არ შევსულვარ. ცხენს დედაჩემმა მიხედა. მე კიდე, გაბოღმავებულმა, ავიღე ჩონგური, გავედი გორს, დავჯექი და დავუკარი. იმ ჩონგურის დაკვრაში დავაღამე ის დღე.

მეორე თუ მესამე დღეს კაცი მოგვივიდა, ომალოდან დაებარებინათ, ის ცხენიცაო აქ გამოიყვანონო. ჩაუდვა დედაჩემმა საბელი და წაიყვანა ისიც ტირილით. ის დალოცვილიც კიდე, ხომ ისეთი ჭკვიანი ცხენი იყო და არ ძისდევდა, უკან იზიდებოდა. სულ ეგრე თავის ბრუნებითა და ხვივილით ჩააფარა.

მიეყვანა და კანტორის ღობეზე დაება. მთელი დღე იმის ხვივილი გამოდიოდა ხახაბოში. ვიცნობდი იმის ხმას, როგორ არ ვიცნობდი და ის რომ იქ ხვიოდა, მე აქ გული მეგლიჯებოდა. გულმა როგორ არ გამათავა, არ ვიცი, მაგრამ კაცი გამძლე ყოფილა, გავუძელი.

მეორე დღეს ომალოდან დაგვიბარეს, გამოვიდნენ, ცხენი წაიყვანონო. თურმე ამ ცხენმა, დაბმული რომ იყო, ახლოს არავინ მიუშვა, სულ წიხლით, ტოტითა და კბილით ეტევებოდა, ვინც კი ასაშვებად მივიდოდა. ისევ დედაჩემი გავიდა და გამოიყვანა დამშვიდებულ-დაწყნარებული.

ის ზაფხული შინ ვიყავი. შემოდგომაზე მივედი კანტორაში და ვუთხარი, ცხვარში წავალ, ბრიგადაში გამაგზავნეთო. იმავე ჩემ ცხვარში გამგზავნეს.

ცხვარ-ცხენი ჩემია, მწყემსები, ვირები, ძაღლები, მაგრამ ჩემი აღარაა — მე მეცხვარე ვარ, მწყემსი, ბრიგადა სხვას აბარია. როგორი ასატანია? მაგრამ

ვიტანდი, მეტი რა ჯანი იყო.

საზამთროებში ჩავედით, შირაქში. ამბავი ჩამოვიდა, შავსიელებს იჭერენო.

წადიო, მითხრეს ბიჭებმა, ცოტა ხანი თავი გაარიდე სადმეო. ჩვენ არ ვიტყვით, სადა ხარ. ცოტას მიწყხარდ-მოწყნარდება მდგომარეობა და მერე მოხვალო. ნუ დაეჭერინები, ნუ გაესახლებინებიო.

ავდექი, შევკაზმე ის ჩემი ცხენი და ოლქაში გავედი. იქ ერთი თათარი ყონაღი მყავდა, იმასთან მივედი. ვუთხარი, რო, ღმერთმანი, ეგრე და ეგრეა ჩემ საქმე, დროებით თავი უნდა შევაფაროო. იყავიო, იმ ყონაღმაც, რამდენ ხანსაც გინდა, იყავიო. აბა, კარგი ძმაკაცი იყო და ძალიანაც ვუყვარდი; ბალღობიდანვე ვიცნობდი. ვარ იმათთან ეგრე მუქთადა და ებოღმაობ. ფიქრი მაგიჟებს. არ ვიცი, რა გზას დავადგე.

ერთ დღესაც ეს ჩემი მასპინძელი დაიკარგა სადღაცა. საქმეზე მივდივარო, დილას ადრე წავიდა და გვიან ღამე მოვიდა. მოვიდა და მითხრა, რო მეო მაჰმად კასუმასთან ვიყავიო, შენზე ველაპარაკეო და მოვიდესო მითხრაო. თუ გინდაო ისო თავის რაზმში მიგილებსო.

კასუმა იყო ერთი სახელგანთქმული ყაჩაღი. ჯერ ნიკოლოზის დროსავე ყაჩაღობდა და მერე ამ

ბოლშევიკებმა ხომ უფრო დაუწყეს ყაჩაღებს დევნა. კაი დიდი რაზმი შეადგინა და იყო ტყეში, ებრძოდა ბოლშევიკებს. ჩვენთან რო ქაქუცა იყო, თათრებში ეგეთი კასუმა იყო, მაჰმად კასუმა. ხო და ეს ჩემი მასპინძელი იმასთან წასულიყო ჩემი გულისთვის. ისიო, მითხრა, თურქეთში უნდა გავიდესო და თუ გინდაო, შენც გაჰყევიო, თორემ ამათ რო დაგიჭირონ, გასახლებით ხომ გაგასახლებენ და იქნება მოგკლან კიდევაცო, დაგხვრიტონო.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭია, სუ ეგრე გავათენე ფიქრში. ბოლოს გადავწყვიტე, რო დავბრუნდე და რაც მომიეა, მომივიდეს. ვიფიქრე, ეხლა ამ კასუმას გავყვე, თურქეთში გავიდე, სად უნდა დავი-კარგო უცხოობაში. ვინ იცის, სად მოვკვდები, სად ჩაიყრება ჩემი ძვალ-მალი. დავბრუნდე და სიკვდილია თუ სიცოცხლე, ისევ ჩემ ხალხ-ქვეყანაში ვიყო მეთქი.

გათენდა და იმ ჩემ მასპინძელსაც ეგრე ვუთხარი, უნდა წავიდე, ჩემ ქვეყანაში უნდა დავბრუნდეო. აბა ისინი კიდევ ერთ ამბავში ჩაცვივდნენ, ნუ წახვალო, ნუც იქ წახვალ და ნუც იქაო, აქ იყავიო. წახვალ და დაგიჭერენო. კაცი მეხვეწება, ღედაკაცი ტირის, შენაო იქ მოგკლავენო და არ დავიშალე, აღარ გავჩერდი. იმ გაურკვევლობამ უფრო შემაღონა.

დაღამდა. შევჯექი ცხენზე და წამოვედი. რომ გამოვედი და თოვნაც დაიწყო. ნაბადი შემოვიხვიე, თავზედაც ჩამოვიხვიე, ზოლტებით აქ ყელთან შევიკარი, დავადე ცხენს აღვირები ტახტაზე და მივუშვი ნებაზე. მოვდივარ და არ კი ვიცი, საით – ცხენს მოვყავარ, ცხენსა ვარ მინდობილი. ეგრე ვიარე ძალიან დიდხანს. მერე ერთგან ცხენი გაჩერდა. გამოვიხედე და ადგილი ვერ ვიცანი, არაფერი არა ჩანს. რაღაცა მთაგორიან ადგილში კი ვარ – გორების ზოლებივითაა ბნელაში. ცხენს ერთი ქუსლი შემოვჰკარი. თავი მოატრიალა და ეგრე შემომხედა. მეორე შემოვჰკარი და ეგრევე ჭყრუმად შემობრუნდა და წამოვიდა. ეგრე იარა, ძალიან დიდხანს იარა და მერე კიდევ გაჩერდა. გამოვიხედე და ვიცანი – ჩვენ ბინაში მოვუყვანივარ. კარია მოხურული და ღრიჭოებში შუქი გამოდის. ჩამოვედი ცხენიდან და კარი ნელა შევაღე. კერაში წივის ცეცხლი ანთია. კერის გარშემო ნაბდებში კაცები წვანან და სძინავთ. კერის პირას ეგრე ხელებზეთავჩამოდებული წუმაჰაძე ესტატე ზის. კარი რომ შევაღე, თავი ასწია, ხმა არ გაუცია, ეგრე ხელი მიატარ-მოატარა იმ ხალხზე და ხელითვე მანიშნა, წადიო. მივხვდი, რომ ის კაცები ჩემი მოძებარეები არიან. გამოვბრუნდი და ისევ

წამოვედი. გადავწყვიტე, რო ალონში ამოვიდე და ჩავბარდე.

ამასობაში გათენდა კიდევაც.

შირაქის გულში მოვიდვარ ქედისკე. ყოველი შემთხვევისთვის გზას მოვერიდე, მინდორს დავადექი. ერთიც ვნახოთ და ქედის მხრიდან ერთი ოთხი-ხუთი ცხენოსანი გამოჩნდა. გზაზე მოდიან. დამინახეს, გაჩერდნენ, დამიწყეს ყურება. მერე ეროი ჩემსკენ წამოვიდა, სხვებმა გზა გააგრძელეს. მოვიდა. ლეოა. მივესალმეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი და მითხრა, რო ჩვენაო შენ დასაჭერადა ვართ წამოსულებიო. ეროი ნაწილი ქედში დავრჩითო, საბჭოშიო და ერთი ნაწილი შირაქში წავიდა, ბინებში გეძებენო. ეხლა ჩვენც შირაქში მივდივართო. ჩვენი უფროსი ქალუნაანთ ანტონაა. ის ქედში დარჩა, საბჭოში იქნება. შენ როგორმე მალულად ის კაცი ნახე და როგორც იმან გითხრას, ისე მოიქეციო. მაგ ჩემმა ამხანაგებმა ვერ გიცნეს შორიდან, მე გიცანი და იმიტომ წამოვედიო. ახლა მე მაგათ არ ვეტყვი, რომ შენა ხარ. შენ წადი და როგორმე ანტონას ნახვა მოახერხეო. მიბრუნდა და წავიდა, ისევ იმ თავის ამხანაგებს დაეწია.

ამოვედი მე ქედში და ნათლიმამასთან მივედი. ათლიმამა გაეგზავნე საბჭოში, მიდი, როგორმე ჩუმად ესა და ეს კაცი ნახე, უთხარი, რომ აქა ვარ, მოვიდეს და მნახოსო. მოვიდა ნათლიმამა – ვნახე და მოვაო.

დიდი ხანი არ გავიდა და მოვიდა ანტონა.

თურმე რა ყოფილა: ის შავსიელების დაჭერა არა ყოფილა მართალი, ჭორი დავარდნილა და ხმა გავრცელებულა. ალონში კიდე ამბავი ასულა, ისიდორე ყაჩაღად გავიდაო და ახლა როგორც ყაჩაღს, ისე დამეძებენ.

ანტონას ვუამბე, როგორც იყო ჩემი საქმე. სუ დაწვრილებით მოვუყოლე, არაფერი დამიმალია. კარგიო, მითხრა, ეხლა მე წავალ, საბჭოში მივალ და ცოტა ხანში შენც მოდიო. იქ მე და შენ ისე შევხვდეთ, მითამ პირველადა ვნახეთ ერთმანეთიო. იქ ხალხია, თუქურმიშის მილიციის კაციც არის. დადექი და ეს, რაც მე მიამბე, იქ გვილაპარაკეო.

აღარცრა. ის წავიდა და ცოტა ხანში მეც მივედი. საბჭოში რომ შევედი, ეს ანტონა ზის, ხელში ჩონგური უჭირავს და უკრავს. – გამარჯობათო – მივესალმე. ოხ, ისიდორე, გაგიმარჯოს. საიდან, როგორო? – ანტონა მეუბნება – ჩვენ კიდე შენ დაგეძებთ ამდენი ხალხიო. მოდი, აბა ერთი ეს ჩონგური დაუკარიო. თან ჩონგური მომაწოდა და თან სკამი გამომიწია, – დაჯექიო. დავჯექი მეცა და თან ჩონგურიც დავუკარი. დაკვრა კარგი ვიცოდი და ძალიანაც ყურს მიგდებდნენ ის ფშავლები.

– კაცო, ალვანში ხმა დავარდაო, რო ისიდორე ყაჩაღად გავიდაო. მართლა ყაჩაღად გახვედი თუ როგორაა შენი საქმე, სადა ხარ, სად იყავი? აბა ერთი გვილაპარაკეო – ამ ანტონამ. მეც ავდექი და სულ დაწვრილებით ვილაპარაკე ისევ ის, რაც ანტონასთვის მქონდა ნაამბობი.

დასხდნენ ანტონა და ის მილიციონერი, ოქმი

შეადგინეს, ის ჩემი ნალაპარაკევიც შიგ ჩასწერეს. თავადაც ხელები მოაწერეს, მეც ხელი მომაწერინეს და მითხრეს, ჩვენაო ამ ოქმს თუქურმიშაში წავიღებთო, მილიციას ჩავაბარებთო. შენო წადიო, ცხვარ'ში იყავიო და თუ დასჭირდები, მილიციაში თვითონ დაგიბარებენ და ამოხვალო.

იმ დღეს რაღა იქნებოდა, ნათლიმამამ არ გამომიშვა, ნათლიმამასთან დავრჩი, მეორე ღღესლა წავედი ცხვარში. მილიციაში რა თქვეს და როგორა ქნეს, აბა, რა ვიცი. მე კი არავის დავუბარებივარ.

ხო, ეს ყველაფერი იმ ცხენის გამო დაეიწყე. განა მარტო კაცისთვისაა ძნელი, შენს ნაამაგარს, შენს მონაგარს რომ დაგატოვებინებენ. პირუტყვისთვისაც ძნელია, პირუტყვეიც ნაუღლობს პატრონის მოშორებას. ეგეთი ერთგულება იმ დალოცვილმა გამიწია. სუ გაძარცვულსა და მიწასთან გასწორებ'ულს იმან ეგრე ძალით 'შემარჩინა თავი. მერეც ეს სიდუხჭირე, 'ში'ში და მალვა-გაქცევა სულ ერთად გამოეიარეთ. ის თათრებიდან წამოსული ღამე პირველად რომ გაჩერდა, საჯოგე ყოფილიყო. საჯოგე გექონდა ცალკე, საცა ზამთარში ცხენებს ვინახავდით. პირველად იქ მისულიყო.

დიდხანსაც შემრჩა. იმ ჩამორთმეევების მერე კიდევაც წამოვიწიე, ცოტა ცხვარ-ცხენიც ისევ შეეყარე, მაგრამ

ის მაინც სხვა იყო, ეგეთი ერთგული და ნაამაგარი. საყორნეში გადამივარდა. თოვლი მოგვიეიდა და, ალბათ, შებერებულს მუხლმაც თუ უმტყუვნა, იმ თოვლში დასხლეტილიყო, იქ მომიკვდა. იგრეც კი ვიდარდე, თითქოს მამა მომკვდომოდა.

მინაწერი: ისიდორეს ამ ნაამბობმა მომაგონა ჩემი ძალიან, ძალიან ადრეული ბავშვობისდროინდელი ამბავი: მახსოვს, ჩვენი სოფლისკენ კოლექტივის საპალნიანი ცხენების ჯოგი რომ გამოივლიდა, ზემოდან ქვემოთ მიმავალი თუ ქვემოდან ზემოთ მომავალი, ერთი საღარი ცხენი აუცილებლად შეჩერდებოდა, ჩვენი სახლისკენ თავს შემოიბრუნებდა და ხმადაბლა დაიხვიხვინებდა. მახსოვს დედაჩემის ვიშ-ვიშიც – საღრო, ვაი შე ბეჩავო, შენაო.

ეს საღრო, კოლექტივები რომ იქმნებოდა, მაშინ შეაყვანინეს თურმე მამაჩემს კოლექტივში, გააერთიანებინეს, როგორც მაშინ იტყოდნენ.

საჯდომი, სადოღე ცხენი ყოფილიყო, ფიცხი, თავლაღი.

იქ საპალნის ცხენად აქციეს.

პირველ ხანებში თურმე ჯოგს გამოეყოფოდა, ეზოში შემოვიდოდა და დაიხვიხვინებდა. მათრახიანი კაცები შემოჰყვებოდნენ და გააბრუნებდნენ. მერე და მერე ეზოში

აღარ შემოდიოდა. მოხედვით კი აუცილებლად მოიხედავდა და დაიხეიხვინებდა.

წითელი ცხენი იყო, რაღაც მოთაფლისფეროსავით, შუბლზე დიდად საღარი. დიდრონი ბრიალა თვალები, დაბერილი ნესტოები, შუბლთან ორად გაყრილი მოჩალისფერო ფაფარი, დაგუდული, ხმადაბალი ხვიხვინი. მამაჩემი ეზოში იჯდა, საგუდე ტყავს კრეჭდა, ან სამატყლე ბარდანას აკერებდა. არ გაიხედავდა, თავსაც არ ასწევდა, თითქოს არაფერი გაუგონიაო. დედაჩემი ფეხჩქარა გავიდოდა, აივნის კიდეზე წადგებოდა, თვალს გააყოლებდა – საღრო, ვაი შე ბეჩავო, შენაო, წაიბუტბუტებდა და როგორღაც ჩაფერფლილი, ღონეწართმეულსავით მობრუნდებოდა.



თურქოანთ გაბო

მიხო: მამაჩემისთანა მპარსავი მთელ თუშებში, თუშებში კი არა, მთელ მეცხვარეობაში არა ყოფილა. თუშებში გინდა, კახებში, ფშაველებში, მოკლეთ ვინც კი მეცხვარე იყო, ყველამ იცოდა თურქოანთ გაბოს სახელი. ბევრს ნანახიც არა ხყვანდა, მაგრამ სახელი იცოდნენ, სახელი ჰქონდათ გაგონილი. არ დაიჯერებ და დღეში ასსა და ასოცს ჩეეულებრივ ჰპარსავდა, ხან მეტსაცო, იტყოდნენ იმისი ხნის ხალხი.

ეს გაკულაკება რო მოხდა, შავსიელობა, მამაჩემიც გააშავსიელეს, რაღა თქმა უხდა. მთაში ავიდნენ, იქ აუწერეს საქონელი. სულ წაართვეს, რაც რამ ებადა –

ცხვარი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძაღლი. ეგრე გამოუშვეს თითივით ცარიელი. ერთი საჯდომი ცხენი დაუთმეს მარტო.

წამოვიდა ბარში, აბა იქ რაღა უნდა ეკეთებინა – თვითონაა და ის ერთი ცხენი, ეგაა. მოდის ეგეთი გაბოღმავებული და გძელყანას რო ჩამოვიდა, ნახა,



მეცხვარეები არიან, ცხვარსა პარსავენ. იფიქრა, ეგეთი ცარიელი რომ მივდივარ, მოდი ამათ მივეშველები პარსვაში, ცოტა მატყლს მაინც მივიტან სახლშიო. მაშინ ეგეთი წესი იყო: ყოველი მეათე ნაპარსი გამპარსავს ეკუთვნოდა. უთხრა, ბიჭებო, მპარსავი არ გინდათო? გვიანია, კარგად მოშუადღეებული, თითქმის შუადღეც.

თურმე მზეს გახედა ი რომელიც 'ხაზეინი" ჰყვანდა, იმანა, და მპარსავი, თორე შენც თურქოანთ გაბო არ იყოო, ვერა ხედავ, დღე გასულია, რაღა უნდა გაჰპარსოო.

— რასაც გავპარსავ, გავპარსავო.

— კარგი, გაპარსე, მპარსავი გვჭირდება, როგორ არა გვჭირდებაო.

ჩამოხდა, ცხენს მოხადა, დააბა, დუქარდი ამოიღო, აბა კარგ მეცხვარეს ხომ დუქარდი სულ თანა აქვს ხურჯინში, და დაიწყო პარსვა.

მზის ჩასვლამდე ასი გაპარსა, აკრიფა თავისი იარაღები, ათი ნაპარსი ჩაიდო ხურჯინში და ცხენზე რომ შეჯდა, მაშინღა უთხრა, ბიჭებო, კარგათ იყავით, თურქოანთ გაბო მე ვარო.



თეთრახევაში ერთ დარბაისელ ფშაველ მოხუცს, არჩემაშვილ ლაზარეს ეესაუბრებოდი თვითონ შავსიელობას როგორღაც გადარჩენილი შავსიელობაზე მიამბობდა იმ დიდი ტკივილით, რაც ყველა მეცხვარეს დაუტოვა ავი დროის იმ ავადსახსენებელმა მოვლენამ.

— ჭყოპიშვილს თუ იცნობდი მეთქი? — ვკითხე როგორღაც საუბარში.

— ე, ბეჩავი! რას არ ვიცნობდი! — თვალები მოუწყლიანდა ლაზარეს. — გააშავსიელეს, წაართვეს იმდენი საყოლ საქონი, სახლიდანაც გამოაგდეს და დასაჭერად დაუწყეს დევნა. ჩვენთან ამოვიდა, ჩვენ შემოგვაფარა თავი. ზუზუმბოზე ვიყავით, იქა გვქონდა

საწველი ბინა. ბერი კაცი იყო. ვეტყოდით, არ გინდაო და აბა მაშ რა ვაკეთოო, ბაკში გადმოდიოდა, წველაში გვეშველებოდა.

ერთხელაც ბაკში ვართ, ცხვარსა ვწველით და ქვემოთ, გზაზე, ორი ცხენიანი კაცი გამოჩნდა. მოვიდა, ნახევარი კასრი რძე ჩამისხა, ჩემ კასრში გადმოცალა, ბაკიდან გადავიდა და, ბინის დაბლა რაღაცა წარაფა იყო, ტყის კორომა, იქითკე ჩეფარა ი ჩამოწეწილი სამწველაო სამოსების სახელოების სწორებით.

— ახლაც რო მამაგონდება, ტირილნი მამერევიანო — და მართლაც ნიკაპი აუკანკალდა მოხუცს.

ჭყოპიშვილი! ამაყი თუში, დიდი ცხვარ-ბინისა და ცხენმრავალი ჯოგის პატრონი, სულ ცოტა ხნის წინ თავისი მონაგარით თამამი.

'ჭყოპიშვილის ჯოგი" ეხლაც სიმრავლის აღმნიშვნელ გამოთქმადაა შემორჩენილი თუ'შეთ'ში. 'გამოიშალნენ ჭყოპიშვილის ჯოგიყითაო" — იტყვიან ხოლმე შვილმრავალ ოჯახზე.

ცხვარ-ბინა, ჯოგი, მთელი უძრავი და მოძრავი ქონება წაართვეს და მხოლოდ ზედ რაც ეცვა, იმ ტანსაცმლის ანაბარა გამოაგდეს მისივე ნაშრომ-ნაამაგარით აშენებული სახლ-კარიდან. და აი ეს კაცი, მართლაც კაცი, ახლა ერთი ბეჩავი მეცხვარის სამწველაო

ტანსაცმლიანი, ნადირივით დევნილი, ტყის კორომში ემალება მის შესაპყრობად გამოსულ მდევარს.

განა ამაზე მეტი დამცირება, ამაზე მეტი განადგურება, ადამიანის ღირსების ამაზე მეტი შეხქვეშგათელვა იქნება?

რა გულმა უნდა გაუძლოს?

აკი ვერც გაუძლო!

დევნის პირველ ტალღას როგორღაც გადაურჩა. მის სახლში კოლმეურნეობის კანტორამ დაიდვა ბინა. თვითონ დის ოჯახს შეაფარა თავი. ყოველდღე, როგორც წესი, დღის გაუცდენლად, გავა, თავის სახლს გაუვლის, შეხედავს და მობრუნდება.

და აი, ერთი ამგვარი გასვლის შემდეგ უკან მობრუნებულმა შინამდის ვეღარ მიაღწია, გზაში წაიქცა.

უდარბაისლესი მოხუცის,

ილიკო იჩუაიძის ხსოვნას

ხალხი რომ გააშავსიელეს, ის დროა. მეც გამაშავსიელეს, ჩემო ძმაო, სულ წამართვეს რაც რამე მეპადა: ცხვარი, ცხენი, ბღავანი აღარ დამიტოვეს და ახლა დასაჭერად დამიწყეს დევნა, გადასახლებას მიპირობდნენ. ტაბურეტკა დამდევდა, ომალოელი, მაგრამ ვერ დამიჭირა.

ახალი დაღამებულია, პურის ჭამაზე, ვახშამზე ვსხედვართ მე, დედაჩემი და ჩემი და, რეპკო. გესლაიძე ლეო მოვიდა. ის დიაკვანი იყო და მღვდლები რომ გაკრიჭეს, ის როგორც მცოდნე კაცი, საბჭოს მდივნად დააყენეს. მოვიდა ეს ლეო და მითხრა, რო, ღმერთმანი, დღეს აღმასკომის სხდომა იყო და ხვალ შენ უნდა

დაგიჭირონო, მოდი ცოტა ხნით თავი გაარიდე, წადი სადმეო. მაშინვე ჩავიცვ-მოვიცვი, რა მაშინაც ჩუსტებსა და ჩექმებს ჩავიცვამდით, ქალამნები ამოვიცვი და მოვეგლიჯე. ისიდორესთან ჩავედი ლალისყურში. მეორე დღეს იქაც მაცნე მომივიდა, უნდა დაგიჭირონო და ახლა ლაფანყურში წავედი კიდევ. იქ მამიდაშვილი მყაყდა გათხოვილი, ბაჩა სანდროს და, მარიკო და იმ მარიკოანოსა მივედი. მე რა ვიცი, იქ კიდე თურმე კარატიელის მეზობლად მივსულვარ, შინსახკომელი იყო ერთი კარატიელი და იმასა და იმ მარიკოს ქმარს მეზობლად ეცხოვრა. ღამეა, მე და ის ჯონგა, ჯონგას ეძახდნენ იმ მარიკოს ქმარს, ისე გიორგი ექვივნა, პურსა ვჭამთ და მარიკოს დაუძახეს. ერთი მოხუცი ქალი შემოვიდა და მარიკო გაიკითხა, გარეთ გაიყვანა. კარგა ხანი დაგვიანდნენ. მარიკო შემოვიდა და მითხრა, ილიკოო, შენ ხომ არავინ გეძებსო. არ ვიციო, ვუთხარ, ეგრე-ეგრეა ჩემი საქმე, გამოპარული ვარო. – ხო და ეგ დედაკაცი მაგაზე იყო მოსული, თუ ეხლავე არ წახვედი, ხვალ დილას უნდა დაგიჭირონო. აბა მოვეგლიჯე იქიდანა და ახლა ბელაქანში წავედი. იქ ერთი ყონაღი მყვანდა, ორი წელი იმასთან ვიყავი ნამყოფი, თათრულსა ესწავლობდი, იმ თათართან მივედი. იქაც მიპოვეს. "შპიონი" მომივიდა, რო მოგაგნესო და თუ თავს არ

უშველე, დაგიჭერენო. ვიფიქრე, აქ საცხოვრი აღარ არისო და თუშეთში უნდა გადავიდეო. გვიანი შემოდგომაა, ზამთრის პირი და თუ გადავედი, გაზაფხულამდე იქ ველარავინ მიპოვნის, გაზაფხულზე კიდე საითმე გზას გავიღებ.

წამოვედი იქიდანა და დაღამებულზე ლეჩურში მივედი. იქ ბერმამიდაშვილი მეყანდა, არჩემაშვილ გიორგის ცოლი, ნინო, იმ გიორგიანოსა მივედი. გიორგიმ მითხრა, მე ზარზე დავაყენებ სააოს, შენ დაიძინე და მე თავად ვიცი, როდის უნდა გაგაღვიძოო. თან მეშინია, შეშინებული ვარ, რომ დამიჭირონ, გამასახლებენ. ასახლებდენ მაშინ შავსიელებს – ეს თხელიძე რეზოც მაშინ გაასახლეს, ბღუჯოანები რამდენი გაასახლეს, ბრუდიანთ დავითო წინა წელს გაასახლეს და კიდევ რა ვიცი? გამაღვიძა. ნინოს კოტრები[16] დაუცხვია. ის კოტრები, ერთი წყვილი ახალი წინდები გამატანა და წავედი. შევეკიდე ამ საპურის გორს მარტოკა. თეთრის ჯვართან რომ ავედი, თოვლია, დედამიწა გახურულია; ჭიხოლეს წყაროსთან ავედი, ფეხსა მალავს, საართანოს გავედი, უკვე წინდის ყელს იჭერს. თანაც მზემ პირი ამოყო. ვთქვი, მოდი აქვე

---

[16] კოტორი – ხაჭაპური.

ცოტას შევნაწილდებიო[17] და მერე წავალო. ბოკვის წყარო ხომ იცი, იქ გადმოხურულში ცეცხლი შევანთე, კოტრები ჩავაცხელე და ჭამას ვაპირობ. ამ დროს ერთი ხიდან ციყვი გამოვარდა და მეორე ხეზე შევარდა. ახალგაზრდა კაცი ვარ, ოცდაოთხი წლისა და რა ვიცი, რად მინდოდა, ვთქვი, მოდი მოვკლა ეს ციყვიო. ჯოხი ავიღე და წავედი. ამ დროს, რასა ვხედავ, იმ ხეზე, ციყვი რომ შევარდა, ვინტოკაა წვერდაღმე ჩამოკიდებული. ერთალია შემეშინდა, შემეშინდა, რო სულ დავიშალე. მერე დავმშვიდდი. ვთქვი, ეს ხომ თოვლია, აქ არავისი კვალი არ არის, ესე იგი ეს თოფი აქ ვიღაცას დარჩა, ადრევე დაკიდებული იქნება. ჩამოვიღე. კონდახი ერთ ადგილას ახეთქილია და ქსლის ნაჭრით, ლურჯი ნაჭრით არის შეკრული. დავირწმუნე, რომ ეს თუშების დაკიდებულია. გადმოვსწიე საკეტსა და ერთი ვაზნა დევს შიგ, სხვა არაფერი არ არის. აღარც ჭამა? გუდანაბადიც ავიკიდე, ეს თოფიც გადავიკიდე, კოტორი ხელში დავიჭირე, ჯოხი იღლიაში ამოვიჩარე და წამოვედი. საართანოს კუდში რომ ჩავედი, ვხედავ, ერთი დათვი ამოსულა მაგ პანკისის მხრიდან, შებრუნებულა ამ საპურის გორ-გორ და სულ

---

[17] შეხაწილება — მსუბუქად საუხმობა.

გზამართლა მიდის, მიჰკვალავს. ახალთ-ახალი ნაკვალია. ჩაუდექი მეც ამ დათვის ნაკვალში და წინ დათვი და უკან მე, წინ დათვი და უკან მე. მიმიძღვის, მიჰკვალავს. დანახვით კი ვერ დავინახე, ვუყურე და ვერ დავინახე.

წყაროანას ცერში რომ ავედი, აი თოვლი, მკერდამდეა. სულ გადაეკვალა, გადაეღარა და იმის ნაკვალს მე გადავჰყევი. გადავიხედე ამ ტბებისკენ, ჩემო ძმაო, და შორს, ძალიან შორს ორჯერ-სამჯერ ამიჭრელდა, მგონია რაღაცა მიდისო, ხან ბნაგვედაც რაღაცა ამიელდებოდა, მაგრამ თოვდა და კარგად ვერ დავიმტკიცე, მართლა ჩანდა თუ არა. ჩექლიმები რომ გადადის ჩონჩხებზე, იმ ჩექლიმებზე გასულიყო, თელაურათ ნაწველებს რომ ეძახიან, დაბლა, კუდში, იქ ხომ ხევში გზა ჩადის, იმ გზაზე ჩასულიყო და იქიდან ლეკთეაკეში გადავიდა. გავიდა გზამართლა ეს დათვი, გაკვალა მეცა და მელთკუდას კუდში რომ ჩავედი, იქ კარგად დაღამდა. იქ დავრჩი კარგა ხანი. ქუჩები რაღაცა მოვგლიჯე, ქალამნებში გამოვიცვალე, ნინომ რომ წინდები გამომატანა ისინი შეწყო მ'ძრალები უბეში, ისინიც გამოვიცვალე, ჩავთბი, ჩავიძინე. შუაღამე იქნებოდა, გამომეღვიძა და ჯანღია შემოსული. ვიფიქრე, ეს რომ გაცუდამინდდეს, აქ დავრჩე, გამყინავს და მოდი წავიდე, თორემ ამ დათვის კვალსაც დავხკარგავ

და ველარ გადავალო. შევეკიდე ამ მელოკუდაის გორს. საწოლაებთან რომ ავედი, დაუბერა ერთი ზემოურმა ნიავმა, ატყდა ქარი. ღამე გატეხილია თუ შუაღამეა, ეს დროა და ვა, კაცო, ველარ ვუძლებ, ველარ მიედივარ. ქარ-ბუქია ისეთი, ისეთი, რო მახრჩობს. ავდექი, მოვიხლიჩე ეს ნაბადი, დავიხვიე, თოფიც ლაჯებში მოვიქციე და ჩავჯექი. რაღაც თეფასავით ადგილია, ოოლში ვარ ჩაფლული და იქვე ჩავჯექი. დამაწვება ოოლი მაღლიდან, დამაწვება, ვიფიქრებ ეხლა ნაპრალი მომკიდაო, ავიწევ ცოტასა და ქარი სულ გადამაცლის, გადაყრის. ივლის, ივლის, ისევ დამაწვება, ისევ ავიწევ და გადაყრის. ეგრე გავათენე როგორც იქნებოდა. თენება რომ დაიწყო, ავდექი, ავიყარე, აეამტვრიე, ქარმა გადაყარა და ზემოთ რომ შევხედე იმ ვირების საფლობის მაღლა, ეს გორი სულ მშრალია, გადაქარული. შევეკიდე. ქარი კია, მაგრამ ისე ძლიერი აღარაა, ქარ-ბუქი აღარ არის. მიედივარ ამ ფხა გორზე და ჩახ-ჩიხ, ჩახ-ჩიხ, გაუდის გაყინულ ქვიშიან სავალს. ავედი მაღლა. იქითა მხარეს ცერის პირები სუ ნაპრალებითაა გაბმული. არ გინდა გადაარღვიო? ეს ხამად კაცი. ზამთარში არასოდეს გადავსულვარ, არც მოხნავად ვარ ნამყოფი და ზამთარში საით გადადიან, არ ვიცი. რაც ცხვრებსა ვარ გაზაფხულზე

გადაეოლილი, ეგ არის და ეგ. ვიაზრე საცხვრე გზა რაზედაც ჩადის და ვოქვი, მოდი ისევ აქეთ დაველირო. გადავედი, გადავეშვი. გასკდა ეს ნაპრალი და წამიღო. ბედად დამ'ხრალი თოვლი იყო, მსუბუქი. ცოტაზე ჩამათრია და გაჩერდა, ჩაგუბდა. ამოვძვერი როგორც იქნებოდა, ჩავარღვიე თავქვე. ტბებთან ჩავედი და ისევ დაეტყო ამ დათვის ნავალი. ჩამიყვანა დათვის ნაკვალმა ორწყალში. სადილობაა უკვე. ვიარე და ქვეთორწყლამდე ჩამიძღვა ეს დათვი. მერე ის პირდაპირ წავიდა ხევ-ხევ, მე შევბრუნდი და ავხყევი ჭროლებს ჯვარისსახარისკე. თოვლი დიდი აღარაა და თავად მივხკვალავ. სამ'შვიდობოსა ვარ.

სამარსიტეს რომ გადავედი, დაბინდდა, დაღამდა. მელთკუდაის კუდიდან წამოსულს იქ დამიღამდა. გაღმა საჩიღოლოში ქოთილაიძე როსტომის ბოხელში ვიღაცა დადის ხელილამფით. ის ერთი ვაზნა რო მქონდა თოფში, ის აქ გავცალე. მე რომ აქ თოფი ვისროლე, ორი იქ იმან ისროლა. ერთიც მაღლა სოფელში გავარდა, საჩიღოლოში. – ვინა ხარო – დამიძახა. – ილიკო ვარო, დავუძახე. – ეგრე პირდაპირ ჩამოდი და მეც ჩამოგეშვლებიო, – დამიძახა. ჩავედი, პირდაპირ წისქვილებთან ჩავედი. იქიდან ის როსტომი ჩამოვიდა და მაღლა სოფლიდან აბაიძე სტეფო და კიმოთე

ჩამოვიდნენ. ამიყვანეს, საჩიღოლოში ამიყვანეს. აბა, იქ დიდხანს არ გავჩერდი და ვესტმოში გამიყვანეს.

ვესტმოში პურმარილია, საგიორგობო სუფრაა გაშლილი. ეხლა აღარ იციან, თორემ წინათ საგიორგობოდ დიდი სუფრის გაშლა იცოდნენ, სოფელი იკრიბებოდა, გოგრულთა, საჩიღოლო, ვესტომთა, ვესტმო და ეგრე მოყოლებით. ხო და ვესტმოში ჯარია, სუფრაზე სხედს ხალხი. საწყალი პაროენაიძე ალექსი იყო თამადად და აქ გადმოდიო, ჩემთან გადმოხედიო, დამიძახა, დამისვა გვერდზედა და – საიდანო, როგორო, მარტოკანა როგორ მოხვედიო – მკითხავს. უამბე, – ეგრე იყო ჩემი საქმე, ეგრე იყოო, აი როგორც თქვენ გიამბობთ, ეგრე უამბე იმასაც, მეტი ჩარა არ იყოო და წამოვედიო, მარტო წამოვედიო და ეგრე დათემა გადმომიყვანაო. ჯაფარა იჯდა სუ ბოლოში და იმას გასძახა, ძმაო, მოსულაო. – რა გაიგეო – იმან დაუძახა და – აიო, ძმა ამბობსო რო მოსულაო. მე რა ვიცი, რას ამბობენ.

იმ ღამეს ეიპურმარილეთ, რაღა თქმა უნდა, და დავი'შალენით. მეორე დღეს, შუადღისთვის ამ ძმებმა დათეი მოიტანეს.

თურმე იმ დათეის ბუნაგი ხქონიათ შეგულებული და რამდენჯერმე ყოფილან დასათვალიერებლად, მოვიდა

თუ არაო. ხო და მე უშპიონე. მე თავად მოვაკვლევინე ის დათვი. მე რა ვიცოდი, თუ იქ წავიდოდნენ. სუ ეგ მენანება, ეგ ცოდვა ჩავიდინე ძალიან. მაგაზე ცუდი არაფერი გამიკეთებია დედამიწის ზურგზე. მარტოკა კაცი, ხამი კაცი, უტარებელი, იმას დავენდე, მთას გადმომიყვანა, შინ მშვიდობით მოვედი და მე კიდე უშპიონე და მოვაკვლევინე.

სულ ეგ მაწვალებს, ეგა მტანჯავს რო გამახსენდება.

ცრემლი მთაში

ზობაიძე: დაიწყებენ ქალაქელები, ესაო ცირკიო, ესაო კონცერტიო, ესაო წარმოდგენაო, ეს ესაო და ეს ისაო. აქ მთაში რო ცირკებსა და წარმოდგენებს შეესწრობი კაცი, იგეთები ქალაქელებს სიზმრადაც არ მოეჩვენებათ.

ერთი დროა, კაი ხნის ამბავია, ბატკანი გავპარსეთ. თოხლს მე გავყევი. ეთელთის ხორხში, ვაკეებში, ჭირტლიანი საბინაო რომაა, იქ დავაყენე. თან ორი ძაღლი წამომყვა — ერთი ხვადი, ტანადაც დიდი, ერთი ბრიყვი და შეუგნებელი რაღაცა, ჯოხი რომ ზედ დაგემტვირა, კუდს ვერ დაახრევინებდი. კაცისთვისაც მაგარი იყო და ნადირისთვის ხომ იყო და იყო, ძგლიმოს ვეძასდით და ერთიც კიდენ ძუ — ციათეთრი ძაღლი იყო, ხათო, ისიც კაი გულადი.

მთვარესრულობაა, ნათლიერი ღამეები. მარაგიანი ღამე დაღამდა, დაღრუბლული. ხომ ეგრე იცის მთვარესრულობისას: თუ ძალიან სქელი ღრუბელი არაა, მაინც ნათლიერია ხოლმე. ხო და ეგეთი ღამეა. არ ვიცი, რა დრო იქნება, დამძინებია კი და ერთიანად დაფრთხა ფარა. თან დაეუხმაურე, წაეჰკივლე, თანვე წამოვხტი და ამ დროს ერთი ზორბა დათვი და ეს ჩემი ძაღლები ზედ შუა ნაწიდარზე დაირივნენ. ის უჰატრონო, რა ვიცი, ფრთხილი ძაღლები იყვნენ და როგორ შემოეპარა, შემოჰპარვია. მაგან ხო ეგრე იცის, ფარას სათავეზე მოექცევა, უცბად გადმოერევა და ეროს გაიტანს, რამდენჯერმე გაისვრის. კარგა მანძილზე გააცილებს ნაწიდარს და მერეღა დაიჭერს. ხო და ამანაც ერთ მამალ თოხლს წამოუსვა ტოტი, გაისროლა და რომ უნდა გაჰყვეს, ამ დროს ეს ძგლიმო სწვდა უკანა საგაზაფხულბ'ში. ეს რომ ამას მოუტრიალდა, მეორე მხრიდან ძუ ეცა და დატრიალდნენ. შუაში დათვი და იქით-აქეთ ძაღლები: ერთს მიუბრუნდება, მეორე სწვდება უკან კანჭში, ამას მიუტრიალდება და – ის. ვერც გარბის, გზას არ აძლევენ, ვერც ტოტს აწვდენს, არა და გაუჭირდა, ღრიალებს. ამასობაში ფარაც შემობრუნდა, შუაში ადგილი დააგდო და შეჰყურებს ამათ ჩხუბ-დავიდარაბას. მეც კიდევ, ჰაი და ჰუი, არიქა და ურიქაო,

მიდი და ეციო, ეურბენ გარშემო, კაი მსაჯივით, ამ ძაღლებს ვაქეზებ. კარგა ხანი იომეს, დაიღალნენ, გავიდნენ ნაწიდრის პირში, ჩამოსხდნენ ერთმანეთის პირისპირ, აქეთ ძაღლები, იქით დათვი, ქაქანებენ, ასე ენაგადმოგდებულები, შეჰყურებენ ერთმახეთს. აღარც დათესა აქვს იმის ჩარა, რო გაიქცეს, აღარც კიდე ძაღლებს, რო ზედ მიიწიონ. როდის, როდის წამოიძარძლა და სულ ბუქ-ბუქით წავიდა. ძაღლებმაც ცოტაზელა ჩააცილეს და მობრუნდნენ. მიდიოდა და მიჯავრობდა. არ ვიცი რას ამბობდა, კარგა ხანს კი ისმოდა იმისი ღაჯუნი.

აი ნამდვილი ცირკი ის იყო: შუაში დათვი და ძაღლები, მე მსაჯი და თოხლები კიდე მაყურებლები. ახლა ეგრე ნაამბობი არაფერია, თვითონ უნდა გენახა. ისეთი სასაცილო იყო, ეხლაც რო მომაგონდება, ეშმაკსავით მარტოს ამიტყდება სიცილი.



ანზორ რაინაულის ხსოვნას

ხმელო: რა გაპარსვა, რის ტანსაცმლის დაცელა, სად იცლი კაცი მაგეებისთვის. როგორც კი მთაში ამოვალთ და ცხვარ-ბატკანს დავარჩევთ, წველას დავიწყებთ, ან გასაპარსად სად მოიცლი კაცი, ან თავ-პირის დასაბანად და ან ტანსაცმლის გამოსაცვლელად ბატკანგაპარსვამდე. ან შინ ვინ გაგიშვებს? ეს ჯეილები კი გარბიან დღეობებში. ჩვენ, ბებრები, ვართ ეგრე ტკიურებსაკით გაბურძგნულები, თმა-წვერიანები. შენ თავად იფიქრე, კაცი რომ დათვს შეაშინებ, დათვს, ნა-დირს, თავადაც ნადირზე უარესი უნდა იყო ალბათ. ამ წინაზე ორი დაითვი შევაშინე ისე, ისე, რომ ალბათ ეხლაც გულები ხელით უჭირავთ.

პირადი ბატკანი გავპარსეთ და ფერმისა დავარჩიეთ, აგრეგატზე უნდა გაგვერეკა. სხვებმა დაგვასწრეს და ბასიკომ ამბავი მოიტანა, ერთი კვირის მერელა მოგვიწევს რიგიო. აბა ბინაზე ხომ ვერ შევინახავდით და ხორხშივე დავაბრუნეთ ეს გასაპარსი ბატკანიც. მე გავყევი. იმ ქოხთანა საბინაოზე ჭარინას ედგა პირადი თოხლი, გაპარსული და მე კიდევ ზევით დავაყენე, ლაროვნის ხევი რომ გამოვარდება, იმ ხევის პირზე, რიყეზე. დათვი მაწუხებსო, ჩივის ჭარინა, ყოველლამე მატანსო და, მოკლეთ, შეწუხებულია კაცი, ძილი ვერ დამიძინიაო. ლაროვნიდან გადმოდის, იქიდანაა ჩექლიმიო.

მივაყენე ფარა. დაღამდა, დავწექი მეცა და ფროხილადა ვარ. ლაროვნიდან თუ გადმოვა, ჯერ მე მომატანს და მერელა ჭარინასთან გადავა. ბნელი ღამეა, ცოტას ჟინჟლავს კიდევაც. არ ვიცი, რა დრო იქნება, უნდა წამეძინოს, ძილ-ღირღალთა ვარ და ამ დროს ქვიშის ჩხრიალი ჩამომწვდა, ბატკნები დალმა მოდიან. აქ საქმე რაღაცაშიაო, ვიფიქრე, გამოვხედე ნაბდიდანა და სულ რაღაც ორ მეტრაში არ მომდგომიან ორნი, ერთი დიდია, მეორე შედარებით — პატარა, ალბათ დედა-შვილნი თუ არიან. მე ვერა მხედავენ. თოხლებისკენ იყურებიან, სადაცაა უნდა გადაერივნენ. აი თქვენი პატრონის დედაო, რომ წამოვუდექი ზედ ცხვირწინ, არ

ვიცი, რატო ეგრე ძალიან შეეშინდათ, ვეეო, რომ დაიღრიალეს, მიტრიალდნენ უკანვე და ვირებმა რომ იციან შეშინებულებმა ყროყინი, ეგრე ყროყინითა და ბრაგა-ბრუგით გაცვივდნენ ამ ლაროვნისაკენ. რა ვიცი, რატო ეგრე გულებმა ჩახეთქა, კარგა ხანი გავიდა და იმათი ბრაგა-ბრუგი და ყროყინი კიდევ ისმოდა სადღაც შორს მაღლიდან.

მეორე ღღეს ჭარინას ვუამბე, ეგრე და ეგრე, დათვები შევაშინე წუხელაო და რო გიყურებ, მე მეშინია, დათვებს რას არ შეაშინებდი, ერთი სარკეში ჩაიხედე, რასა ჰგავხარო, სარკე მომაწოდა. მთელი ზაფხული სარკეში არ ჩამეხედა და რომ ჩავიხედე, კინაღამ მეც შემეშინდა. ეს სამი-ოთხი თვის გაუპარსავი, გაბურძგნული თმა-წვერი, გაშავებული. თავზე კიდე, აჩქარებულმა ჩემი ქუდი ვეღარ ვიპოვე და ჩახუაშვილი დაათრევდა რაღაცას, ცილინდრსაკით ფარფლებიანს, ტურისტებს დარჩენიყო წინა წელს, ის მომხვდა ხელში და ის დავიხურე. აბა ის დათვები ეგეთ კაცს სადა ნახავდნენ, ჭარინა სულ ნეფედდასაჯდომსავითაა მორთული. კვირა არ გავა, რომ არ გაიპარსოს, თავ-პირი არ დაიბანოს, სუფთა ხალათი არ გამოიცვალოს. აბა ბატკანშია და იცლის. მე კიდე მთელ ზაფხულს ბაკში ნაგდები, იგეთი ვიყავი, რო მართლა გულები ჩავახეთქინე იმ დათვებს.

ალბათ იფიქრეს, ეს ნეტა რა არის, რა ცხოველია, ეგეთი რომ არაფერი გვინახავსო.

მადლი კი დაგვემართა: ერთი კვირა დავრჩი ხორხში და არც მე და არც ჭარინას დათვი აღარ მოგვჩენებია.



ალაზნისთავიდან წამოვედით საპარსად. თან უნდა გავპარსოთ, თანვე კრიონილში გაეაბანოთ თოხლიცა და ცხვარიც. მე მშრალს[18] მოვდევდი. ცოტა იყო, ასე ექვსასამდის და მარტოს მომიდიოდა. ბატკანს მოხუცები ეტანნენ, ძმები აბულიძეები, ნოდარი და ზაქრო.

იმ საღამოსთვის საჯინჭველეში გამოვედით. დაბლა საბინაოში, ბაშინურთ ნაწველში, იმათ დაედვა ბინა, მე გაღმა გავედი, ერთი ქვიშიანი ტაფია, იქ დავდექი. დაღამდა. ცხვარი მივაყენე, დავაყენე და იმ უფროსებთან გავედი. ერთად ვიეახშმეთ, ეჭამეთ პური, ვილაპარაკეთ აქეთური, იქითური და დაწოლის დრო რომ მოვიდა, მე

---

[18] მშრალი — ფარა, რომელიც არ იწველება.

ჩემ ფარასთან წავედი და ისინი იქვე დარჩნენ, რაღა თქმა უნდა. არც ძაღლები წამიყვანია. ორნი იყვნენ, ერთმანეთის ქომაგები. სადაც ერთი იყო, მეორეც იქა რჩებოდა ხოლმე და ვთქვი, ხნიერი ხალხია, ამათთან იყვნენ, ამათ უფრო დასჭირდებაო. მე ჩემი სიფხიტის[19] იმედი მაქვს.

ნათლიერი ღამეა, მთვარიანი, დარი. დავწექი, დამძინებია კიდევაც და ერთიანად სათავე მხარეზე დაფრთხა ცხვარი. მე ეგრე ვიცი, ცხვარი რომ დაფრთხება, სანამ არ გავარკვევ, რა ხდება, ხმას არ ამოვიღებ, არ დავიკივლებ. ხო და, ახლაც, გაეხედე, კაცო, და დათვი წამოერია. ერთი დაიჭირა იქვე ქვიშაში და გაექცა, ვერ დაიმორჩილა. ისევ გადმოხტა და ერთი აქ ჩემს ახლოს დაიჭირა. მე ერთი ჯინჭრის ბუჩქი მეფარება, ვერა მხედავს. ეს დაჭერილი ცხვარი პირდაპირ ჩემსკენ წამოიღო. ამასობაში მე თოფში ვაზნა ჩავაგდე, კარგა ახლოს მოვუშვი, ბეჭებში დავუჭირე და დავაცვეცხლე. ტყვიამ ტყლაშანი გაიღო, მოხვდა. ერთი დაიღრიალა, ცხვარიც იქავე დააგდო და ხევისკენ გადაეშვა. ცხვარი წამოხტა და ფარაშიევე შევარდა. ეტყობა, ვერაფერი დააკლო.

---

[19] სიფხიტე — სიფხიზლე, სიმარჯვე.

— აი დედა გიტირე პატრონისა, წაგერთვა ჭამის მადაო — მივაძახე.

წამოვუარე ფარას, შემოვაქუჩე და დავწექი ახლა უკვე გულდიდად. ის აქ ალარ მოვა და განა რამდენი დათვი უნდა იყოს ამ მიდამოებ'შიო, ვიფიქრე.

მეორე დილას ცხვრის გაშლამდეე გავედი მოხუცებთან და ვუთხარი, პაპაშებო, ღმერთმანი, წუხელის ეგეთი და ეგეთი ამბავი მქონდა. ამ ცხვარს რომ გავამგზავრებო, ერთ-ერთი თქვენ ამ ჩემ ფარას გაჰყევით, მე კვალს ჩავყვები, ის აქვე სადმე ჩაკვდებოდა და ტყუილად მოკვლას რას გამოვრჩებით, ტყავს მაინც წამოვიღებ და ცოტა-მატა სამწვადეებსაც ავაჭრი, ამაღამ ერთი დათვის მწვადები ვჭამოთო. კარგიო, იმათაც, ეგრე ვქნათო და ზედვე ბრიგადირიც მოგვადგა, ჯამრულიძე. ის საპარსიდან წამოსულიყო ჩვენს მოსაშველებლად და ცხვრების გაშლამდე იქ მოგვივიდა. იმასაც ვუთხარით, ეგრეა ჩვენი საქმეო და წადიო, მითხრა, შენ წადი, ფარას მე გამოვყვებიო.

სანამ პური ვჭამეთ, ბინა ავყარეთ, ვირები დავკაზეთ, უკანიდან პიპილოს ბრიგადის ცხვარი მოგვადგა. გიგოლაშვილი ეტანა იმ ფარას, ტრისტანი. იმან ხანჯლის შემოხსნა დაიწყო, ხანჯალი ერტყა წელზე, წაიღეო. არ მინდაო, ვუთხარ, ერთი დათვი არაა, რათ

მინდაო. არ წამოვიღე და ვინანე კი მერე.

გავისტუმრე ფარები და ჩაეყეკი დათვის კვალს. არა და ორი ვაზნა მაქვს. სულ სამი მქონდა. ერთი ხომ წუხელ დაკწეი და ორიღა დამრჩა, იმ ორით მივყვები. ტყვიამ რომ ტყლაშანი გაიღო, მე იმან გამაბრიყვა. რაკი მოხვდა, მგონია, რომ მკვდარს მივადგები სადღაცა. სისხლიანი კვალი მიდის. საჯინჭველის ხევზე წასულა დაბლა, შავწყლისკენ, მაგრამ ალაზნამდე არ ჩასულა, მარჯვნივ გაუხვევია, ჯავახის ძირისკენ შამბიან ფერდზე მიდის ნაგალი. გავყევი ამ ნაგალს. ისეთი მაღალი შამბია, რომ ზოგან შიგ ვიმალები. ცოტა გავიარე და ერთ შალდაყიან ტაფში ნაწოლს მივადექი. ახალი ამდგარია, ნაწოლს ჯერ კიდევ ხუმფელი[20] ასდის. კარგა ბლომად სისხლიცაა, ჩადედებული სისხლი. წინ რომ ნაგალი მიდის, ისიც ახალია, ნავალზე ბალახები სწორდება. ესე იგი ჩემი ძიახლოვება იგრძნო და გაძერიდა. ძივყევი, მივყევი და დავეწიე. დავინახე რომ მიდის და უკანა მარჯვენა ფეხს მიითრევს. მენჯში მოხვედრია, მენჯი მოუტეხია. ძალიან დიდი არაა, მაგრამ არც პატარაა. ჩალისფერი დათვია და ეგენი, ხომ იცი, ძალიან ავ-შავები არიან. ამიტომ ცოტასა ვფრთხილობ. მივდევ,

---

[20] ხუმფელი – თბილი ორთქლი.

მინდა დავუახლოვდე და მერე ვესროლო, ისე მოვარტყა, რომ დაიმორჩილოს. უცბად კვალი გაწყდა, ნაგალი აღარაა. გავჩერდი. ეფიქრობ, რა იქნა? აღმა ვერ წავა, ფეხი აქვს მოტეხილი, თავქვე ნაგალი არ მიდის, არც წინაა წასული. ვიცი, აქ სადღაც ჩაძისაფრდა. ვდგავარ ადგილზე, თოფი ფეხზე მაქვს შეყენებული. ვეძებ, სად შეიძლება იყოს და დავინახე: ჩემ წინ ხუნწებია[21] და იმ ხუნწებში შემძვრალა, მელოდება. მივაბრუნე ღა ვესროლე. დაიღრიალა, მხარში იტაცა პირი. მხარში მოხვდა. ისევ გაიქცა. მიყყეყი. იარა, იარა და ერთ დაცემულ ტაფობში გადავიდა. შამბია, მაღალი შამბი, მკერდამდე მწვდება. ფრთხილად მივდივარ, ძალიან ფრთხილად. ვიცი, აქ სადმე უნდა ჩამისაფრდეს და მზათა ვარ. ამ ტაფობში ერთი ფოხვის ხე დგას, კაი დიდი ფოხვის ხე. მივედი იმ ხესთანა და ვეეო, იქ არ წამომიდგა! იმ ხის უკან ჩამჯდომიყო. ზედ ჩემ ცხვირწინ წამოიყალყა. სხვა გზა აღარ მქონდა, შიგ დაღებულ ხახაში მივეცი თოფის ლულა, გამოვწიე სასხლეტსა და არ გავარდა. წამგლიჯა პირით თოფი, გაიქნია და გადააგდო. შევრჩით ეგრე პირისპირ. ხელით უნდა შევება, ცარელა ხელით. აი ახლა კი მომაგონდა ტრისტანის

---

[21] ხუნწი – ტყის ბუჩქოვანი კენკრა, მოცხარი.

ხანჯალი, მაგრამ რაღა დროს: რა უნდა ვქნა? გაქცევით ვერ გავექცევი, ზედაა. ყურს წავეტანე, ყური უნდა დავუჭირო და ამ მარცხენა მაჯაში ჩამაელო პირი, ერთი ტოტი ამ კისერში წამომისვა და წამაქცია. ახლა წაქცეულს დამეტანა, ამ ბარკალში დამხვია პირი. კიდევ როგორღაც წამოვუდექი. მარცხენა ხელს ვეღარა ვხმარობ. ბარჯვენით წავწვდი ყურში, ყური დავუჭირე. ყურში რომ მივწვდი, გამეგლიჯა და ცოტა განზე გამექცა. თოფს გავხედე, შორსაა, ვერ მივასწრებ, დამიჭერს. მეტი გზა აღარ მექნა, ვეცი ამ ხესა და კატასავით ზედ ავვარდი. ისიც მოვარდა, მაგრამ ვეღარ მომწვდა, დაჭრილი რომ იყო, ხეზე ვერ ამოვიდა. ილრიალა იქ, იბობოქრა, ცოტა განზე გავიდა და დაწვა, იქა მყარაულობს. რა ვქნა? დაბეგვილი ვარ, დაგლეჯილი, ამ ფეხიდან სისხლი თქრიალით გამდის. მთავარი ძარღვი მქონიყო გაგლეჯილი. ავედი მაღლა ტოტებში. ეს დაჭრილი ფეხი ერთ ორკაპში ჩავჭედე. ამან სისხლის დენა ცოტათი შეაჩერა, მაგრამ ეტყობა, იმდენი სისხლი მაქვს დაკარგული, რომ თვალებში მიბნელდება, ვატყობ, გრძნობასა ვკარგავ. ჩამოვვარდები ხიდანა და დათვი დაბლა ყარაულად არის, დამასრულებს. როგორღაც ტოტებში ისე ჩავჯექი, რომ გრძნობას თუ დავკარგავ, არ ჩამოვვარდე. დავიწყე ძახილი. ამ ჩვენ ბრიგადირს,

ჯამრულიძეს, იქ ჩემ ასწვრიე ჯავახის კლდეებში გადასდენიყო ფარა. იმას გაეგონა ის დათვის ღრიალიცა და ჩემი ძახილიც. – რა არის, რა დაგემართაო, – დამიძახა. – დათვმა გამაფუჭა, მომხედეთო, – დავუძახე. ის გაქცეულიყო, ჯავახიდან კოკლათაში გადაეძახნა, ილიკო დათვმა გააფუჭა, საპარსზე ჩადით, ხალხი წამოვიდესო. თვითონ უკანვე გამოქცეულიყო და დაეშვა იმ გორ-გორ ტყეზე. მე ვერა მხედავს. აბა სადა ხარ, როგორა ხარო, ძახილით მოდის. მეც აქედან ხმას ვაძლევ და იმ ხმაზე მაგნებს. რომ მოახლოვდა, დავუძახე, ეგრე ნუ წამოხვალ, გორ-გორ წამოდი, მანდა წევსო. კაცის ძახილი რომ მოახლოვდა, წამოიძონძა და დაღმა დაეშვა. წავიდაო, დავუძახე, ნულარ გეშინიაო. მოვიდა, ჩამომსვა ხიდან. ფეხზე ველარა ვდგები, ძალა მაქვს წართმული. ხანდახან თვალებშიც მიბნელდება. იმ ხის ორკაპს შეეჩერებინა, სისხლი კი აღარ გამდის. აგიკიდებო, წაგიყვანო, მაგრამ ოთხმოცი კილო კაცი ვარ, იმ ტყე-ღრეში რას წამიყვანს. ცოტა ხანი გავიდა და – ვაი ჩემს თავს, მაგ თესლდასალეველმა, ხომ არ მოგკლაო, – ჩემი დედიძმის ცოლი, ჩემი ქსენოძალო მომადგა. ჯამრულიძემ რო დაიძახა, ის ყოფილიყო სოფელში. გადამჯდარიყო ცხენზე, საპარსზე გაქცეულიყო, ხალხისთვის შეეტყობინებინა, იმავე ცხენით

წამოსულიყო და იქ მომიყიდა.

ჩემი თოფი ხომ მოშორებით ეგდო. აიღო ჯამრულიძემ, ნახა, ჩახმახი შემართულია, დასახლეტილი არ არის. გადასახსნელ თოფს ხომ ორი ფეხი აქვს: ერთს მოსწევ, გავარდება, მეორეს მოსწევ და ლულა გადაიხსნება. მე აჩქარებულს თუ შეშინებულს იმ გადასახსნელი ფეხისთვის მომიწევია და აბა რას გავარდებოდა.

ხალხიც მალევე მოვიდა, აღარ დაიგვიანეს. ცხენებით წამოსულიყვნენ. აბა იმ ტყე-ღრეზე ცხენებს რას ჩამოიყვანდნენ. ერთს ცხენები დაებრუნებინა, სხვები ძოვიდნენ, მოგროვდნენ. ბევრნი იყვნენ. ვეტექიმიც იყო, ბულრიძე. იმან იქვე შრატი გამიკეთა. შემბინტეს, გამაკრეს საკაცეზე და წამომიყვანეს. ომალომდე სულ საკაცით მატარეს. ომალოში იქაურმა ექიმმა მომხედა, რომანოზმა. ვერტმფრენიც გამოიძახა და თელავამდე თვითონვე წამომყვა.

თელავში, სანამ სასწრაფოს მანქანა მოვიდოდა, იქა ვწევარ კედლის ძირზე საკაცით. აეროდრომზე ხმა გავარდა, დათვის დაგლეჯილიაო და მოდის ხალხი სანახაოდ. მეკითხებიან, რა იყო, როგორ იყოო და მეც ვუამბობ. ერთი ჯეილია მხარბეჭიანი, სქელკისრიანი. — ახო — ამბობს — რატო მე არ ვიყავიო. მე ჩამეცინა და

ეუთხარი, კიდევ კარგი, ძმაო, შენ არ იყავი, თორემ მე აქ მაინც ვწევარ და შენ შეიძლება აქაც ვერ წოლილიყავიო.

სად იყო სიცილი.

ეს მიამბო სამოცდახუთი წლის ილიკო აბაიძემ ალვანის ფიცრის სახერხის საყარაულო ქოხში ნოემბრის ერთ გვიან საღამოს, როცა ორნი ვუსხედით აგუზგუზებულ თუნუქის ღუმელთან ჰურ-ყველსა და ხელადა ღვინოს. გარეთ ხმიანად წვიმდა და ციოდა. ისმოდა მოდიდებული ალაზნის შხუილი. ჩვენ აქ ვთბებოდით ცალკერძ ღუმელში აგუზგუზებული ცეცხლით, ცალკერძ ჯერ კიდევ სიმწარეშერჩენილი რქაწითლის ღვინით: მე — სმენად მოსული, ილიკო — საუბრის საღერღელაშლილი.

ჯანწახი

წიქროზე: ერთხელ ამ კანწახმაც მაგარ ჯოხაობას გადაგვარჩინა, თათრებთან ჩხუბს.

ერთი დროა, შემოდგომაა, შიროანში მიედივართ საზამთროდ. სულ ერთნაირადაა აყრილი ეს საქართველოს ცხვრები, მთელი გზები ცხვარს უჭერია. აბა, სანამდის ადგილზე ჩავალთ, ხომ სულ თათრების სოფლებზე გადის ეს ცხვრის ტრასა, სოფლების ადგილებზე და ძალიან ხშირია ჩხუბ-დავიდარაბა თათრებთან, ცემა-ტყეპა, ნოტოების წართმა, ერთი და მეორე. ხან მართლა წაგივა სოფლის ადგილებში ცხვარი, ხან ტყუილადაც აგიშარდებიან, გამოვა მთელი სოფელი და აბა ერთი და ორი ბინის ხალხს სოფელთან რა გაუვა, გვცემენ, გვართვამენ ნოტოებს.

ამ საქართველოს საზღვარს კარგა დიდზე რომ გავცდებით, იქ ერთი სოფელია, აღჯაბეთს ეძახიან. იქაა

ჭირად გამხდარი ერთი თათარი მეეელე, ერთი შარიანი და ავ-შავი რაღაცა, ყარა მაჰმადი ხქვიან. ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე გამოუვარდება ხან ვის, ხან ვის, აუტეხავს შარს – ნოტო უნდა წაართვას. აბა ერთ კაცს ნოტოს ვინ დაანებებს. ეს კიდე წამოაცვამს ჯოხზე ქუდს, დაატრიალებს ეგრე მაღლა ჰაი, ჰაი, ჰაიო და წამოვა სოფლიდან ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი და დადგება ჯოხაობა. მეცხვარეებს სცემენ, უფრო დიდ ნოტოს მოუსხლეტავენ და გარეკავენ. პირდაპირ შეწუსებულია ხალხი. უჩივლო, ვისთან უნდა უჩივლო. აზერბეიჯანია, თათრებია. ისევ შენ გაგამტყუვნებენ – აი მინდორი წაუხდინე, აი ნათესი, აი ეგრე და აი იგრეო.

ხო და იმ წელსაც, რო გეუბნები, არ კი მახსოვს, რომელი წელია, რა ხანია, რაც ჩვენი ცხვრები შიროანში აღარ დადის, უკანასკნელი ერთი ორმოცი წელი მაინცაა და აბა, აღარ მახსოვს. მივდივართ ეგრე ერთნაირად აყრილები სულ თუშობა და შიგადაშიგ კახების ცხვრებიცაა. იმ სოფლის ადგილებზე გავდივართ, იმ აღჯაბეთისა. წინაც თუშების ცხვარი მიდის, მერე კახები არიან, ჯიმითლები და მერე ჩვენ მივდივართ, ჩვენი ბრიგადა. რატო არ გავიხედავთ და სოფლიდან წამოვიდა ეს

თათარი ცხენდაცხენ, შორიდანვე ყვირილით. ერთ ჩალა ცხენზე ზის, იორღაზე. წამოვიდა და პირდაპირ ამ კახებს გადაუდგა, აუტეხა შარი. ეს კახებიც შემოეხვევნენ გარშემო, რაღაცას უმტკიცებენ, ელაპარაკებიან, მაგრამ საქმე'ში ხარ? დგას ამ თათრის ყვირილი. ეხლა ვიცით, რო ნოტო უნდა წაართვას. არა და გამოიყვანს მთელ სოფელს და აცემინებს მეცხვარეებს. აბა ჩვენც წაველით, ვინაც ცოტა ჯეილ-ჯუილობა ვართ. კახებია, კაცო, ქართველებია, ხომ არ დავახოცინებთ. თუ საქმე ჩხუბზე მივიდა, უნდა მივეშველოთ. უკანიდან ჩვენ, წინა ფარებიდნა

ჩვენ ცოტანი ვართ, მაგრამ არც ჩვენა ვთმობთ. ეტყობა, მაგარი ჯოხაობა უნდა წავიდეს.

ამ დროს წინა ფარიდან წამოვიდა ერთი კაცი. არ მორბის, მაგრამ ფეხჩქარა კი მოდის, ძალიან ჩქარა. ბარწიეხაობაზე შევატყე, კანწახია. არც ჯოხი უჭირავს, ერთი მოკლე რაღაცა რიკნა აქვს იღლიაში ამოჩრილი. მოვიდა, მოვიდა, ეგრე ხელით მისწი-მოსწია ხალხი და ამ თათარს, ი მთავარი შარისთავი რომელიც იყო, აეტუზა ცხვირწინ, ზედ აეკრა, კინაღამ ცხვირი ცხვირზე მიადვა. არც ხმას იღებს, მარტო შმინაეს და შიგ თვალებში შეჰყურებს დაჭყეტილი. ეახ! გაჩერდა ეს თათარი. უყურებს ესეც. დაიწევს უკან და მისდევს. თქვი, რა გინდაო, ეს თათარი და არა, კაცო, კანწახი ხმას არ იღებს, ეგრე შმინვით მიჰყვება ცხვირი ცხვირზე მიდებული. რომ ვეღარ მოიცილა, ეგრე გულზე ხელი ჰკრა, არც მაგრადა და ვააააო, დაიღრიალა ამ კანწახმა, გადავარდა გულაღმა და დაიწყო ხელ-ფეხის ქნევა, ბაბანი, გადაატრიალა თვალები – კვდება კაცი. გაშტერდა ეს თათარი, გაანტრებული დაჰყურებს. ეს კიდე გდია ეგრე გულაღმა, აბაბანებს ხელ-ფეხს. უყურა, უყურა ამ თათარმა, – ფაა, ჰოოო! აი ქოფიოღლიო, ჯერ უკან-უკან წავიდა, მერე მიტრიალდა, მოაჯდა ცხენსა და სულ უკან მოუხედავად გავარდა სოფლისკენ.

წასვლა იმისი და გაჰყვა უკან მთელი თათრობა. კანწახმა ცოტა ხანი კიდევ იქნია ხელ-ფეხი, მერე წამოჯდა, ეგრე ხელმოჩრდილვით გახედა. წავიდნენ? აი მაგათი სარჯულავი კიო, შეუკურთხა. ადგა, ჩაიბერტყ-ჩამოიბერტყა ტანსაცმელი, – წადით, ბიჭებო, თავისუფლები ხართო – გაიღრიჯა. იმ ხელ-ფეხის ქნევაში ქუდი გადაჰვარდნიყო, დაავლო თავის ქუდს ხელი, ის რიკნა ისევ ილლიაში ამოიჩარა და ქუდის ბერტყვა-ბერტყვით წავიდა თავისი ფარისკენ.

მევალი

თლუმაზე: ერთი დროა, ცხვარი მოგვიდის მაგ ჩანკაანის ხევზე. გაზაფხულია, მთისკენ მივდივართ. წყაროზე მივედი წყლის დასალევად. ერთი ბებერი ქიზიყელი ზის, ალბათ ისიც წყლის დასალევად თუ იყო მოსული. სალამი ვუთხარი, იმანაც დამიბრუნა და ვინა ხართო, თან მკითხა, სადაურები ხართო. თუშები ვართო, ვუთხარ, ალვანელებიო. ხოო და, იმ ბებერმა კაცმა ეგეთი რამე მილაპარაკა:

— ჩვენი სოფლელი ბიჭები დავქუჩდითო ერთი რვანიო და მეველეებად გამოვედითო. გაზაფხულია, ცხვრები მოდის და ვითომ ჯეჯილებს უნდა გავუფრთხილდეთო, რომ არავინ წაახდენინოსო. სინამდვილეში კი გამოსულები ვართ, რო თუ ცოტათი მაინც წაუვა ვისმე

ჯეჯილში, ცხვარს წაეართმევთ, დაეკლავთ და ვქეიფობთ. ხან ტყუილადაც აეუშარდებით, ტყუილადაც ვართმევთ, ხანა ვცემთ, ხანა გვცემენ და ვართ ეგრეო.

კაცო, ორი-სამი დღეა, რაღაცა ცხვრები შეწყდა, აღარავინ ჩამოიარა, რო წავართვათ რამეო. არა და მწვადი გვინდა. ვართ ამ გზის პირზედა და ვიყურებით, ნეტა არავინ გამოჩნდებაო? ერთიანად დავინახეთ, შორს ერთი ნოტო გამოჩნდა. მარტო კაცია, ერთი ორასამდე ცხვარი უჩანს და ძალიან გაჩქარებული მოერეკება. არ ვიცი, ვინმეს უნდა დაეწიოს თუ როგორ არის იმისი საქმე, ძალიან კი მოერეკება. ხოო, ვთქვით, აი, გამოჩნდა ჩვენი საკბილოო და დავდექით გზაზე. გზის იქითაც ჯეჯილია, აქეთაც, მაგრამ იმას ჯეჯილში ცხვარი არ წასვლია, მოდის გზადაგზა. მაგრამ რას გავუშვებთ, მწვადი გვინდა. გადაწყვეტილი გვაქ, ამას ცხვარი უნდა წავართვათ. მოვიდა ახლოს. თუშია, ერთი დაბალი რაღაცა, არაბივით შავი კია. ზურგზე გუდანაბადი ჰკიდია, ხელში ჯოხი უჭირავს. არც იარაღი აქვს, არც ძაღლი ჰყავს. ჩვენ რვანი ვართ, რვასავე კაი დაჭოპოსნილი ჯოხები გვიჭირავს, ერთს ერთი ფისტენიანი თოფიცა ჰკიდია მხარზე. მოვიდა ახლო და გადავუდექით: შე მამაძაღლო, თუშო, ეგ ჯეჯილები რათ წაახდენინეო.

– რა ჯეჯილებიო, – გვეუბნება, – ხომ ხედავთ, ჩემი გზით მიედივარ. მეც შორიდანვე დაგინახეთ, თქვენც ხო მიყურებდით და არ გავჩერებულვარ, მივდივარ, ჯეჯილ'ში სად 'შევუ'შვებდიო.

– არაო, ჩვენ კარქა დაგინახეთ, რო ჯეჯილში ცხვარი შეუშვიო.

გვეხვეწება – ბიჭებო – მე ჯეჯილში ცხვარი არ შემიშვია, ტყუილად ნუ მეშარებით, ნუ გამაცდენთ, ძალიან მეჩქარებაო.

არა, კაცო, რას გავუშვებთ, ხორცი გვინდა, თან კაი მოშიებულებიცა ვართ, კბილები გვიკაწკაწებს. ერთი კაი ნაბერწალი დავიჭირეთ და არ ვუშვებთ. გვეუბნება – გაუშვით ეგ ცხვარი, მე თქვენთვის არაფერი წამიხდენია. არა, კაცო, არ ვუშვებთ, ვართმევთ თვალდათვალ. გვეხვეწა, გვემუდარა და რო არ დაეანებეთ, მაშ კარგიო, თქვა და ცოტაზე რომ გაგვცილდა, გუდანაბადი მოიხადა და ჩვენსკენ წამოვიდა. ჩვენ ვუყურებთ, ნეტა რას აპირებსო. რას მოვიფიქრებთ, თუ ამდენ ხალხს მარტოკა ჩხუბს გაგვიბედავს. მოვიდა ახლო და ჯერ, რომელსაც თოფი ეკიდა, ცხვარიც იმას უჭირავს, იმას დაუშვა. თოფიც გააგდებინა და ცხვარიც. ის მამაძაღლი, რო დატრიალდა, სუ ბურთივითა ფრინავდა, ჩვენ იმას ჯოხი ვერ მივუყენეთ. იმან კი,

რომელსაც მოგვაწვდინა, ზოგს მხარი ჩამოგვაგდებინა, ზოგს თავი გაგვიტესა, მოკლეთ, უნიშნო თითქმის არავინ გაგვიშვა. ზოგი გავიქეცით და იგრე ვუშველეთ თავსა. ეგრე კარგა დაგვტყიპა და მიგვფანტ-მოგვფანტა. ამასობაში, აბ ჩვეხ ჩხუბ-დავიდარაბაში ის ნოტო ჯეჯილში შესულიყო, დამძღარიყო და გზაზე დაყრილიყო. წამოიკიდა თავისი გუდა-ნაბადი, ის თოფიც მხარზე გაღაიკიდა, აჩი, აჩიო, წამოშალა ნოტო და წამოვიდა. თან დაგვიძახა, ბიჭებო, ეს თოფი წხორში მავან მედუქნესთან მოიკითხეთო. მართლა იქ დაეტოვებინა, იქიდან ჩაიბარა პატრონმა.

ჩვენ რომ დავქუჩდით მერე, ერთმანეთს ვაბრალებდით, მე რომ მარტყამდა, შენ რას აკეთებდიო. ის დღე იყო და მას დღე, მე მეველედ აღარ გავსულვარო.

აი ეგ მილაპარაკა ერთმა ბებერმა ქიზიყელმა ჩანკაანის წყაროზე.

კაი ტკბილი მოხუცი ჩანდა.

თიაყა

თიაყა ჩემი ძმობილია, ხევსური, გუდანიდან. ეხლა უნდა გილაპარაკო, როგორ დავძმობილდით მე და თიაყა.

იმ ზაფხულს ხევსურეთში ვწველეთ. ლებაისკარიაო, გეცოდინება, იმ ლებაისკარის მთაში ვიყავით. ეგენი ძალიან კარგი საცხვრე მთებია. ისეთი ცხვარი გვყავდა, ისეთი ბატკანი გავზარდეთ, რო შემოდგომისთვის თოხლმა რქა ჩაიხვია. მამალი სულ ჭედილის ფასში გავიდა.

ბატკანი რომ გავპარსეთ, დავარჩიეთ მამალი თოხლი და გამოერეკეთ გასაყიდად სუყველასი ერთნაირად. რაც საყოჩეებად დავარჩიეთ თამამი თოხლები, ეგ იყო, დანარჩენი სულ გამოერეკეთ. ცოტა იყო. აბა, მაშინ ხომ პირადი ცხვარი იმდენი არ იყო და მოელი

ბრიგადისა ერთი ოთხასამდე შეიყარა, შეიძლება ცოტა მეტი, ხუთასი კი ვერ იყო, ეგ გამოერეკეთ. მე და ბუთლიჩი გამოეჰყევით და ამირანი გვყავდა კიდე, ბალღი, ეხლა რომ მოლარეა, ეგა. კაი ყოჩაღი ბალღიც იყო. მოგვიდის. ქალაქში უნდა ჩავრეკოთ და გავყიდოთ.



მთა გადმოვიარეთ, პირაქეთ, გუდანი რომაა სოფელი, იმის თავ'სე გადმოვედით, ამ სოფლისკე უნდა ჩამოვატაროთ და მერე გზაზე წამოვალთ, გზამართლა[22]. თხა არა გვყავს. ამ ბუთლიჩს ერთი მუშტისხელა, ცოტა კიდევაც უფრო მოზრდილა მარილის ქვა უჭირავს უკანა და მოუძღვება, თოხლები ლოკვა-ლოკვით მოსდევენ, ეგრე მოგვიდის ეს ჩვენი ნოტო. ამ სოფლის გვერდზე უნდა ჩამოვატაროთ. ცალ მხარეზე ერთი კლდე ჩასდევს, ცალ მხარესაც ნახნავია, ქერის ყანები. იმათ შუაზე კარგა განიერი ადგილია, მახტებიანი[23] რაღაცა ველი ჩამოდის და იმაზე ჩამოვემართენით. იმდენი ადგილია, რო ქუჩად რო გამოვრეკოთ, მაინც გამოიცლის და ჩვენ ცოტა გაწალიკებით მოგვიდის, გამოქეჩვით. ერთიანად დადგა ამ სოფელში კიეილი და აი, ცოლსა და დედასაო, ერთი კაცი წამოვიდა ჩვენსკენ. მოდის, იგინება და თან როგორ იგინება, ცოლსა და დედასო, მანდ სად მოგიდისთ ეგ ცხვარიო. კაცო, მოგვიდის, არაფერს ვაფუჭებთ, ყანა არ არის, სათიბი არ არის და რატო ეგრე გაჯავრდა, ძალიან კი გაჯავრდა. იქ ქვევით კიდევ, სამანქანე გზასთან საპარსი აგრეგატებია გამართული.

---

[22] გზამართლა – სწორი გზით, გზიდან გადაუსვლელად.

[23] მახტები – გრაკლის ბუჩქები, პირმზითებში ხარობს.

მთიულები ყოფილიყვნენ, მთიულებს ბატკანი ეპარსა. იქ, აბა, დედაკაცები პარსავენ და გამოიშალა ეს ხალხი, ყველა ჩვენ გვიყურებს. ეს კიდე მოდის ასე ბობოქრობით, მოჯავრობს. ვეუბნები, კაცო, ბუთლიჩ, დაგვლევს ეს მამაძაღლიო და აბა, რასაც გვი'ხამს, გვი'ხამსო, ამ ბუთლიჩმა. ისევე მოდის, მიუძღვება ამ თოხლებს. ცოტა რო მოახლოვდა, კი დაუძახა, კაცო, ხო მოდიხარ და რაღას იგინებიო. — ვიგინები კი არა, მოვიდე მანდა, ცოლსა და დედასო. მე უკან ფეხი დავაჭირე. ვფიქრობ, ჯერ ეგ შალიკო დახვდეს, ეგ ძეგლეგაა და თუ გაჭირდა, მერეღა მივეშველო, მეტი რა ჩარა იქნებაო. მოვარდა ეს ხევსური, აეყუდა წინ ამ შალიკოსა და ეუბნება: შენ იცი, რო მე შვიდი კაცი მყავ მოკლულიო. შენ რა იციო, ამ ბუთლიჩმა, რომ მე თორმეტი არა მყავს მოკლულიო, რას იგინები რო იგინები, ეგრე ვერ იტყვი, რაცა გაქვს სათქმელიო. ვიგინები კი არა და მეტსაც გიზამთო, აქ რაზე მოგიდისთ ეგ ცხვარიო. ერთი ჯოხი ხქონდა მხარზე გადებული, ზედ რაღაცა პლაში ხქონდა გადაკიდებული, საწვიმარსავით, მოისროლა ეს საწვიმარი და ის ჯოხი ერთ თოხლს არ დაუშვა შიგ კუკუხოებში. ჩაიკეცა თოხლი. აი, შენი დედა კიო, ამ ბუთლიჩმა გუდანაბადიც არ მოიხადა, ეგრეევე გუდანაბდიანმა დასტაცა ხელი ერთი ქეჩოში, მეორე

სადღაც აქ საქამრეში და, ერთი რაღაცა ნაფხვერი იყო, ამ ნაფხვერზე წააღებინა ხრიალ-გრიალი. ამის დედა კი ამისაო, სუ რეკებით უნდა ჩავიტანო სოფლამდეო. დაიცა მეთქი, შალიკო, მაიცა, ქვეყანა გვიყურებს, სირცხვილია, დავიჭირე ეს ბუთლიჩი, არ გაუშვი. მთელი ის საპარსი გამოსულია და ჩვენ გვიყურებენ, ამ ჩვენ ჩხუბ-დავიდარაბას. ამასობაში ისიც ისევ ამობობღდა იმ ნაფხვრიდანა, მოვიდა და იმ ჯოხსა და-ქვას ხელ'ში სჩრის ამ ბუთლიჩს, აჰაო, დამკარიო, მაპკალიო. თავი დამანებეო, თორე მე თავად ვიცი რა დაგკრა და როგორ დაგკრა, შენი სწავლება არა მჭირდებაო, წამოვიდა ეს ბუთლიჩი, გამოუძღვა კიდევ იმ თოხლებსა და დავრჩით მე და ეს ხევსური მარტონი.

– შე კაი კაცოო, – მე ვუთხარი – რას ვაფუჭებთ? მოვდივართ, მგზავრი ხალხი ვართ. თუ რამეს ვაფუჭებთ, გვითხარი, ნუ აფუჭებთ. თუ'შები ვართ, ხევსურეთზე მოვდივართ, გვგონია, რომ თავის ხალხ-ქვეყანა'ში ვართ და შენ კიდე აქ ჩხუბს გვიტეხავ. ჭკვიანად გვითხარი, რაც საოქმელი გაქვს, ლანძღვა-გინებას რას გვემართლები. იქნება ერთ დროს ჩვენ შეგხვდეთ ეგრე და ჩვენც რომ ჩხუბი აგიტეხოთ, ხომ არ იქნება კარგიო. ჯერ გვკითხე, გაიგე მაინც არი, ვინა ვართ, სად მივდივართ, საიდან მოვდივართ და თუ საჩხუბია, მერე

გვეჩხუბე მეთქი. — ეგეთებს ველაპარაკები ამ ხევსურსა და ჩვენაც თანავე მოვსდევთ იმ ნოტოს. ი თუშებიო, რომ ვუთხარი, ცოტა შეკრთა, შეფიქრიანდა ეს ხევსური და მართალი სარო, მითხრა, მოეტყუვდი, ჯერ ვინაობა მეკითხაო. რო მცოდხიყო, რო თუშები ხართ, ეგრე არ მოგექცეოდით, ჩვენ ხომ ძმანი ვართო. ასე შევრიგდ-გავრიგდით და ამასობაში სოფელსაც დავუპირდაპირდით. წამოდიო, მითხრა, ალუდი მაქვს მოხარშული, კარგი ალუდიო და თითო-ოროლი დავლიოთო. გავყევი მეც, არ ვიუარე. ეს ბუთლიჩი კიდე, იმ ბილიკის პირში დამჯდარა, ფეხები აქვს ზედ ბილიკზე გამოწვდილი და არც კი შეკეცა, რომ გამოვიარეთ. მე უთხარი, შალიკო, წამოდი, ეს კაცი ალუდზე გვეპატიჟება, თითო ალუდი დავლიოთო. მე ვეპატიჯები. წამეედი, შენაც წამეედიო, ახლა იმანაც უთხრა, აღარაფერი ჩარა დაედვა, იმასაც, მე რომ ვეპატიჯები. ეს ბუთლიჩიც აგვედევნა რეულა ძაღლსავით შორი-ახლოს.

მივედით, შინ მიგვიყვანა. არ ვიცი, ამ ბუთლიჩმა მუშტი მოარტყა თუ იმ ნაფხვერზე გადაგდებისას გაექლირტა, ამ ხევსურს შუბლთან ცოტათი გატლეკილი აქვს, სისხლი შემხმარი. რა არისო, ცოლმა უთხრა, ერთკვადს ხომ არ ექნენითო. არაო, რა ერთკვადს ვექნენითო, ჩვენაო ხო ძმანი ვართო, ჩვენა და თუშებიო.

ეს კაცი ყოფილიყო თიაყა. იქ, გუდანში ეცხორა და ყოფილიყო ერთი ავ-შავი, რო იმ მეცხვარეებს, იმ მთიულებს თურმე სუ შიშითა ღლევს. ალბათ ჩვენც მთიულები თუ ვეგონეთ, ი ცხვარი რო მოგვიდიოდა, იქ გაძოგვივარდა.

ხქონიყო მართლაც ძალიან კარგი ალუდი, ეს არაყი და მე და ბუთლიჩმა ერთი კარგად გული დაუდეკით იქ პურის ჭამას. მერე მე ხანჯრის საწვერეც მოვიკითხე და ვერცხლი ჩავეფხიკეთ. მე და ეს თიაყა ძმად გავიფიცენით. ჩვენ კი კაი დრო გავატარეთ, მაგრამ იმან კი მთელი საღამო გული ვერ გაიხსნა, ეს რატომ დამემართაო, რატომ ჯერ ვინაობა არა გკითხეთო, რატომ გეჩხუბეთო. რაღა იქნებაო — ჩვენ — ხდება ეგეთებიო.

ეგრე იყო ჩვენი და თიაყას საქმე.



დადაანთ ლორსა: ომის დროა. ჯერ კიდევ ბალღადა ვარ და ცხვარში ვარ მაგ პირიქითის მხარეს, ბერწში. გირევის ზევით, ძარღუნაის ხევს რომ ეძახიან, იმ ძარღუნაის ხევში მიძეს ბინა, დაბლა, ქვიშაში. არ კი მახსოვს, რომელი წელია, მაგრამ ის დრო კია, ქისტების ბანდები რომაა არეული, იბი-იდრისაებისა და შიშიანობაა. წინა შემოღგომას მეცხვარეები დახოცეს დიყიანში, იმ ზაფხულსაც წოვების კოლექტივის ცხვარი გარეკეს ალაზნისთავიდანა და ნიადაგ რო შიშიანობა იქნება.

კინაღამ ერთი თვე გავიდა, კაცო, და უკაცრაული პასუხია, ტანთ არ გამომიცვლია, არ დამიბანია, არ დამირეცხია. გადავედი საწველ ბინაში და ვუთხარი, ერთი სამი დღე შემეცვალოს ვინმეო, რო ტანთ

გამოვიცვალო, დავიბანო, დავირეცხოო. მე წავალო, მე გავჭყეები ბერწსაო და შენ მიეშველე წველაშიო, თიასომ მითხრა. წავიდა ისი და მე დავრჩი ბინაში.

დაღამდა. დიდი ხანი არაა გასული და მოვარდა ეს კაცი ბინაში სახრინაამომჯდარი[24]. იგეთია, სულს ველარ იქცევს, ქისტები დამეცნენო.

– კაცო, სადა, როგორ, რანაირად?

– როგორაო და ძარღუნაის გორზე გადმოჩნდნენო ერთი რვანიო. მე გამოვიქეცი და მერე რა ქნეს, რა არა, აღარ ვიციო.

– კაცო, წავიდეთო – ვუთხარი. ერთი ათი-ხუთმეტი სული ჩემებიცა მყვანდა და იმათი დარდი მაქვს.

– არაო – მითხრა – ერთი მაგათი დედაცო, მაგათიო. მე კი არ მოვეკვლევინები და შენ თუ გინდა წადიო.

აღარცრა. დავიცადე მეც გათენებამდე და რო შემოთენდა, წავედი. მიეედი, კაცო, და ცხვარი ადგილზე დგას. ძაღლებიც იქ არიან. არაფერზე არ ეტყობა, რო აქ ვინმე იყოს ნამყოფი.

რაღა იქნებოდა, დაღამდა ის დღე. ჩამოვაყენე ცხვარი ნაწიდარზე, დროიანადვე ვივახშმე, ძაღლებსაც

---

[24] სახრინაამომჯდარი – ფრაზეოლოგიზმი. ძალიან დაღლილი, დაღლისაგან ძლივს რომ სუნთქავს, ყელში ხრიალებს.

ვაჭამე და შიგ ცხვრებში ჩავწექი. ნაბადიც თეთრი მაქ, თექაცა და ცხვრებში არც კი ვეტყობი. მთვარე ამოვიდა, გაანათა იქაურობა. შევხედე, კაცო, და ამ ხევის გაღმა გორზე ერთი შვიდი-რვანი დგანან მართლაც. ორნი, განაპირას რომლებიც არიან, ლაპარაკობენ, თითქოს ხელებს იქნევენ. ოხ, ეიფიქრე, ეგ ორნი ალბათ უფროსები არიან და დანარჩენებს ელაპარაკებიან, ეგრე ჩავიდეო, ეგრე და ეგრე ექნათო. რა დამაძინებს! შევყურებ იმათა და ველოდები, როდის წამოვლენ. ვამბობ ჩემთვის, თუ როგორმე წამოვიდნენ, ხევ-ხევ გავიქცევი, ჰეროსკენ გადავალ, სათავეზე გადაუვლი და ბინაში ჩავალ. კაცო, არ მოდიან, დგანან. ის ორნი კიდე ლაპარაკობენ გაცხარებით. შევყურებ თვალებდაჭყეტილი. ეგრე გავათენე მთელი ღამე, თვალი არ მომიხუჭია. ეს თვალის კილოებიღა მტკივა დაჭყეტისაგან. თენება დაიწყო, ამონათდა და ეს კაცებიც დაპატარავდნენ. გათენდა და რა? სხამაები არ არი! ოი, თქვენი მომგონი დაიქცა!

ცხვარი გავშალე და გადავედი ბანაში. ვუთხარი, რო, ღმერთმანი, იქ ქისტები არიან, წუხელაცა ვნახე, წუხელ არ ჩამოვიდნენ, მაგრამ ამაღამ უეჭველად ჩამოვლენ.

ადო იყო, ბებერი კაცი და იმან, რომაო, რა უნდ გვიყონო, განა რამდენნი მოვლენო. საღამოს ყველანი

გადავიდეთო, თოფებიც წავიღოთო და ნუ გავატანთო, დავუდგეთო.

ეგრე მოვილაპარაკეთ და მე წავედი ჩემ ფარასთან. საღამოს ჩამოვაყენე ცხვარი ნაწიდარ'ხედა და ბინის ხალხიც მოვიდა. ეს ადოა უფროსი კაცი, დანარჩენი სულ ჯეილ-ჯუილები არიან. საჭმელიც იქ ჩამოიტანეს, იქ ვივახშმეთ. პურის ჭამაზე რო ვართ და გავახედვინე, აგე, სადა დგანანო, სად გადმოდგნენო. გახედავ ამ მთვარის შუქზედა და კაცები დგანან, კაცო, შავად. ის ორნი კიდე უქნეევენ ერთმანეთსა ხელებს, ლაპარაკობენ. ალბათ ის ორი სხამა ჭარბად ცირციკელაზე თუ იდგა და ქარი თუ არხეედა. ამ ადომ, არიქა, ჩავუსხდეთ, არიქა, ძაღლებმა არ დაიყეფონ, პურები დაუყარეთ... მოკლეთ, გაგვანაწილა, თან გვარიგებს, ახლოს მოვუშვათ, ეგრე ვესროლოთ, შენ აქ ჩაუსაფრდები, შენ ეგრე შემოუვლი, იქნება იარაღი დავაყრევინოთ, ნუ დავხოცავთ და ეგრეო და იგრეო. ბევრნი არიან, კაცო, არ ვიცი, ექვსნია თუ შვიდნი. მოკლეთ, დავიკავეთ თავ-თავისი ადგილი. ეს ადო ბებერი კაცია, იმასაც ხომ არ მოვატყუებ, მიეუწექი გვერდზედა და ვეუბნები: ადო ძიო, ეგენი სხამაებია, შენ ხმა არ ამოიღო და ესენი ამაღამ მაგ სხამაებს უნდა ვაყარაულოო. – ეგენია თიაზოს ქისტებიო და – ეგენიაო. გადაბრუნდა ეს კაცი

და სიცილისაგან დაგორდა. – რა არის, რას იცინიო, იმათა და – არაფერიო, ეს პასკა დამეჯახა და დამაგორაო. ერთი მორქენალი ვაცი გვყავდა, პასკას ვეძახდით და მითამ იმან მირქინაო. არიქათ, არ დაგეძინოსთო, არ მოგვეპარხეხო. ძე და ეს ადო წაეხვიენით ნაბდებშია და დავიძინეთ. იმათ მაგრამ, იმ დანარჩენებს, როგორც შენ არ გძინავს ემ წუთას, ისე იმათ არა სძინებია იმ ღამეს.

დილას ჯერ კარგად გათენებული არ იყო და ამ ადომ ფეხი წამკრა, ბალღო, ადექი, ეგენი რაღაცას ჩოჩქოლობენ, მგონია გატყეპას გიპირობენო. მეც, ყოველი შემთხვევისთვის, განზე გავედი. რა ვიცი, ზოგს ხუმრობა არ შეეხდება, რა იცი, ვინ რა ხასიათზე დადგესო, ვიფიქრე. ისინი კიდე დაქუჩებულან ერთად, შეეყურებენ ამ სხამაებს, ზოგი იგინება, ზოგი იცინის, ყეულანი კი მუშტებსა და ფითეებს იქნევენ ჩემკენ. მაგრამ აბა რაღას იზამდნენ, მართლა ხომ არა მცემდნენ. იჩოჩქოლეს, იდავიდარაბეს და წავიდნენ.

ის ერთი ღამე კი შერჩათ სხამაების ყარაულობა.



ბიძის, გიგო ცოცანიძის ხსოვნას

მე და ეგ კახი ილა ვართ თოხლში პატარა შირაქში. ეს ილა, თავის ჭკუაში, მითამ მიჩოლფოთებს, რაღაცას თავს მაჭარბებს, მედიდგულება. დაიცა, ვთქვი ჩემთვის, დაჩოლფოთება ეგრე არ უნდა მეთქი.

ერთი დროა, ილას ქალის ქორწილი უნდა ჰქონდეს ალვანში, წამოსვლა უნდა. არა და უკაცოდა ვართ ბინაში, ბიჭები წასულები არიან და არც ვინმე მოდის, რო შეეცვალოს და წამოვიდეს. არის ერთ წუხილ-დალონებაში.

შუადღისას ბინაში მომიხდა წასვლა, არ ვიცი, აღარ მახსოვს, რა დაგვჭირდა, ბინაში კი წავედი და მე რომ უკან გამოვბრუნდი, სწორედ იმ დროს ერთი მანქანა

მოვიდა ჩვენ ბინაში. აღარ მივბრუნებულვარ, არც მიკითხია, რა მანქანა იყო ან რისთვის მოვიდა, წამოვედი. კარგა ხანს კი გაჩერდა, რა ვიცი, რა საქმე ხქონდა. ეს ხო ილამაც დაინახა, ყველაფერი ჩანს მინდვრიდან.

— ის რა მანქანა არისო, — ჰკითხა, რომ მივედი, — ვინ არიანო.

— ეგ მანქანა შენ წასაყვანადაა მოსულიო — უთხარ — ოქვენებს გამოუგზავნიათო და თან თელაურათ ესტატე გამოუტანებიათო, რო სანამ ქორწილი იქნება, შეგეცვალოსო. ჩქარა წადიო, — თან დაეაყოლე — შოფერს ეჩქარება, არ იცდისო.

იმ დროს ესტატე ერთ ოთხმოცდაათს არის გადაცილებლი, შინ ძლივს დაჩაჩუნობს.

ამას არც ის უთქვამს, ესტატე რას შემცვლისო, არც ის, ხომ არ მატყუებო, საწვიმარიც იქვე მოისროლა, გამააყოლეო კი მოშაძახა და დაიძრა. დაიძრა და ახლა როგორ დაიძრა — სულ ნაწინწელი აქოდის. ბინას რომ დაუახლოვდა, ის მანქანაც გამოვიდა და წავიდა ელდრისკე. აქან რომ დაინახა, მანქანა მიდისო, ბოლო ძალა მოიკრიფა და მოკურცხლა, მაგრამ ვეღარ მიასწრო, წავიდა მანქანა.

— რა არის, ილა, რა სულს იწვავო, — ბიჭებმა — სახრინაამომჯდარი რომ მივარდა ბინაში.

— სად არი ესტატეო?

— კაცო, რა ესტატე, ვინ ესტატეს ეძებო?

— ოხ, მაგისი ასე და ისე, მაგისი გიგაო, ეგრე და ეგრე მომატყუაო. სად იყო სიცილი.

გაჯავრებული აღარც გამომეშველა. მარტომ მივაყენე, მივაქუჩე თოხლი საღამოს. სანამ ბინაზე მივიდოდი, მანამდეე შევკერე და ჭამაზე რო დაექუჩდით, იქავე ვუთხარი ბიჭებს ეს ლექსი. კახურ კილოზე კი გამოვიყვანე, ილას რო მოუხდებოდა, ისე:

ლექსი უნდა ვთქვა, ბიჭებო,
კახი ილაზეო,
გიგომ მინდერად გაგიყვანა
ფიზკულტურაზეო,
ოქროდ მედალიც მიიღე
გადარბენაზეო.
ომ'შიაც ხომ გამოდგები
ბარიკადებზეო,
აფიცრადაც გაგიყვანენ
თქვენ ასეულზეო,
მოადგილედაც მოგივა
თელავრ ესტატეო.

გერმანული კარგი იცის,
გყავდეს მოენეო.
წითელ ვარსკვლავებს მიიღებთ
წარმატებებზეო,
დაპეპლილები ჩაიცლით
ალვნის შარებზეო.

ოშინი

კარხილაური (კარგა გვარიანად შესმული): ბიძაჩემი, გიორგი კარხილაური, ქვეყნის ფასი კაცი იყო. მთელ ჩეჩენს 'ში'შის ზარსა სცემდა. იგეთი კაცი იყო, რო ტყუილად არავის არაფერს წაართმევდა, მაგრამ არც თავისას შეარჩენდა არავის. გადმოუდიოდა, განა არ გადმოუდიოდა, ცხენებიც გადმოუდიოდა, ხარებიც გადმოუდიოდა, მაგრამ ისინი სულ აქედან იყო გადარეკილები. აბა, თუშების ჯავრს ხომ არ შეარჩენდა!.. ქისტებს ხომ მიუდიოდა აქედან ცხვარ-ცხენი და საქონელი. ის იმაზე, იმ ჯავრზე გადადიოდა და რასაც აქედან გარეკავდნენ, ორ იმდენს იქიდან გამორეკავდა. აბა, ნაკლებს ხომ არ გამორეკავდა, ის იგეთი ვაჟკაცი კაცი იყო. აფასებდნენ, თავად ქისტებიც ძალიან აფასებდნენ.

ერთხელ, მანდ ქერიგოსკენ სადღაცა მოუტანებიათ ქისტებს. ჩასაფრებულები ყოფილან ერთი ოთხნი: სამი ჯეილი და ერთიც ბერიკაცი. გიორგი თურმე სოფლის დასაზვერად იყო და იქიდან ბრუნდება, ის ქისტები კიდე იქა სხედან კლდეს ამოფარებულები. იმ ჯეილებს უთქვიათ, რო მოდი თოფი დაეჰკრათ ამ მამაძაღლსაო. ამ დროს, ხეკი ყოფილა, ერთი განიერი ხევი და გიორგი ისე გაფრენილა ერთ ექვსმეტრიან ხევზე, რო ფეხი არ დაუსველებია. ე, ჰე, ჰე, ჰე ეს როგორი ყოჩაღი ყოფილაო, უთქვამს იმ ბებერ კაცს, ამას თოფი არ დაჰკრათო, ცოდვაა ეგეთი ყოჩაღი კაცის სიკვდილიო, ისე მოსწონებია იმ ბებერ კაცს. იქ იმათ დაინდეს, არ მოკლეს და აქ ღაზიაიძე ფორემ მოკლა, მე იმის მკვდარი და ცოცხალი!..

ხითანაში ყოფილან ჯარში და იქ დაუწყია იმ ფორეს, რომაო შენ რომ ცხენები გადმორეკეო, ის ცხენები მე უნდა მომცეო. მაგათო ჩემი ცხენები გარეკესო და ეგ ცხენები მე უნდა მომცეო. ბიძაჩემს კიდე უთქვია, რო იმათო შნო ჰქონდა და გარეკესო და თუ შნო გაქვსო, შენც წადი და გამორეკეო, მეო შენ ცხენები რათ უნდა მოეცე, ჩემი გადმორეკილებიაო. ამაზე წაკამათებულან მანდ ხითანაში და ვარდავაკეს ჩასაფრებია და იქ მოკლა ხანჯრით. ისიო იმას ვერ მოხკლავდაო, იციან, მაგრამ

მაგ აბაიძე სტეფანას ხელები შემოუხვევია, დაუჭერია ის ბიძაჩემი, მითამ გავაშველებო. იმას კიდე იმ დაჭერილისთვის ხანჯარი წაუცია მუცელში და მოუკლავს.

შერჩა. აფთარაული თიაზო რო ცოცხალი ყოფილიყოო, ისიო იმას არ აცოცხლებდაო, იციან, მაგრამ ისიც მანდ ვესტმოს წინ მოკლეს ქაქუცაის პარტიის ხალხმა იმავე ზაფხულს და აღარ დასცალდა, თორე ისიო იმას არ აცოცხლებდაო, ისე უყვარდა ის თაკისი სიძე.

მე ხომ ბებერი კაცი ვარ და იმისი რო ვინმე შემხვდეს, არ დავინდობ, შობელძაღლი ვიყო, თუ დავინდო. ბიძაჩემის, გიორგი კარხილაურის ჯავრი უნდა ამოვიყარო.

ნესტორა (ოდნავშესამჩნევი ეშმაკური ღიმილით): წუხელი მანდ, ნადილიურთაში მეძინა ბარგებთან, ბარგებს ვყარაულობდი. შუაღამე გადასული იქნებოდა, მომადგნენ ეს კარხილაური და აბაიძის ბალღი. ბნელა, არაფერი არა ჩანს. მე ხმაზე ვიცანი და ისინი ვერა მცნობენ. მთვრალები არიან. მე კი არა, მგონია თავის თავსაც ვერა სცნობენ, ისე არიან გამაძღრები. ჩამოხდნენ ცხენებიდან, დამისხდნენ გვერდზე. შენაო ვინა ხარო, ეს კარხილაური მეკითხება. ესე მიზის გვერდზე, მაგრამ

ვერა მხედავს.

– მეო – უთხარი – ოთარი ვარო, ღაზიაიძე ფორეს ბიჭიო.

– აბაო, მაშ მე და შენ ხო მოსისხლეები ვყოფილვართო – მეუბნება.

– რათა მეთქი, კაცო, რათა ვართ მოსისხლეებიო?

– მამაშენმა ბიძაჩემი მოკლა და ჩვენო მოსისხლეები ვართო.

– ალბათო ტყუოდა ის ბიძაშენიო, ალბათ გააჯავრა და იმაზე მოკლაო – მე ვუთხარი – აბა ტყუილად ხომ არ მოხკლავდაო. ჩვენმა წინაპრებმა ერთმანეთი დახოცეს და ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენც ხომ არ დავხოცავთ ერთმანეთსაო.

– ხო, აბა, რაღას ვიზამთო – ამ კარხილაურმა – მე და შენ კი რა უნდა ვქნათო.

მთერალები არიან, კაცო, ლაპარაკობენ ხან აძას, ხან იმას. მერე დაავიწყდებათ, მე ვინა ვარ ერთი ჩაჩანას მეძახის, მეორე ოთარას, მეძახის.

– შენ ვინა ხარო? – კიდევ და კიდევ მკითხავს ეს კარხილაური.

– მეო ღაზიაიძე ვარ, ფორეს შვილიო – მე.

ეს არ ეჭაშნიკება, – მაგრამ აბა რაღას ვიზამთო – იტყვის და მერე სხვა რაღაცეებს მოჰყვება.

— ჩადითო — ვუთხარი — ილიურთაში ქეიფია, არკადის პურ-მარილი აქვს, აბა აქ მე ვერაფერს დაგალევინებთო.

შესხდნენ. ერთ ათ ნაბიჯზე იქნებოდა გამოცილებული, ალბათ მოაგონდა თუ, მე რომ ღაზიაიძე ვარ — არა უშავ რა, გავსწორდებითო, — დამიძახა ამ კარხილაურმა.

ჯერ კი ვიფიქრე, მოდი ერთი თოფი დავუცალიო, ვნახოთ, ერთი რას იზამსო და მერე ვოქვი, ემანდ კლდეთ არ ეცეს, ეს ხევ-ჭალა არ ამოავსოსო და თავი გავანებე.



კნიაზი

მოსმულა[25] ამოვყარეთ ხონჩაში, კალტი მოვაყარეთ და ჩავიდგით შუაში. ყველას დამწვეტებული ჩხირები გვიჭირავს და იმითა ვჭამთ. წივის ცეცხლი გვინთია. ბოლია ისეთი, ძლიეს ვხედავთ ერთმანეთს. ყველაზე საბოლეში კნიაზი ზის, თვალები აქვს დახუჭული, ნელა-ნელა ურჭობს ჩხირს მოსმულებს, ნელა-ნელა ჭამს, თან ლაპარაკობს: გომართელმა[26] თქვაო, ცხელი საჭმელი ნელა-ნელა უნდა ჭამოს კაცმაო.

ჩვენ ერთმანეთს თვალი ვუყავით, დავცხეთ და კნიაზს

---

[25] მოსმულა – ცომის მოხარშული პატარ-პატარა კოშტები. მწყემსები დაფშვნილ ყველს მოაყრიან და ისე ჭამენ.

[26] გომართელი – ივანე, ცნობილი მკურნალი და საზიგადო მოღვაწე. მწყემსებს შორისაც დიდი ბრძენკაცის სახელი ჰქონდა მოსეჭილი.

ერთი სამი-ოთხი ლუკმა თუ ექნებოდა შეჭმული, ხონჩა დავაცარიელეთ. უკაკუნა კნიაზმა ხონჩაში ჩხირი, უკაკუნა და რომ ველარაფერს მოარტყა, გაახილა თვალები, დახედა და – ე, ბიჭებო, ხანდახან კი გომართელსაც უტყუვლიაო – გაარჭო თავის უკან კედელში ჩხირი და ისევ დახუჭა თვალები.

კარხილაური

ჰა, ოხერო, ტყუილად კი არ მიმიცია შენში ოცდახუთი ჭედილა, – შეუძახა კარხილაურმა თავის საფერხეს და 'რუსულა" ნალების ჭახა-ჭუხით აატარა ბახტურცხენგანაფრინდომის პიტალოკლდიანი კიბორჭი.

უკუნზე უკუნი სიბნელეა. თვალი არ გაიჩხვირებაო რომ ამბობენ, ისეთი ღამეა. მარტო ცხენების ალღოს მინდობიან მხედრები.

– ჰა, რვაჭედილიანო, სადაც კარხილაურის ოცდახუოჭედილიანი მივა, შენც იქ უნდა მიხვიდე – მიაყოლა წინ მიმავალის ფეხის ხმას თავისი საჯდომი მენავტლემ. აჭახჭახდა ამისი ნალებიც, მაგრამ უცბადვე მოისმა გზის ძირიდან ცხენის ფეხთა თხრიალი, ქვიშის

ჩხრიალი, ხის ტოტების ლაწა-ლიწი და უკვე დაბლა ხევიდან მენიავტლის მშობლიური "შენი პატრონის ცოლი და დედაო".

– აი, დედა გიტიროს მამაშენმა, არ გინდოდა ოცდახუთის მიცემა? ეხლა ისხედით დილამდე ემანდ შენ და ეგ შენი რვაჭედილიანი, – გადასძახა კარხილაურმა და ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ უკვე საკვირაოს მთიდან მოისმა სიმღერა: 'ცხენო, პატრონიმც გენა



ორნი მოვიდნეს. თითქოს ჭკვიანად, წესიერად შემოვიდნენ, დასხდნეს, შესმულობა ვერც შევატყე. ერთი ცოტა დარცხვენით იყო, მეორე ყოიტაობდა. იმან, რომელიც თამამად იყო, რომაო, ამ კაცსო თქვენი ქალი მოსწონსო და მარჯაკლად მოვედითო.

— ბალღებო, ვისები ხართო — ვკითხე.

— მავნისა და მავნისაო.

— აბა მაშ ეხლა წადითო და უფროსი გამოგზავნეთ ვინმეო — ვუთხარი.

— ოჯახში შემოვედითო და ისე ხომ არ გაეალთო, რომ ოჯახი არ დავლოცოთო, — ის ამბობს, ის მარჯაკალი.

— ბალღებო, — ვეუბნები ჭკვიანად — თქვენ ისეთ საქმეზე მოხვედით, რომ სასმელს ვერ დაგალევინებთ, წადითო.

— არაო, — კაცო, არა ჯერან — გინდა თუ არა, მოგვიტანეო, — დედაკაცს ეტეეებიან.

— ბალღებო, — ვეუბნები — ეხლა თავად წახვალთ თუ მე გაგყაროთო, როგორ გირჩევნიათო.

— არც წავალთ და ვერც გაგვყრი, სანამდი თითო ჭიქას არ დავლევთო.

ავდექი, ესე უკან, პალტოს საყელოში მოვკიდე ხელი და კარებისკენ წავაბიცბიცე, ის, მარჯაკალი ვარო რომ ამბობდა. ხელების ქნევა დაიწყო, ვითომ უნდა შემომკრას. აბა იმას ხელს როგორ შემოვაკვრევინებდი, ცალი ხელით ხო ეს მიჭირავს, ცალითაც კარები გავაღე და შიგ კარებში ერთი შემოვხკარი. სუსტი ყოფილიყო, იქავე ჩაიფუფქა. ეს რო წაიქცა და შენი დედაცა და შენი ქალიცო, ეს სასიძო წამომემამალავა. იმასაც ეტაცე საყელოში ხელი და ერთი შემოვხკარი. ის უფრო მაგარი

ყოფილიყო, არ წაიქცა, მეორე შემოვხკარი, არ წაიქცა, მესამე და კიდე არ წაიქცა. დედაკაცი მეცა ხელებში, კაცო, რასა შვრები, არ მოხკლა, გაუშვიო. გაეუშვი და წაიქცა.

— რა ვიცი, აღარც ისინი გამოჩენილან და არც არავინ იმათი გამოგზავნილი მოსულა. დედაკაცი მეჩხუბება, შენ თუ ეგრე უბაჟუნე მარჯაკლებს, აქ ვინღა მოვა, ეს ქალები დასათხოვრები დაგვრჩებიანო.

მარტილოს ბელვაში

საჩიღოლოში, მარტილოს ბელვაში, სამნი უსხედან სამფეხა ტაბლას: მარტილო, იბახა და კანჯიხა. მარტილო და იბახა საჩიღოლოელებია, კანჯიხა — გოგრუელი. სამჯერ ჩამოიარა ძროხის რქის ჭაჭისარაყიანმა ყანწმა. კანჯიხასა და იბახას შორის სანახირეების გაიმო თავიდან უწყინარი კამათი თანდათან გამწვავდა, გამძაფრდა და უცბად მოდავეებმა სუფრის გადალმა-გადმოღმიდან საყელოები აუკრიფეს ერთმანეთს. უკიდურესობამდე დაიბერა მოთმინების ბუშტები, სადაცაა დასკდება.

— ნეტა არ იქნება, ჩახოცოთ ერთმანეთი, მე კი თქვენი გულისთვის ერთ გოჯზედაც არ გადავცურდებიო — მარტილომ ღანძილის მწნილის კარგა მოზრდილი ღერო

მიკეც-მოკეცა და დაუდევრად ჩაიდვა პირში.

— ფშუუუუ, — მოისმა ორივე მხრიდან. ბუშტები ჩაიფუკა, ჩაიფუკა და მოჩხუბრები თავთავიანთ ნასხდომ ჩიკებზე[27] ჩაეშვნენ.

[27] ჩიკა — ტაბლასთან საჯდომი პატარა სკამი.

ხეიბარ ბიჭის ნაამბობი

ეუძღვნი სეტო ხაჩიძეს

გვიანი შემოდგომა იყო, მშრალობა, ხმელობა. გიორგობის თვეა დამდგარი, გიორგობები კი ჯერ ჩამოხდილი არ იყო. საგიორგობო არაყებსა ეწურავდი გუბთ ბოლოზე. დიკლოსკენ წასასვლელი გზის სულ ცოტა ზეზერე[28] მქონდა გამარული არაყსაწური.

მზეჩასვლის ხანი იყო, ბევრი აღარა უკლდა რა ეზის ჩასვლას, რომ ჯიჯურბაბომ გაიარა დიკლოსკე მიმდინარმა. რა საქმეზე მიედინებოდა, რა ეიცი, რაღაც დაფიქრებული კი მიდიოდა, გულსხვაყოფით. ჩემსკენ არ გამოუხედია, მგონია, ვერც დამინახა, მე რომ იქ ქვაბ-საარაყე მედგა. წელზე ხანჯალიც ერტყა და მხარიღლიე ხმალიც ჰქონდა გადაკიდებული. თოფი არა, თოფი არა ჰქონდა.

---

[28] ზეზერე – ცოტათი ზემოთ, ცოტათი მაღლა.

დაღამდა. კარგა ღამემ გაიარა. სულთახა-მრავალაები შუა ცას მოებნენ. ბოლო ქვაბი ჩავასხი, ჩავლესე, ცეცხლი შევუკეთე და ვზივარ ყვერბთან, ცეცხლის შუქზე წინდასა ვქსოვ. ერთიც ვნახოთ და ამ ნივრეს მხირდან რაღაცა ბრაგა-ბრიგი მომესმა, თან ჩახა-ჩუხიც მოდის. გაგონილი მაქვს, რო აქაო საეშმაკე ადგილიაო

და ერთალია შემეშინდა, შემეშინდა, რო სულ ტან-
ხორცით დაეიშალე. მაგრამ ჩქარაევე გულს შემომვარდა,[29]
რო ეგ ხო ჯიჯურბაბომ გაიარა დიკლოსკეო და ალბათ
ის მოდის, ისა ბრუნდებაო. დავუგდე ყური და მართლაც
კაცის ფეხის ხმაა. ის ჩახაჩუხი კიდე, ხმალი რო ეკიდა,
იმ ხმლის ქარქაშის საწვერე ხვდებოდა გზადაგზა ქვებსა
და იმის ჩახა-ჩიხი ყოფილიყო. თან ცოტა შესმულიც
ეტყობოდა, რაღაცას მოღიღინებდა, მოჟურჟურებდასავით
თავისთვის.

მაცა შენაო, ვთქვი, შეშინება ეგრე არ უნდაო! ის
ნაქსოვი წინდაც იქავე კერასთან მივდე, მანდილის
ქვეშიდან თმები გამოვიშალე, კიკინოებსავით[30]
გამოვიწეწე აქ ყურებთან და გამოვედი, ზურგით
ცეცხლისკე და პირით გზისაკე დავდექი. რო დამიახლოვდა, ცეცხლის შუქმა მიანათა, შემომხედა
და მუჰაო, ერთი წავიბუქუნე, წავქანდი იმისაკე და
გავჩერდი. გაჩერდა ისიც. მიყურებს და ვუყურებ. ის
სახეს ვერ მიხედავს, ცეცხლი ზურგისკე მინთია, მე
ვხედავ. ვდგავართ ეგრე. არც ის იღებს ხმას, არც — მე.
ერთიც კიდევ წავქანდი ეგრეეე უჩუმარი და გავჩერდი

---

[29] გულს შემოვარდნა — მოგონება, მოფიქრება.

[30] კიკინოები — დალალები.

იმსიშორეზე კი, რო თუ როგორმე ხმალი წამოიწვადა, არ მომაწვდინოს, გავექცე. ხო და ი მეორედაც რო წავქანდი, ან ხმალი ვის მოაგონდა, ან ხანჯარი! – ღმერთო, უშველე ვაჟკაცსაო დათქვა, პირჯვარი გადაიწერა, მიტრიალდა და აბააჭა! წაიღო ხრიალ-გრიალი უბაჭისაკე. სადამდე რა ირბინა, რა ვიცი, კარგა ხანს კი მოდიოდა ძგუილი იმ სიბნელიდან.

რას დამდგებოდა, მეორე დღესვე გავუქვეყნე. სწყენიყო, სულგანათლებულს, სწყენიყო, რო სიცოცხლეში ხმა აღარ გამცა, უნძრახავე მომიკვდა. რო მოკვდა კი შევაყარე წინდები[31] სასახლეზე, ხმითაც ვიტირე. მე კი მითამ შევირიგე, მაგრამ ის შემირიგდა თუ არა, მაგისი კი რაღა ვიცი, იქ რო წავალ, იქ გავიგებ.

---

[31] წინდების შეყრა – თუშური ადათი, ქალს თუ მომდურავი მოუკვდება ვინმე, გასვენებაში მივა და მიცვალებულს გულზე თავის მოქსოვილ წინდებს დააწყობს, როგორც შესარიგებელ საჩუქარს.

მცოცავები

მეცაიძის — თებრო იუკურიძის ხსოვნას

— შენ იცი სალხს წიგნი ვინ ასწავლა? არ იცი, არა? მაშინ ყური დამიგდე და მე გეტყვი.

ჰელოში უცხოვრია ერთ კაცს. ცოტაოდენი ცხვრები ჰყოლია. იმ ცხვრების საძოვებლად ერთი ბალღი აუყვანია, დაუყენებია მოჯამაგირედ. დილით ჩაუყრის ის კაცი ბიჭს გუდაში ჭამებს, ცხვრებს სოფლიდან კარგა შორამდის გადაუცილებს და მობრუნდება. მორეკავს საღამოს ბალღი ცხვრებს, მოვა სახლში და გუდას ხელუხლებელს მოიტანს. უკვირს ამ კაცს — რას შვრება ეს ბალღი, რა არჩენს მთელი დღე საჭმელს რომ არა ჭამს, ნეტა ისეთს რას აკეთებსო. ძალიან შეუწუხდა სული.

ერთხელაც, ცხვრები რომ გაუცილა, ვითომ მოვბრუნდიო და სინამდვილეში კი უჩუმრივ შორი-ახლოს აედევნა, შორიდან უთვალთვალებს.

გარეკა ბიჭმა ცხვარი, ძოვნით გადააყოლა, გორებს გადააცილა და ამ დროს საში მტრედი ძოფრინდა. ერთ ტაფიაში დაეშვნენ, მწვანეზე ჩამოსხდნენ. ერთმა ნისკარტით ქაღალდი მოიტანა. ბიჭიც მივიდა და იმათთან დაჯდა. ცხვრები რომ შორს წავლენ, ერთი აფრინდება, იმ ცხვრებს მოაბრუნებს, ორნი კიდე ბიჭს წიგნს ასწავლიან. ამ დროს გადაჩნდა ის კაცი, გამოეცხადა. მტრედებმა დაინახეს და გაფრინდნენ, მეტი აღარც მოსულან.

– რა სიავე მოგგონდებოდა ჩემგანო – უთხრა ბიჭმა ამ კაცს – მშიერი ცხვრები მომიდიოდაო, დავკარგე რამეო თუ რა იყოო, რატომ მდარიელობდიო, რატომ დამიფრთხე ის მტრედებიო. ერთი ფურცელიღა დაგვაკლდა, რომ სუყველაფერი ესწავლებინა და ამ დროს გამოჩნდიო, რაც ყველაზე მთავარი იყო, იმის სწავლება ვერ მოასწრესო.

დაიწყებენ, რომაო წიგნიო ვიღაცამ რაღაც როგორღაც ასწავლა ხალხსაო. არაფერიც არ არის და არაფერიც არა. წიგნი მტრედებმა ასწავლეს იმ ჰეღოელ ბიჭს, იმან სხვას ასწავლა, სხვამ კიდე – სხვასა და სწორედაც რომ ეგრე იყო.

— ეს მე ჩემი პაპის ნაამბობი მაქვს გაგონილი. ეხლა მე შენ გიამბე, სხვა არავისთვის მიამბია, შენ კიდევ სხვას უამბე და ეგრე იქნება ეგეც — ეს დამიტოვა ანდერძად ჩემი მეზობლის ოთხმოცდაშვიდი წლის დედამ, თებრო იუკურიძემ, ხაბაიძის რძალმა, მეცაიძის ქალმა, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე.

სისხლის კივილი

არა, არც ჯეილობაში და, მით უფრო მერე, არც სიბერკაცეში მე ჩხუბი არ მიყვარდა. ზოგი ჯეილი ხო ეძებს შარს, განგებ მიძვრება, სწადია, ეხალისება. მე არა. საჩხუბარი ლაპარაკი რომ წავიდოდა, მე სულ დათმობაზე ვიყავი, სულ დაწყნარება-დაშოშმინებასა ვცდილობდი. საჩხუბრად ადვილად არც სხვას გავუშვებდი და არც თავად ჩავერეოდი. მაგრამ ზოგჯერ, არ ვიცი, რა მომდიოდა, ისე გაუგებრად, გაუაზრებლად გავებმებოდი ჩხუბში, რომ თეიოონაც ვერ გავიგებდი. ყველაფერი რომ დამთავრდებოდა, მერელა დავფიქრდებოდი, რა როგორ იყო. ხან ვნანობდი კიდეკაც, სწორი არ ვიყავი მეთქი, მაგრამ აბა მომხდარ საქმეს სინანული რაღას უშველიდა.

ჩემმა ძმისწულმა, რომაო, ეგაო სისხლის ყივილიაო. ბიძაშვილის შვილი მყავს ერთი, ისიც წიგნის კაცია ეგრე, შენსავით. თავადაც კარგი მოლაპარაკეა და სხვისა მოსმენაც ძალიან უყვარს. ხოდა მე და ის ვისხედით ეგრე, როგორც ეხლა მე და შენა ვსხედვართ, თან ცოტა-ცოტა ღვინოსაცა ვსვამდით და იმანა, ეგაო სისხლის ყივილია, შენი სისხლი აყიელდებოდა და ის გაგდებდა საჩხუბრადაო. რა ეიცი, ეგ სისხლის ყივილი რაღაა, ან სისხლს რა აყივლებდა? მაგრამ რაღაცა კი დამიბნელებდა ხოლმე გონებასა და გონზე მერეღა მოვიდოდი, ცემა-ტყეპა რომ გათავდებოდა.

სულ პირველად ექვსი-შვიდი წლისა ვიქნებოდი, კაცების ჩხუბში რომ გავერიე.

მთაში ჩემი სოფელი პატარა სოფელია, ბუხურთა ჰქვია. შვიდი-რვა სახლი იდგა. ეხლა კი აღარც ვიცი, არიღა სახლები თუ არა. ერთი ორმოცი წელი კი იქნება, რაც, იქით პირი აღარ მიქნია, აღარა ვყოფილვარ. ხოდა, ერთხელ ილიურელებმა (ილიურთა, ხომ იცი, დიდი სოფელია, ჩვენი მომიჯნავე) შემოსული ყანები დაუმკეს ბუხურელებს. აბა მაშინ კერძოობა იყო, თან დიდი არეულობა. ნიკალაი რომ ჩამოაგდეს, ის წლებია, მენშევიკობის

წლები და მთავრობასაც იმდენი ძალა არა ჰქონდა, ვერა ხელმძღვანელობდა ხალხსა. აი ეგრე აირ-გაირია ქვეყანა, როგორც ეხლაა არეულ-გარეული. ამ ილიურელებს უთქვიათ, რომაო, მაგათო ბევრი ყანები აქვთო, თვითონ ცოტანი არიანო და სახნაურები კი ბევრი უჭირავთო, რატომ უნდა ეჭიროთო. დაქუჩებულან კაცები, დედაკაცები, გამოვიდნენ და დაიწყეს ამ შემოსული ყანების მკა. კაცები მკიან, დედაკაცები კიდე ტვიროებად აწყობენ და მიაქვთ. სოფელში კაცი არ არის ხმის გამცემი. მარტო დედაკაცები სწყევლიან, სთხრიან, მაგრამ აბა იმათ წყევლა-თხრას რა ყურს დაუგდებდნენ, არავინ ყურადღებას არ აქცევს. ჩვენი კაცები სულ გარემხარში არიან. სახლში არავინაა ერთი ბებერი კაცის მეტი. ცოცობაბოს ვეძახდით, ცოცაანთი იყო, უშვილო კაცი. გავიდა ისიც, ეჩხუბა, ედავიდარაბა, მაგრამ ყური არავინ უგდო არც იმას. ბოლოს იმანაც შეკაზმა ცხენი და სადღაც წავიდა. ამ დროს მოისმა აფთარაულის კივილი. საალმეში იყო ცხვარში. იქიდან დაუნახია, რომ აქ რაღაც ამბავია. გამოქცეულიყო და მოვარდა კივილით, დაგხოცავთ, ამას-იმას გიზამთო. შეკარდა სახლში, თოფი უნდა გამოიტანოს და თოფი არ დახვდა, დედაკაცს დაემალნა.

გამოვარდა იქიდან, წამოიწვადა ხანჯალი და გადაერია. დაესივნენ ილიურელები, ხანჯალიც წაართვეს და ჩატყიპეს, საქვაბეძირისკენ ჩააქციეს. ერთიანად – ჰა, დედას გიტირებთო, – საკვირაოდან გადმოჰკივლა ვიღაცამ. – ვაიმე, თებრო, შენი მაზლი მოდის, თოფი დამალეო, ბიცოლაჩემს უთხრეს დედაკაცებმა. წამოვიდა ბიცოლაჩემი, მეც თან აევდევნე. კედლიდან მამაჩემისა და ბიძაჩემის თოფები ჩამოხსნა და კიდობნის უკან ჩაყარა. მე დედა არ მახსოვს. ერთი წლისას მომკვდომია და ბიძის ცოლი მზრდიდა, იმისი გაზრდილი ვარ. მამაჩემსა კიდე წესიერად არც კი ვიცნობდი, სულ ცხვარში იყო, იშვიათად გამოჩნდებოდა სახლში და, თუში კაცების ამბავი ხომ იცი, მოფერება რასა ჰქვია, წესიერად არც დამლაპარაკებია. ჩემი ბავშვობა სულ თებრო ძალოს კალთას ვიყავი გამობმული, ის მეფერებოდა, თავის შვილებზე მეტად მიგურგურებდა.

მამაჩემი დიდბოსელაში იყო ცხვარში. იქ მიუტანიათ ამბავი, ღმერთმანი, ილიურელები თქვენ ყანებს მკიანო. ცხენი დაუჭერია, ეგრევე შიშველაზე გადამჯდარა და მოვარდა, შევარდა სახლში, თოფები რომ არ დახვდა, ჯერ ბიცოლაჩემს დაეტია, თოფი რა უყავი, მომეცი ჩქარაო, მერე გავარდა, ღობიდან

მარგილი ამოაძრო და გადაერია მომკელებში. დაესიენენ იმასაც და ეგრე ქუნდრუზაობით გადაიარეს იწროს ბექსე, გადაეშვნენ ქვეეით. ჩვენ, ბალღები და დედაკაცები, იქა ვართ, სასაფლაოს ბოლოზე, იქიდან გადავყურებთ. ილიურელები მალეეე ამოქუჩდნენ და ისეე დაიწყეს ყანის მკა, მამაჩემი აღარ გამოჩნდა. აი მაშინ იყო, გამოვეარდი ბავშვებიდან და დაეცხე ქვები ყანის მომკელებს. ამათ ამოიხედეს და რომ მიხვდნენ, რა ხდება, ატეხეს სიცილი.

— აი თქვენ არ გაგაცინათ ჩემმა გამჩენმა და ჩემის მამის სალოცავებმა, ბალღს მაინც რალად მიტირებთო — მომკიდა ხელი ჩემმა თებრო ძალომ და აღრიალებული წამომიყვანა შინისაკენ.

მერე რა მოხდა? მერე ის მოხდა, რომ ცოცობაბო წასულიყო ომალოში, იქიდან კაცები მოიყვანა და იმათ გაუყვეს ბუხურთა-ილიურთას სახნავ-სათიბიცა და საძროხე საძოვრებიც. მანამდის საძროხეები გაუყოფელი ხქონიყო. ის გაყოფის ამბებიც კარგად მახსოვს: ერთი დროშა ჰქონდათ, თეთრი ალამი. დაავლებდა ხელს მამაჩემი, გაიტანდა და მწვაქესგორზე დაარჭობდა, აქედანაა ჩვენიო; ამოაძრობდნენ ილიურელები, გამოიტანდნენ და

საქვაბეძირს ჩადგამდნენ, აქედანაა ჩვენიო. ეგრე იჩხუბეს, იდავიდარაბეს და ბოლოს ჩაყარეს სამნები: ერთი სამანი წყალთშუ ჩააგდეს, გზის ძირზე რომ პატარა ტაფია, – იქ: მეორე იმის ასწვრივ, მაღლა, შუბლისგორის თავს ფიჭვებთან რომ ბილიკები გადის, იქაა; მესამე ღორღოანას თავში და მეოთხეც – ნარღვევთის გორში, სახარისკენ წასასვლელი გზის პირას. იმ სამნების მარცხენა მხარე ჩვენი იყო, მარჯვენა ილიურელებისა. სანამ მე იქ დავდიოდი, კარგად ეტყობოდა სამნებიცა და სამნების ბაკებიც. ეხლა აბა რაღა ვიცი, ისევ ეტყობა თუ აღარა, ხომ გითხარი, ორმოც წელზე მეტია, მე იქ აღარა ვყოფილვარ.

ერთხელაც კინაღამ ჩემი ბალღები დავხოცე. ისე ამერია გონება, რომ ალბათ მართლა დავხოცავდი, თუ ისე ყოფილიყო საქმე, როგორც მე მეგონა.

ეს თამარა ჩემი მეორე ცოლია. პირველი სხვა მყავდა, თუში, ხელათ ქალი. ობოლი ვიყავი. უდედოს მამაც ჯარეგაში მომიკლეს ქისტებმა. რაკი ცოტა თავს მოვესწარი, თოთხმეტ-ხუთმეტი წლისავე დამაქორწილა ბიძაჩემმა, პატრონი ეყოლება, სახლ-კარს, სარჩო-საბადებელს მიუხედავსო. აბა ბალღი რა ქმრობას გავუწევდი – ის დასრულებული ქალი იყო, ჩემზე

დიდი. გაზაფხულზე, შირვანიდან რომ ამოვედი, ცხვარს რომ ამოვჭყეტი, აღარ დამხვდა, წასულიყო. დიდი ხანი უცოლოდ ვიარე, კინაღამ ოცდაშვიდ-რვა წლამდის. აქ ართანის ტყეში საზამთრო ბინა გექონდა მე, ჩემ ბიძაშვილ იროდასა და აფთარაულს. სოფელ'ში ხშირად ჩამოვდიოდით – მეგობრები გვყავდა, ნათესავები, ნათელ-მირონი. ხოდა ეს თამარა იმათი მეზობელი იყო, ფილიპეანური. იმათ ამატოლეს, იმათ გამირიგეს. აბა მე ალვანში სახლ-კარი არაფერი მქონდა და ჯერ ოჯახში შევედი ზედსიძესავით, მერე აქვე ავიშენე ერთი ოთახი, აქვე დავსახლდი. ცოლი ყოჩაღი გამომადგა – ოჯახიც წესიერად მოიყვანა და ბალღებიც ჩამოაქუჩა. ოთხი ბიჭი გვყავს და ორი ქალი. ბიჭები უფროსებია, ქალები – პატარები. ქალები წყნარებია, წყნარები იყვნენ თავიდანვე, ბიჭები კი, ერთმანეთის მიყოლებულები, იკლებდნენ ჯერ თავიანთ სახლ-კარსა და მერე სხვისას, მეზობლებისას, მთელ უბანს. ახლა ჩხუბი როგორი იცოდნენ კიდევა, ჯერ ერთმანეთში და მერე სხვებთანაც. თან ვირგლები არიან, ტანიანები, ტანადობით დედისკენ წავიდნენ. მთელ სოფელში ყველას პირზე ის ეკერა, აი, მელიტონას ბიჭებმა იჩხუბეს, მელიტონას ბიჭებმა ეს გალახეს და ის გალახესო, ესა ქნეს და ისა ქნესო.

მერე კი, როცა მოიზარდნენ, დამწყნარდნენ, დამშვიდდნენ. ეხლა ყველანი დაბინავებულები არიან თავიანთ ცოლ-შვილ-ქმარ-შვილებში.

ეს ჩემი ბალღები ჩემიანებს ვერა ხვდებოდნენ. ალვანი შორია. თანაც ამათი სწორები, ჩემი ბიძაშვილების ბალღები, ყველანი სწავლაში წავიდნენ, ნასწაელები გამოვიდნენ და ამათთან ურთიერთობა მაინცა და მაინც არა ჰქონდათ. იშვიათად, ჭირ-ლხინის დღეებში თუ შეხვდებოდნენ და ეგრე რა ერთმანეთი უნდა გაეცნოთ, ან რა ერთკვადი უნდა შეეყვარებინათ. გრილათ იყვნენ, გულსგარეთობით. ეხლა და ეხლა უფრო მოუხშირეს მისელა და მოსვლა ამათაც და იმათაც, თორემ ბალღობა-სიჯეილეში დიდი ერთმანეთობა არა ჰქონდათ. ვეტყოდი ხოლმე ამ ჩემ ბალღებსა, შვილო, თქვენა თუშები ხართ, თუშობა არ უნდა დაჰკარგოთო და თუშები რათა ვართ, კახებში ვცხოვრობთ და კახები ვართო, ერთი თუშებიცა და იმათი დამკარგიცაო. სუ ცეცხლი წამეკიდებოდა, საცემრად დავეტევებოდი. ესენი კიდე წამოცვივდებოდნენ და სიცილით გაცვივდებოდნენ. ბოლმდის ვერ გავიგე, მართლა გულით ამბობდნენ თუ მე მახელებდნენ.

ერთი დროცაა, შაქრიანზე ამოვედით ცხვრით

მთაში მიმდინრები. ამხანაგებმა შინ გამომიშვეს, სანამ მთას შევეკიდებით, წადი, ოჯახში იყავიო. წამოვედი. ცხენით მოვდივარ, საღამო ხანია. ამ ჩვენი სოფლის ბოლოზე ერთი პატარა ფარა დგას. ორნი მოზდილი ჯეილები არიან, ერთიც ბალღი სტანია. დაველაპარაკე, ვინაობა-სადაურობა ვკითხე. თუშები ყოფილიყვნენ, პირიქითელები. მე იმათი მამების ცნობა არა მქონდა. ეს ორნი ვართ შეამხანაგებულები, მარტო თავისი ცხვრები გვყავს, საყორნეში უნდა ავიდეთ, იქ უნდა ეწველოთო. აღარც რა. დავემშვიდობე, წამოვედი.

მეორე დილას, ჯერ ისევა მძინავს და რაღაცა ყვირილ-ხმაური ჩამომწვდა ძილში. გამომეღვიძა. ყური დავუგდე, სოფლის ბოლოდან ისმის. ვიღაცეებმა გაირბინეს შარაზე, თუშებსა სცემენო, ისიც გავიგონე. გავიგე, როგორ გრიალით გაცვივდნენ ჩემი ბიჭებიც. მაშინვე თავში დამარტყა, ალბათ იმ მეცხვარეებსა სცემენო. ეს ჩემი ბალღებიც რომ გაცვივდნენ, სუ გონი დავკარგე. ის მახსოვს, რო შარვალი კი ამოვიცვი, ეგრეევ შიშველი ფეხები კალოშებში ვტუცე, თოფს ხელი დავტაცე და გავიქეცი. გადაწყვეტილი მაქ, თუ ჩემებიცა სცემენ, უნდა ღავხოცო. გავცდი სოფელსა და რასა ვხედავ: ამ ორ მეცხვარეს, ოთხიკე ჩემ ბალღებსა და ამათივე დედიძმიშვილს, ჩემი ცოლიძმის ბალღს,

გამოუყრია ჩვენი სოფლის ჯეილობა და ნახირივით სოფლისკენ მოერეკებიან. მოერეკებიან და რას მოერეკებიან – რომელსაც მოარტყამენ, ან ხელს წაავლებენ, ფეხზე არ აჩერებენ. ეს თამარაცა, ჩემი დედაკაცი, გამომდგარა და დაჰკივის, დაკათ მაგ მიწადასაყრელებს, რა ქომაგიერი ძაღლებივით წასევიანო. გოგოებიცა კიდე, ჩემი გაკნაჭული გოგოები, პერანგიანები, ფეხშიშველები, თითო წკეპლა დაუჭერიათ და უშხაპუნებენ ფეხებში ხან ვისა და ხან ვის. აი მაშინ, არ ვიცი, რა დამემართა, სული შემიგუბდა, რაღაცა ამომაწვა, ყელი გამებერა და ავტირდი.

დედაკაცობა ჩაერია და გააშველეს.

ჩემმა უფროსმა ბალღმა, კიმოთემ, რო მნახა, ეტირივარ, – კარგი, მამი, შენ რაღა მოგივიდა, ხომ ხედავ, თუშები ვართო.

თურმე რა მომხდარა: დილას რამდენიმე ჯეილი მისულა ამ მეცხვარეებთან და ბატკანი უთხოვიათ, უნდა დავკლათო. ამათ არ მიუციათ. წართმევა მოუნდომებიათ. გახდომიათ ჩხუბი. გაცვევნილა მთელი ის უბანი და დასევია ამ ორსა. ის დრო იყო, რო მიუსწრეს ჩემმა ბალღებმა და დაირეკეს სოფლისკენ. თუ ესენი არა, გალახვით ხო გალახაყდნენ და ბატკანს კიდე ერთის მაგიყრად რამდენიმეს წაართმევდენ.

გეხსომება, ორმოცდათერთმეტში თუ ორმოცდათორმეტში ყიზლარში ცხვრები რომ გაწყდა. მეც ალვანელებთან ვიყავი. კოლექტივის ცხვრებთან, რაღა თქმა უნდა, პირადებიც სულ გაგვიწყდა. ოცათასიდან ხუთიათასიღა დარჩა კოლექტივისა. ის გადარჩენილი მთელი ორ ბრიგადად შეყარეს და სხვებს გამოგვიცხადეს, სახლებში წადითო. ჩემი ცხვრებიდან ორი შიშაქი გადამირჩა, ეგ იყო და ეგ. ისინიც ილიკოს

ჩავაბარე, ჩემ ღეიდაშვილს. ეგრე ცარელ-გარელა სახლში როგორ მივეყუდოო, ვიფიქრე, რუსებს მოვრიგდი. იმათ ცხვარი არ დაეხოცა. ჩალა-თივაც მომარაგებული ჰქონდათ და სადგომებიც კარგად დათბუნებული. ჩვენ კიდე, შირვან-შირაქებში ნაჩვევები, არც თივას ვიმარაგებდით და არც ფარეხები გვქონდა წესიერად დათბუნებული. ერთი 'ზამთარი შეგვრჩა, ორი და სწორედ მესამე ზამთარი იყო, რო გაგვიწყდა. დავრჩი რუსებთან, ყარა ჩავიბარე კოლექტივისა, 'კრასნი კოლხოზისა". ის ზაფხულიცა და მეორე ზამთარიც იქ ვიყავი, ჯამაგირის ფულით ისევ ცხვრები ვიყიდე და წამოვედი ისევ ალვანელებთან.

ხოდა, ერთხელაც, დოლია. ფარეხში ვართ ორნი. ცხვარ-ბატკნებსა ვნომრავთ მე და ერთი რუსის ჯეილი. გარედან რაღაცა ყვირილი მოისმა, მქისე ხმაური, ჩხუბის ხმასა ჰგავს. ვიტი'ა, ერთი ნახე, რა ხდება მეთქი. გავიდა და მალევე შემობრუნდა, ერთ 'ჩორნამაზი გრუზინსა" სცემენო. რკინის სანომრავები მეჭირა ხელში, რითიც ნომრებს ვადებდით, ისინიც იქვე მოვისროლე და გავვარდი. ერთ მოხევეს ერთი ხუთნი წასევიან და სცემენ. გაუშვით მეთქი, დაეჰკიელე, შევვარდი შუაში და დავტრიალდი. მალე ჩვენ ორმა ის რუსები დავიფრინეთ. არა და საცემი კი იყო. მაგათ, მაგ რუსებს, ცხვარში

რომ არიან, ცოლ-შვილებიც თანა ჰყავთ. ამ ჩვენი ბინის მომიჯნაეედ მოხეეეების ბინა იყო. ეს მოხეეე მეცხვარე შემოეჩეია ერთი რუსის დედაკაცს. ქმარიც იქაა, კაცო. ამ ქმარმა რამდენჯერმე გააფრთხილა, წესიერად გეუბნები, ნუ დადიხარო და არა, იმან იქ სიარული არ მაიშალა. და ესლაც ამ რუსს შეუსწრია მოხეეისათვის თავის ცოლთანა და, რაღა თქმა უნდა, სცემია. სხვებიც მიშვეელებიან და თუ მე არ ვიქნები, კარგადაც გააბუებდენ. რო დავფიქრებულიყავი, იქნება არც მივშვეელებოდი, მაგრამ ი ბიჭმა რო მითხრა, გრუზინსა სცემენო, იმან სულ დამაკარგვინა გონება. მერე ის რუსები მემდურებოდნენ კიდეეაც, შენ ჩვენი ბინის წეერი იყავი და იმას რად მიეშვეელეო. მართლები იყენენ.

ერთხელ კიდე ფურგონით მივდივარ სოფელში, ფქვილები უნდა წამოვიღო. ზაფხულია, ყანები იმკება და თანვე ხნავენ. მეტრაქტორე-მეკომბაინეებს პური უჭამიათ. საეელე მაგიდაზე თეფშები, ჭიქები, კოვზებია გაშლილი. ორი-სამი ნაარყალი ბოთლიცა დგას, ეტყობა, დალიეს კიდეეაც. დაჩხუბებულან — ერთმანეთში ირეევიან. გზის პირია, კარგათა ვხედავ. მე რა ვიცი, სუყველა რუსები მგონია. ან რა მესაქმება იმათ ჩხუბთან — იჩხუბებენ და გაშვეელდებიან. მიედივარ ჩემთვის. ერთიანად დავინახე, ერთი ხუთმა-ექვსმა რუსმა ორი

მოიქცია შუაში და წაესივნენ. შეეხედე, კაცო, და ეტლზე ვიცანი, ლეკები არიან. არ ვიცი, როგორ მოხდა, რამ დამარტყა, გავაჩერე ფურგონი, გადავხტი და შევვარდი 'შუა'ში. ჩვენს სამივემ, იკოცხლე ისინი მივფანტ-მოვფანტეთ. მანამდისაც და მას მერეც, რამდენჯერ მინახია, რუსი რუსსა სცემს, ხან ბევრნი ერთსაც, მაგრამ მე იქ არ ჩავრეულვარ, არც კალმიკებში, არც კაზაკებში. იმ ლეკების მისა'შველებლად რატო გამიწია გულმა, ეხლაც არ ვიცი, ისინიც ხომ უცნობები იყვნენ.

აი ეგენი ვულაპარაკე იმ ჩემ ძმისწულსა და ეგეაო, ბიძაჩემო, სისხლის ყივილიაო. ი ბალღმა ილიურელებს ქვები რომ აუტეხე, იქაო შენი საგვარეულოს სისხლმა იყივლაო; შენი ბალღები თუშებს რომ მიეშველნენ, იქ თუშური სისხლი აყივლდაო; შენ რომ რუსებს მოხვევ არ აცემინე, ეგ ქართული სისხლის ყივილი იყოო და ლეკებს რომ მიეშველე, ეგ კიდე – კავკასიური სისხლის ყივილიო.

– ეგრეა? ან რამდენნაირი სისხლი აქვს კაცსა? მე სისხლი სულ ერთნაირი მგონია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მეცხვარეთმოკვაური ანგელოზები 3
2. ჩიჩიკას კვერცხები 6
3. ბალღი 9
4. ქოზიელის ნაამბობი 13
5. მამის ნაკვალევი 17
6. დათვის გონებულა 23
7. მურა 28
8. ამირანი 34
9. მემკვიდრეობა 39
10. მოსე 42
11. მწვევარა 45
12. ბროლია 52
13. ჭრელო 55
14. ძოძე 60
15. სამნი ოთხთან 68
16. ყელქედუნა მგელი 71
17. მეცხვარეობა ცდისაა 76
18. დელგმა 85
19. შავსიელის ნაამბობი 92
20. თურქოანთ გაბო 104
21. ჭყოპიშვილი 107
22. დათვი 110
23. ცირკი მთაში 119
24. შეშინებული დათვები 122
25. იალიკის ნაამბობი 126
26. კანწახი 135
27. მეველე 140
28. თიაყა 144
29. სხამაების ყარაულები 151
30. გიგო და ილა 156
31. ორჩი 160
32. კნიაზი 165
33. კარხილაური 167
34. იობა 169
35. მარტილოს ბეღვაში 172
36. ხაჩიურღვლის ნაამბობი 174
37. მტრედები 178
38. სისხლის ყიელი 181

შეკვ. № 81

ფასი სახელშეკრულებო

შპს „ჰერანი-3"-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის პრ. №42
ტელ.: (+995 32) 92 29 92; (+995 32) 93 53 96
E-mail: merani3@geo.net.ge